

თუ შეძლებთ, იფიქრეთ ამაზე! A7



საით მიდის თბილისი? B1



ავტომობილი B2

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — სამშაბათი, 10 იანვარი, 2006 წელი. №2 (1154) — ფასი 50 თეთრი



ძვირფასო მკითხველებო!

"ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის" (IWPR) კავკასიის პროგრამა აგრძელებს ყოველკვირეული ინგლისურენოვანი გამოცემის "კავკასიის საინფორმაციო სამსახურის"(CRS) ქართულ ენაზე ბეჭდვას. ყოველი გამოშვება კავკასიის რეგიონების აქტუალური მოვლენებისა და პროცესებისადმი მიძღვნილ სტატიებს მოიცავს.

ჩვენს ინტერნეტ-გვერდზე www.iwpr.net განთავსებულია გამოცემის ინგლისური და რუსული ვერსიები.

"კავკასიის საინფორმაციო სამსახურზე" ხელმოწერა ნებისმიერ ენაზე უფასოა. ხელმოწერის გაფორმებისთვის ან ანულირებისთვის ეწვიეთ ინტერნეტგვერდს:
http://www.iwpr.net/sub-form.html

A8

### ამბები

#### ეკონომიკური განვითარების მინისტრი 2005 წლის შედეგებს აჯამებს

რა მოხდა 2005 წელს ქვეყნის ეკონომიკაში ყველაზე მნიშვნელოვანი და რა ცვლილებებია მოსალოდნელი ახალ, 2006 წელს? ამ თემაზე მინისტრი გუშინ დიდხანს და დეტალურად საუბრობდა.

A2

### ამბები

#### პატიმრების მხარდამჭერი საპროტესტო აქცია გრძელდება

ახალ საპყრობილეში დაწყებულ ბუნტს, სოლიდარობის ნიშნად, სხვადასხვა ციხეებში მყოფი პატიმრებიც გამოეხმაურნენ

A4

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

### ამინდი

| | 10/01 | 11 /01 |
|---|---|---|
| თბილისი | 0 | -4 |
| ტყიბული | 2 | 2 |
| სოხუმი | 1 | 3 |
| გორი | -3 | -5 |
| ონი | -6 | -9 |
| ზუგდიდი | 5 | 7 |
| ახმეტა | 0 | -3 |
| გაგრა | 2 | 3 |
| სამტრედია | 5 | 6 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7975 |
| ევრო | 2.1755 |
| გირვანქა სტერლ. | 3.1755 |
| რუბლი | 0.0625 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| ამბები | A 4 |
| სამართალი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| პროექტი | A 8 |


# გზა ენერგეტიკული უსაფრთხოებისაკენ

მიხეილ სააკაშვილი
*საქართველოს პრეზიდენტი*

გასულ კვირაში რუსეთმა უკრაინაში გაზის მოწოდების შეწყვეტის, ხოლო მალევე - განახლების შესახებ განაცხადა. ეს იყო მოკლევადიანი კრიზისი, რომელსაც ევროპის ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის, შესაძლოა, დიდმასშტაბიანი შედეგები მოჰყვეს და რამაც უნდა წარმოშვას კითხვები რუსეთის, როგორც ენერგორესურსების საიმედო მომწოდებლის, შესახებ. გაზის თვითნებურმა გამორთვამ მთელ ევროკავშირს დაანახა: არ შეიძლება ენერგეტიკული უსაფრთხოება არსებობდეს იქ, სადაც არასაიმედო მეზობელს თავისი ენერგორესურსების პოლიტიკური გავლენის იარაღად გამოყენება შეუძლია და სურს კიდეც.

ჩვენ საქართველოში ამ მოვლენებს დიდი ინტერესით ვაკვირდებოდით ორი ძირითადი მიზეზის გამო. აგვისტოში საქართველო და უკრაინა დემოკრატიული არჩევანის თანამეგობრობის შექმნის ინიციატორები გახდნენ. ამ თანამეგობრობამ პირველი სხდომა წინა თვეში კიევში გამართა, სადაც მან დემოკრატიული ქვეყნების მობილიზება დაიწყო ჩვენი საერთო მიზნების მისაღწევად. "ვარდებისა" და "ნარინჯისფერი" რევოლუციებით საქართველოსა და უკრაინაში ჩვენმა ხალხებმა გააკეთეს არჩევანი საზოგადოების დემოკრატიული განვითარების სასარგებლოდ და ჩვენი ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების ორიენტაციის დასავლეთისკენ შეცვლა გადაწყვიტეს. ჩვენ ჩვენი მომავალი კეთილდღეობისა და ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის სასიცოცხლო აუცილებლობად ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირება მიგვაჩნია და გვსურს, ნატო-სა და ევროკავშირის წევრები გავხდეთ. ჩვენ მუდმივად ვცდილობთ, ჩვენს უზარმაზარ მეზობელთან კარგი ურთიერთობა შევინარჩუნოთ. მაგრამ რუსეთის ხელისუფლების ამასწინანდელი ქმედება კიდევ ერთი მაგალითი იყო ამ ქვეყნის მისწრაფებისა, მეზობელ ქვეყნებზე ზეგავლენა მოახდინოს. ვაკეთებთ რა ჩვენს მეზობელ უკრაინასთან დემოკრატიული სოლიდარობის დემონსტრირებას, ჩვენ ვიზიარებთ აღშფოთებას, რომელიც ევროპამ რუსეთის ძალისმიერი მოქმედებების გამო გამოხატა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მძიმე შრომა გერმანული ზედამხედველობით

### ტოპმიოლერი კატორღას გვპირდება

მიხეილ აბაიშვილი

გილოცავთ: გუშინ, სასტუმრო "თბილისი მარიოტში", მოხდა კონტრაქტის გაფორმება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და კლაუს ტოპმიოლერს შორის. ეს სახელოვანი და მთელს მსოფლიოში უდიდესი ავტორიტეტის მქონე გერმანელი სპეციალისტი, სულ მცირე, მომდევნო ორი წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულ ნაკრებს გაწვრთნის.

ბოლო 12 წლის მანძილზე არაერთხელ მოგვისმენია ფუჭი დაპირებები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებისა და მათი რჩეული მწვრთნელებისგან.

გაგრძელება A6 გვერდზე



საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრა კლაუს ტოპმიოლერთან.

# ბჟეზინსკის "ახალი სტრატეგიული არჩევანი"

### ერაყიდან ჯარის გამოყვანა სულაც არ ნიშნავს აშშ-ს დამარცხებას

*ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი, აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის, ჯიმი კარტერის ყოფილი მრჩეველი ეროვნული უშიშროების საკითხებში ზბიგნევ ბჟეზინსკი ჯორჯ ბუშს ერაყში შეერთებული შტატების მიზნების გადახედვისკენ მოუწოდებს.*

გაზეთ "ვაშინგტონ პოსტში" გამოქვეყნებულ სტატიაში ბჟეზინსკი ბუშს სთავაზობს აღიაროს, რომ ერაყში არჩევანი კეთდება არა "გამარჯვებასა" და "დამარცხებას" შორის, როგორც ეს ოფიციალურ დოკუმენტებშია აღნიშნული, არამედ ხანგრძლივ, უშედეგო ოკუპაციასა და ჯარების შედარებით სწრაფ გამოყვანას შორის, რომელიც სულაც არ ნიშნავს აშშ-ს დამარცხებას.

იგი აღნიშნავს, რომ "გამარჯვება", რომელსაც ადმინისტრაცია ესწრაფვის - ერაყის შეიარაღებული ძალების დახმარებით გაანადგუროს აჯანყებულები და ერთიან ერაყში სტაბილური საერო დემოკრატია შექმნას - არსებულ პირობებში მიუღწეველია.

გაგრძელება A3 გვერდზე



ზბიგნევ ბჟეზინსკი: ერაყში არჩევანი კეთდება არა "გამარჯვებასა" და "დამარცხებას" შორის, არამედ ხანგრძლივ, უშედეგო ოკუპაციასა და ჯარების შედარებით სწრაფ გამოყვანას შორის.

# სეპარატისტებს აღელვებთ 15 თებერვლის მოახლოება

გიორგი ასანიშვილი

რაც უფრო ახლოვდება 15 თებერვალი - ცხინვალის რეგიონიდან რუსული სამშვიდობო ძალების გაყვანის ულტიმატუმის ვადა, სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ ხელისუფლებაში სულ უფრო მეტი შეშფოთება და გაღიზიანება შეინიშნება.

ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საქართველოს შემადგენლობაში რეინტეგრაციამ რეალური კონტურები ეუთო-ს ლუბლიანის დეკემბრის სამიტზე შეიძინა.

ცხინვალის დღევანდელ ხელმძღვანელობას რომ ნერვებმა უმტყუნა, ეს ფაქტიც ადასტურებს: ედუარდ კოკოითის "სამშვიდობო ინიციატივიდან" სულ ცოტა ხნის შემდეგ გამოქვეყნდა 30 ქართველი მაღალჩინოსნის სია, რომლებიც სეპარატისტებმა "ძებნილებად" გამოაცხადეს. "დამნაშავეთა" რეაქცია ისეთი იყო, როგორიც შეიძლებოდა ყოფილიყო - ირონიული და თავშეკავებული.

შიშს დიდი თვალები აქვს - სეპარატისტული ცხინვალი უკვე შერეული სამშვიდობო ძალების ფარგლებში ქართული მხარის მიერ თავისი კონტინგენტის როტაციასაც კი აპროტესტებს. ცხინვალის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის, შერეული საკონტროლო კომისიის ოსური მხარის თანათავმჯდომარის ბორის ჩოჩიევის თქმით, თურმე, "არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ქართული ბატალიონის ხშირი როტაციის მიზანია ადგილობრივი ტერიტორიის შესწავლა (?!) და სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ."

ოსური მხარე შერეული საკონტროლო კომისიის სხდომის თბილისში ჩატარებაზე არაფრით თანხმდება, იმ მოტივით, რომ საქართველოს დედაქალაქში ოსური მხარის წარმომადგენლებს საფრთხე ემუქრებათ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რეფერენდუმის სავარაუდო შედეგები

*საინიციატივო ჯგუფი პარლამენტისთვის მიცემულ პირობას გადაჭარბებით ასრულებს და, ხუთ დღეში, მერობისა და გამგებლების არჩევითობის მომხრეთა 30 ათასზე მეტ ხელმოწერას გვპირდება.*

ნანა ქადაგიშვილი

მერებისა და გამგებლების არჩევითობის მოთხოვნით, რეფერენდუმის ჩატარების იდეა 23 მოქალაქისგან შემდგარმა საინიციატივო ჯგუფმა (ირაკლი მელაშვილი, გუბაზ სანიკიძე, ვახტანგ ხმალაძე და სხვები) ჯერ კიდევ გასული წლის ზაფხულში წამოაყენა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში სარეფერენდუმო საკითხის შესახებ განცხადება ორჯერ შეიტანა, თუმცა რეფერენდუმის ჩატარებაზე ორჯერვე უარი მიიღო. ცესკო-მ საინიციატივო ჯგუფის მიერ შეთავაზებული სარეფერენდუმო საკითხი განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხად არ მიიჩნია. ამასთან, როგორც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაასკვნა, განცხადება "რეფერენდუმის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მეათე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით იქნა შეტანილი. **"აღნიშნული კანონის მეათე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სარეფერენდუმოდ შეთავაზებული საკითხი საინიციატივო ჯგუფმა მკაფიოდ და კონკრეტულად უნდა ჩამოაყალიბოს. საინიციატივო ჯგუფის მიერ შეთავაზებული სარეფერენდუმო საკითხი კი მოქალაქეთათვის ძნელად აღსაქმელი, გაუგებარია,"** - აღნიშნულია ცესკო-ს მიერ გაკეთებულ დასკვნაში. თუმცა, საინიციატივო ჯგუფმა, რომელსაც ოპოზიციური პარტიებიც ("სახალხო ფორუმი", "რესპუბლიკელები", "კონსერვატორები", "მემარჯვენეები", "ეროვნულ-დემოკრატები") შეუერთდნენ, რეფერენდუმის ჩატარების უფლება მაინც მოიპოვა. 19 დეკემბერს პარლამენტის ბიურომ მას ხელმოწერების შეგროვების უფლება მისცა. 20 დეკემბერს კი პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ხათუნა გოგორიშვილმა "სახალხო ფორუმის" წევრს ირაკლი მელაშვილს საინიციატივო ჯგუფის სარეგისტრაციო ნომერი და ბლანკები ხელმოწერების შესაგროვებლად ოფიციალურად გადასცა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# აპოლიტიკური ორგანიზაციის პოლიტიკური დისბალანსი

*"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის", ორ ფრთად გაყოფილი, ყოფილი და მოქმედი წევრები დაპირისპირების მიზეზად ასოციაციის საწევროს გადაუხდელობას ასახელებენ, თუმცა ერთლარიანი საწევროს საბაბით დაწყებულ დაპირისპირებას უფრო პოლიტიკური იერი აქვს.*

თამარ მაისურაძე

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ერთ-ერთი დამფუძნებელი გია გეწაძე ორგანიზაციას კანტორას უწოდებს და მის ხელმძღვანელობას გადაწყვეტილებების ერთპიროვნულ მიღებაში ადანაშაულებს; მეორე - ლევან ალაფიშვილი, ასოციაციას ძველ დამსახურებას არ უკარგავს, მაგრამ სხვათაშორის დასძენს, რომ **"დადგა დრო, როცა უნდა დავიწყოთ დისკუსია და ჩამოვაყალიბოთ ახალი სტრატეგია, რომელიც ასოციაციის საფუძველი გახდება".** გეწაძის და ალაფიშვილის პოზიციას საია-ს კიდევ რამდენიმე წევრი - პაატა ლეჟავა, ნუგზარ გუმბერიძე და დავით კაკაბაძე - იზიარებს და ორგანიზაციის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გადაყენებას მოითხოვს.

საია-ს წარმომადგენელი ზურაბ ბურდული მიიჩნევს, რომ გეწაძისა და მისი "თანამოაზრეების" მიერ გაკეთებული განცხადება ორგანიზაციის წევრებისთვის მოულოდნელი არ იყო, რადგან ისინი მმართველი პარტიის პოლიტიკური ინტერესების გამტარებელნი არიან. " **გადახედეთ დღევანდელი განცხადების ავტორთა პოლიტიკურ კარიერას. ჩვენს პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც ჩვენმა ზოგიერთმა წევრმა პოლიტიკურ წნეხს ველარ გაუძლო,"** - დასძინა მან.

ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი თინა ხიდაშელი აღნიშნავს, რომ გამგეობაში პოლიტიკური ბალანსი დაცულია.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ინფლაციის საუკეთესო მაჩვენებელი

ბოლო სამი წლის განმავლობაში პირველად, საქართველოში ინფლაციის მაჩვენებელი 7 პროცენტზე ნაკლები იყო და მან 6.2 პროცენტი შეადგინა. ეს მაშინ, როდესაც მსოფლიოში ნავთობის ფასების ზრდის გამო მრავალმა, მათ შორის, განვითარებულმა ქვეყნებმა, ფასების დაგეგმილზე მეტი ოდენობით მატება ვერ შეაჩერეს.

საქართველოში 2005 წლის მაკროეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევას სამომხმარებლო ფასების ზრდის დაბალი ტემპი წარმოადგენდა. 2005 წელს მონეტარული ბაზა 2004 წელს დაფიქსირებული 44-პროცენტიანი ზრდის ფონზე უმნიშვნელოდ, მხოლოდ 19.7 პროცენტით გაიზარდა, რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებით, გათვალისწინებულ მიზნობრივ პარამეტრზე 6 პროცენტითაც კი ნაკლებია. ფულის მასის ზრდაზე კონტროლის დამყარება კოორდინირებული მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის შედეგია.

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის დავით ამაღლობელის შეფასებით, **"ინფლაციის ზრდის ტემპის შეჩერება, ძირითადად, ფულის მასის ოპტიმალური ოდენობით მატებამ და ლარის გაცვლის კურსის სტაბილურობამ განაპირობა. 2002 წლიდან 2004 წლის ჩათვლით ინფლაცია აღმავალი ტემპებით ხასიათდებოდა. 1999 წლის შემდეგ 2004 წელს ინფლაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა და მან 7.5 პროცენტი შეადგინა. 2002 წლიდან დაწყებული ზრდადი ტენდენციის შეჩერება 2005 წელს მოხერხდა, რის შედეგადაც წლიურმა ინფლაციამ მხოლოდ 6,2 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული პარამეტრი დაბალია დსთ-ს მთელი რიგი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, რაც მეტად საგულისხმოა საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობისა და შაქრის ფასების საგრძნობი ზრდისა და შიდა ბაზარზე არსებული ზეწოლების კონტექსტში. საქართველოში ფასების ზრდის განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორი ასევე იყო აქციზურ საქონელზე საგადასახადო განაკვეთების მატება, კერძოდ, თამბაქოს ნაწარმსა და ალკოჰოლურ სასმელებზე."**

აღსანიშნავია, რომ დსთ-ს სხვა სახელმწიფოებში სამომხმარებლო ფასების ზრდა 2005 წელს ორციფრიანი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა. კერძოდ, ორციფრიანი ინფლაცია დაფიქსირდა რუსეთში, აზერბაიჯანში, უკრაინაში, მოლდოვაში და ბელარუსში. ასევე პროგნოზირებულზე მაღალია ინფლაცია ბევრ განვითარებულ სახელმწიფოში, მათ შორის, აშშ-შიც. საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის შეფასებით, **"ინფლაციის მაღალ დონესა და გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას შორის მჭიდრო უარყოფითი კავშირი არსებობს. საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ხშირ შემთხვევაში მაღალი და ზრდადი ინფლაციის ტენდენციის შეჩერება ძალზე რთულია."**

2006 წლისათვის საქართველოში ინფლაციის პროგნოზული მაჩვენებელი დაახლოებით 5-6 პროცენტს შეადგენს.

*24 საათი*

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №992

**31 დეკემბერი, 2005 წელი**

### საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის შესარჩევად ღია კონკურსის დანიშვნის შესახებ

1. საქართველოს საარჩევნო კოდექსის 27-ე მუხლისა და 28-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად 2006 წლის 16 იანვრიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის შესარჩევად.

2. კონკურსის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ (გ. არველაძე) 2006 წლის 16 იანვრამდე შექმნას კონკურსის სამდივნო და განახორციელოს სხვა საჭირო ღონისძიებები.

3. საბუთები მიიღება კონკურსის გამოცხადებიდან 14 დღის განმავლობაში (მისამართი: 0134, ქ.თბილისი, პ. ინგოროყვას 7, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, კონკურსის სამდივნო). თუ აღნიშნულ ვადაში არ მოხდება არანაკლებ ორი კანდიდატის წარდგენა, კონკურსი გრძელდება იმ ვადით, რომლის განმავლობაშიც მოხდება ორი კანდიდატის წარდგენა.

4. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 25 წლის ასაკიდან, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" მე-18 მუხლის მე-5 ნაწილით, ამ განკარგულების მე-5 პუნქტითა და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

5. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატი შეიძლება იყოს უპარტიო, უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელიც თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, საზოგადოებაში სარგებლობს დადებითი რეპუტაციით, აქვს არანაკლებ 3 წლის შრომითი გამოცდილება და საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.

6. კონკურსის სამდივნოში წარდგენილ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს: კანდიდატის გვარი, სახელი, განათლება, სპეციალობა, სამეცნიერო ხარისხი (თუ აქვს), მისამართი (საქართველოს მოქალაქის პირადობის (რეგისტრაციის) მოწმობის შესაბამისად), სამუშაო ადგილი და თანამდებობა, საკონტაქტო მისამართი და ტელეფონის ნომერი (თუ აქვს). განცხადებას ხელს უნდა აწერდეს კანდიდატი და მას უნდა დაერთოს:

ა) კანდიდატის 2 ფოტოსურათი;

ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის (რეგისტრაციის) მოწმობის ქსეროასლი;

გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;

დ) საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის ქსეროასლი;

ე) კანდიდატის შრომითი ბიოგრაფია და არჩევნებში მონაწილეობის გამოცდილების აღწერა (თუ აქვს ასეთი გამოცდილება);

ვ) ხელწერილი, რომელიც ადასტურებს პირის შესაბამისობას საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" მე-18 მუხლის მე-5 ნაწილითა და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან.

7. განკარგულების შესრულების კონტროლი განახორციელოს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ (გ. არველაძე).

*მიხეილ სააკაშვილი*

ნაუტილუსი

- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
  უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

"ნაუტილუსი" აცხადებს მნიშვნელოვან საახალწლო **ფასდაკლებას (25% - 50%)** "წონაში კლების და გაჯანსა-ღების" ახალ პროგრამაზე და ფიტნეს კლუბ "ნაუტილუს"-ში.

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge
Web-site: www.nautilus.ge

# აპოლიტიკური ორგანიზაციის პოლიტიკური დისბალანსი

პირველი გვერდიდან

"ორი "რესპუბლიკელის" გარდა, გამგეობის წევრები არიან კოტე კუბლაშვილი და თავად ლევან ალაფიშვილი, ასევე, გასული წლის ოქტომბრამდე წევრი იყო გიორგი პაპუაშვილიც. თინა ხიდაშელისთვის, როგორც თავად აღნიშნა, გუშინდელი განცხადებები მოულოდნელი არ ყოფილა, **"უბრალოდ, ასეთ უნიჭო სიურპრიზს არ ველოდი,"** - ამბობს იგი და იმასაც ხაზს უსვამს, რომ ასოციაციის თავმჯდომარე ანა დოლიძე საქართველოში არ არის ანუ "თავდასხმისთვის" დროც შესაბამისად შეირჩა.

**"ამ ადამიანებიდან, ლევან ალაფიშვილის გარდა, ასოციაციის წევრობა ყველას შეჩერებული აქვს. ამდენად, მათ რაიმე განცხადების გაკეთების არანაირი ფორმალური უფლება არ აქვთ. რაც შეეხება ალაფიშვილს, მისი საქციელი არაადეკვატურია. პრეტენზია თუ ჰქონდა, პირველ რიგში, გამგეობის სხდომაზე ესაუბრა და მერე ეთქვა გარეთ,"** - აცხადებს ხიდაშელი.

ალაფიშვილი თავის მხრივ აღნიშნავს, რომ ასოციაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, პირველ რიგში, შიდა განსჯის საგანი უნდა იყოს. მისივე თქმით, არ შეიძლება საფრთხე შეექმნას თავად ასოციაციის არსებობას, **"მით უმეტეს, დღეს, როდესაც არასამთავრობო სექტორში კრიზისია".**




*ახალგაზრდა იურისტები.*

# ეკონომიკური განვითარების მინისტრი 2005 წლის შედეგებს აჯამებს

მარიამ ჭაჭვაძე

*ამის შესახებ ეკონომიკური განვითარების მინისტრს ჟურნალისტებთან ახალ წლამდე ორი დღით ადრე, 30 დეკემბერს უნდა ესაუბრა, თუმცა პრემიერ-მინისტრთან მოულოდნელმა გამოძახებამ, ირაკლი ჩოგოვაძეს ბრიფინგის გაურკვეველი ვადით გადადება აიძულა. რა მოხდა 2005 წელს ქვეყნის ეკონომიკაში ყველაზე მნიშვნელოვანი და რა ცვლილებებია მოსალოდნელი ახალ, 2006 წელს? ამ თემაზე მინისტრი გუშინ დიდხანს და დეტალურად საუბრობდა.*

ირაკლი ჩოგოვაძე გასულ წელს წარმატებულს უწოდებს და აცხადებს, რომ შარშან ქვეყნის ეკონომიკაში ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილება განხორციელდა. ამის დასტურად მან საერთაშორისო ექსპერტების შეფასებები მოიშველია. კერძოდ: "ინტერნეიშენელ ფაინენშელ კორპორეიშენმა", გატარებული რეფორმების მიხედვით, საქართველო მსოფლიოში მეორე რეფორმატორ ქვეყნად დაასახელა.

მინისტრის თქმით, გასულ წელს საქართველოს "GSP+" სისტემით სარგებლობის უფლება მიენიჭა, რაც ნიშნავს, რომ ქართველ ექსპორტიორებს შესაძლებლობა აქვთ, ევროკავშირის ბაზარზე 7 200 დასახელების საქონელი უბაჟოდ შეიტანონ. **"ეს კი ქვეყანაში დამატებითი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად შესანიშნავ პერსპექტივებს ქმნის,"** - დასძენს ჩოგოვაძე.

### პრივატიზაცია - ძველი და ახალი წლის

მინისტრი ჩოგოვაძე ქვეყანაში 2005 წელს განხორციელებული პრივატიზაციის პროცესით კმაყოფილია და მას დადებითად აფასებს. მისივე იფორმაციით, გასულ წელს პრივატიზაციიდან სახელმწიფო ხაზინაში 387 მილიონი ლარი შევიდა, ხოლო მიმდინარე წელს მინისტრი სახელმწიფო ქონების გასხვისებიდან ოდნავ ნაკლებს, 340 მილიონ ლარს ელოდება.

"რუსთავის მეტალურგიული ქარხანა", სს "მადნეული", "საოკეანო სანაოსნო" და სს "აზოტი" - მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ამ ობიექტის გასხვისებას შარშან საკმაოდ დიდი ხმაური და არაერთი სკანდალი მოჰყვა, მინისტრი მათ გაყიდვას ყველაზე წარმატებულად აფასებს. მინისტრის განცხადებით, მეტალურგიულსა და აზოტში მათი ახალი მფლობელები დაახლოებით 200 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციას განახორციელებენ.

"ნომინაციაში" წლის "საუკეთესო გარიგება" - მინისტრმა ჩოგოვაძემ სს "მადნეული" და "საოკეანო სანაოსნო" დაასახელა.

გასულ წელს დაახლოებით 100-მდე ობიექტი გაიყიდა. აქედან, აუქციონის წესით - 70 ობიექტი, პირდაპირი მიყიდვის წესით - 4, ხოლო კონკურსის წესით - 15 ობიექტი.

2006 წელს ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება ენერგოპროექტების და საქართველოს გაერთიანებული საკომუნიკაციო კომპანიის (ყოფილი "ელექტროკავშირი") პრივატიზაცია. რაც შეეხება ენერგოობიექტების გასაყიდ ფასს, ჩოგოვაძის თქმით, მათი განსაზღვრა აუდიტორული დასკვნების საფუძველზე მოხდება, თუმცა აუდიტს რომელი კომპანიები განახორციელებენ, ამ დროისთვის ცნობილი არ არის.

**"ელექტროკავშირის" შემთხვევაში შესაძლოა ჩვენ უფრო ეკონომიური გზით წავიდეთ. ისეთი აუდიტორის დაქირავებას ვაპირებთ, რომელიც საერთაშორისო ინსტიტუტებისათვის მისაღებ საინფორმაციო ბაზას მოამზადებს,"** - განაცხადა მინისტრმა.

რაც შეეხება ენერგოობიექტებს. მინისტრის განცხადებით, ამჟამად მსჯელობა მიმდინარეობს.

შეგახსენებთ, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ამ ობიექტების პრივატიზაციის მიზნით საინვესტიციო ბანკების მოზიდვას აპირებდა.

### ინვესტიციები 2005 და 2006

ეკონომიკური განვითარების მინისტრი იმასაც ირწმუნება, რომ საქართველო წელს პირველად გავიდა საერთაშორისო არენაზე, როგორც კარგი საინვესტიციო ქვეყანა. იმ ფაქტს, რომ შარშან ჩვენს ქვეყანაში ინვესტიციების მოცულობა, 2004 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა, ირაკლი ჩოგოვაძე შემდეგი მაგალითებით ადასტურებს: 2004 წელს საქართველოს კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა კრედიტების მოცულობამ 180 მილიონი ლარი შეადგინა, გასული წლის პირველ 11 თვეში კი ამ მაჩვენებელმა 640 მილიონ ლარს მიაღწია.

**"ინვესტიციების მოცულობა წელსაც გაიზრდება,** - ამბობს მინისტრი, **- მხოლოდ ერთი თურქული კომპანია უახლოეს მომავალში საქართველოში 95 მილიონი აშშ დოლარი ინვესტიციას გეგმავს."** საუბარია იმ თურქულ კონსორციუმზე, რომელმაც თბილისის საერთაშორისო აეროპორტის რეკონსტრუქცია მიმდინარე წლის ზამთრამდე უნდა დაასრულოს. თბილისის საერთაშორისო აეროპორტს საათში 2000-მდე მგზავრის ერთდროულად მომსახურება შეეძლება და მისი წლიური შემოსავლები 2 მილიონ 500 ათას ლარს გაუტოლდება.

ეკონომიკური განვითარების მინისტრის პროგნოზით, წელს ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი, სავარაუდოდ, 8.8 პროცენტს მიაღწევს. 2005 წლის მშპ-ს ზრდის დინამიკის საბოლოო მაჩვენებლები თებერვალში გახდება ცნობილი.

### სახელმწიფო საწარმოები

აქტიური პრივატიზაციის პროცესის მიუხედავად, სახელმწიფო საკუთრებაში ჯერ კიდევ ასეულობით საწარმო რჩება. ირაკლი ჩოგოვაძე ირწმუნება, რომ გასულ წელს ამ საწარმოების მუშაობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და მხოლოდ დივიდენდის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში 35 მილიონი ლარი შევიდა. ერთი წლის წინ ეს მაჩვენებელი 18 მილიონს არ აღემატებოდა. **"მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მუშაობა ისეთმა ლიდერმა საწარმოებმა, როგორიცაა "საქართველოს რკინიგზა", "ელექტროკავშირი", ბათუმისა და ფოთის პორტები,"** - განაცხადა ჩოგოვაძემ. მისივე თქმით, წელს "ელექტროკავშირი" 11 მილიონი აშშ დოლარის მოგებას ნახავს, რაც წინა წლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პარამეტრია, ხოლო ფოთის პორტის მოგება წელს, შარშანდელთან შედარებით, ათჯერ გაიზრდება.

### გაზსადენის შესახებ

ირაკლი ჩოგოვაძის ინფორმაციით, მაგისტრალური გაზსადენის გაყიდვის შესახებ საქართველოს ხელისუფლებას გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. **"მაგისტრალური გაზსადენის გაყიდვის თემა პოლიტიკურ-ეკონომიკური საკითხია. ეს თემა მხოლოდ ეკონომიკას რომ მოიცავდეს, მაშინ გადაწყვეტილების მიღება უფრო მარტივად მოხდებოდა,"** - განაცხადა მინისტრმა. მისი თქმით, მაგისტრალური გაზსადენი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორისთვის, ამერიკისთვის საინტერესო თემაა, **"ამის გათვალისწინება კი აუცილებელია."**

შეგახსენებთ, რომ ცენტრალური მაგისტრალური გაზსადენის გაყიდვის შესახებ ინფორმაცია თბილისში "გაზპრომის" წარმომადგენლების ვიზიტისას გახმაურდა. "გაზპრომის" წარმომადგენელმა ალექსეი რიაზანოვმა განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობა ცენტრალური გაზსადენის გაყიდვის შესახებ გადაწყვეტილებას 2006 წლის პირველ კვარტალში მიიღებს. ერთ-ერთი ვერსიით, "გაზპრომმა" საქართველოს ცენტრალურ მაგისტრალურ გაზსადენში 200 მილიონი დოლარი შესთავაზა, თუმცა ჩოგოვაძე აცხადებს, რომ "გაზპრომის" წარმომადგენლებთან ფასზე საუბარი არ ყოფილა.

### 2006 წლის პრიორიტეტები

ქვეყნის ეკონომიკის სფეროებიდან ყველაზე პრიორიტეტული 2006 წელს ტრანსპორტის სექტორი იქნება. ამის შესახებ განცხადება ეკონომიკური განვითარების მინისტრმა გუშინდელ ბრიფინგზე გააკეთა. მისი თქმით, ტრანსპორტის სექტორის ინვესტირება 2006 წელსაც გაგრძელდება. **"განსაკუთრებულ მნიშვნელობას "საქართველოს რკინიგზას", ფოთის და ბათუმის პორტებს ვანიჭებთ, რადგან მშრალი და თხევადი ტვირთების გადაზიდვა ამ ობიექტების გავლით ხდება. ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა იმაზე უნდა იყოს გათვლილი, რომ ტვირთბრუნვის მაჩვენებელი გაიზარდოს,"** - განაცხადა ჩოგოვაძემ. მინისტრის ინფორმაციით, გასულ წელს რკინიგზით გადაზიდული ტვირთების მოცულობამ 21 მილიონ ტონას გადააჭარბა, ხოლო ფოთისა და ბათუმის პორტებში ერთობლივმა ტვირთბრუნვამ 38 მილიონი ტონა შეადგინა.

გზების კეთილმოწყობა - ეს სამინისტროსთვის კიდევ ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. მინისტრის თქმით, ამ კუთხით მუშაობა 2006 წელსაც იგივე ტემპით გაგრძელდება. წელს დაიწყება თბილისი-ახალქალაქი-სომხეთის საგზაო მონაკვეთის მშენებლობა, რომელიც საქართველოს თურქეთთან და რუსეთთან დააკავშირებს. მინისტრი ვარაუდობს, რომ მარშრუტით მომავალში ყაზახეთი და ჩინეთიც დაინტერესდებიან.

რაც შეეხება საჰაერო ტრანსპორტს, ამ სეგმენტთან მიმართებაში ხელისუფლება კვლავ "ღია ცის" პრინციპს ინარჩუნებს, ეს კი იმის რეალურ წინაპირობას ქმნის, რომ ბაზარზე ახალი სუბიექტები გამოჩნდნენ. **"წელს ავიაკომპანიების რეგისტრაცია გამარტივდება და ხელშეკრულების გაფორმება უფრო სწრაფად მოხდება. ამის წარმატებული მაგალითია ურთიერთობა "თურქეთის ავიახაზებთან", რადგან ამ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ თურქეთის მიმართულებით ფრენის უფლება ქართულმა კომპანიამაც მიიღო,"** - განაცხადა ჩოგოვაძემ.

ორ ახალ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციაში, აზიის განვითარებისა და ევროსაბჭოს განვითარების ბანკებში გაწევრიანება - ესეც მინისტრის უახლოეს, 2006 წლის გეგმებში შედის.

წელსვე, ბიზნესის ხელშეწყობისთვის, სამინისტრო საქართველოს რეგიონებში დასაქმებულ მცირე და საშუალო მეწარმეებთან რეგულარული გასვლითი შეხვედრების გამართვას გეგმავს. მინისტრის თქმით, შეხვედრებზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიქმნება ბიზნესცნობარები, რაც საერთაშორისო შემსყიდველებს ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის შესახებ ინფორმაციის მიღების საშუალებას მისცემს. გარდა ამისა, სამინისტროში მიმდინარე წელს დაგეგმილია ბიზნესმენთა უფლებების დასაცავად "ცხელი ხაზის" და უწყებათშორისი კომისიის ამოქმედება. ასევე, დარგების მიხედვით სპეციალური ბიზნესსაბჭოების შექმნა, რომელიც ბიზნესის წამხალისებლის და დამცველის როლს შეასრულებს.

# პრაღაში - მეტროს გასაცნობად

ნათია მსხილაძე

რამდენიმე ხნის წინ პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მალე თბილისის მეტრო პრაღის მეტროპოლიტენს დაემსგავსებაო. ამასთან დაკავშირებით დავალებებიც კი მიიღეს ქალაქის მერმა და მეტროპოლიტენის გენერალურმა დირექტორმა. პრეზიდენტის სურვილით მაქსიმუმ ორ წელიწადში თბილისს ევროპული სტანდარტების მეტროპოლიტენი უნდა ჰქონდეს. თბილისის მეტროპოლიტენში 53-მდე მატარებელი და 212 ვაგონია. პრეზიდენტის მითითებით მატარებლებთან ერთად სადგურების დიზაინიც უნდა შეიცვალოს. გვექნება 22 თანამედროვე სადგური. ვაგონები გლდანის ქარხანაში განახლდება, რადგან ადგილობრივი წარმოების პირობებში თითო ვაგონის ასაგებად 250 ათასი დოლარი დაიხარჯება. სპეციალისტების განცხადებით, საქართველოში ვაგონების განახლება საკმაოდ იაფი ჯდება. ასეთივე ტიპის ვაგონები რუსეთიდან რომ შემოგვეყვანა, ერთი ვაგონის შესაძენად 750 ათასი დოლარი უნდა გადაგვეხადა, ევროპიდან შემოყვანის შემთხვევაში - მილიონ 200 ათასი. პრაღის მეტროპოლიტენის გასაცნობად თბილისის მერი გიგი უგულავა და მეტროპოლიტენის ხელმძღვანელი ზურაბ კიკალეიშვილი ჩეხეთში გაემგზავრნენ. რა თანხა დაიხარჯება თანამედროვე მატარებლებსა და სადგურების მშენებლობაზე, ჯერჯერობით, უცნობია. დანამდვილებით მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ მგზავრობის ღირებულებამ 20 თეთრს არ უნდა გადააჭარბოს.

# რუსები და თურქები აფხაზეთში

უცხოური კომპანიებიდან აფხაზეთში, ძირითადად, რუსეთისა და თურქეთის კომპანიები მოღვაწეობენ. კონტრაქტების საფუძველზე, ქვანახშირს, უმეტესწილად, თურქული კომპანიები მოიპოვებენ. ქვანახშირის ათვისება ტყვარჩელის მაღარო "ხუძგაში" აღდგა. იქვე დასრულდა ტექნიკური მოწყობილობის მონტაჟი და ამუშავდა ქვანახშირის გასამდიდრებელი ფაბრიკა. აფხაზეთის ეკონომიკის პრიორიტეტულ მიმართულებად ტურიზმი რჩება. აფხაზეთში ტურიზმის აღორძინებს საკითხებში რუსეთის კომპანიები დომინირებენ. ბოლო ორი წლის განმავლობაში რუსეთიდან ტურისტული სააგენტოების 55 წარმომადგენელი ჩავიდა. მათ ახალი ათონის, სოხუმის და ოჩამჩირის პანსიონატებში ჩადეს კაპიტალი. 2002 წელს აფხაზეთში 120 ათასმა რუსმა ტურისტმა დაისვენა, 2003 წელს - 200-250 ათასამდე, 2004-2005 წლებში ამ მაჩვენებელმა 450 ათასს გადააჭარბა. აფხაზეთში რუსულ-აფხაზური ერთობლივი საწარმოები ამოქმედდა. მათი საქმიანობა ტურისტული ობიექტების კეთილმოწყობა-რეაბილიტაციით შემოიფარგლება. დასრულებულია რამდენიმე ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობა. სოხუმში, სასტუმრო "თბილისის" ტერიტორიაზე თურქეთის მოქალაქეებმა ევროპული სტანდარტების შესაბამისი სასტუმროს მშენებლობა დაასრულეს. იმავე ფირმამ აღადგინა ლენინის ქუჩაზე მდებარე სასტუმრო "რიწა". სოხუმის პორტიდან თურქეთის მიმართულებით ხე-ტყის გადინება გრძელდება. პროცესი ბზიფის ხეობიდან მიმდინარეობს, რომელიც დე ფაქტო ხელისუფლების მთავრობამ 25-წლიანი საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე 3 თურქულ კომპანიას გაუფორმა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## მოკლედ

### ოსი სეპარატისტები ქართულ სამშვიდობო ბატალიონში როტაციას აპროტესტებენ

შერეული სამშვიდობო ძალების ქართულ ბატალიონში როტაცია განხორციელდა. როგორც ბატალიონის მეთაურმა პაატა ბედიანაშვილმა განაცხადა, როტაცია მხარეთა შორის შეთანხმების საფუძველზე მოხდა. იგი უსაფუძვლოდ მიიჩნევს ცხინვალის ხელისუფლების ბრალდებას, თითქოს როტაცია უკანონოდ ხდება.

სეპარატისტული ცხინვალი ქართული მხარის მიერ შერეულ სამშვიდობო ძალებში თავისი კონტინგენტის როტაციას აპროტესტებდა. ამის შესახებ ნათქვამია ცხინვალის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის, შერეული საკონტროლო კომისიის ოსური მხარის თანათავმჯდომარის ბორის ჩოჩიევის წერილში, რომელიც მან საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეების მისამართით გაავრცელა. "საკონტროლო კომისიის ოსური მხარე აცხადებს, რომ სამშვიდობო ძალებში ქართული ბატალიონის მორიგი როტაცია უკანონობა იქნება. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ქართული მხარე თავისი სამშვიდობო ბატალიონის როტაციას 10 იანვარს აპირებს. საქართველოს ხელისუფლების ასეთი ქმედება მხარეთა შორის შეთანხმებებს არღვევს, რადგან სამხედრო კონტინგენტების მოქმედების პრინციპების შესახებ ხელშეკრულებით, სამშვიდობო ბატალიონების როტაცია 6 თვეში ერთხელ ტარდება. ქართულმა მხარემ კი გასული წლის იანვრიდან დღემდე კონფლიქტის ზონაში თავისი სამშვიდობო ბატალიონის როტაცია, ორის ნაცვლად, ხუთჯერ განახორციელა. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ბატალიონის ასეთი ხშირი როტაციის მიზანია ადგილობრივი ტერიტორიის შესწავლა და სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ. ფაქტობრივად, ქართული სამშვიდობო ბატალიონი შერეული სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობას კი არა, თავდაცვის სამინისტროს ექვემდებარება, შესაბამისად, უარს ამბობს სამშვიდობო სტატუსზე და უკანონოდ შეიარაღებულ ფორმირებად ყალიბდება," - ნათქვამია ბორის ჩოჩიევის წერილში. **მედიანიუსი**

### ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში გაერთიანებული სამშვიდობო მონიტორინგის მორიგი ეტაპი დაიწყება

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, 11 იანვრიდან გაერთიანებული სამშვიდობო მონიტორინგის მორიგი ეტაპი გაიმართება. მასში მონაწილეობას, დამკვირვებლის სტატუსით, ოთხივე მხარის წარმომადგენელი მიიღებს.

როგორც საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ გიორგი ვოლსკიმ სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენს" განუცხადა, მონიტორინგის ჩატარების შესახებ ლუბლიანაში გამართულ ოთხმხრივ შეხვედრაზე იმსჯელეს.

ქართულმა მხარემ წარმოადგინა მონიტორინგის ჩასატარებელი ტერიტორიების ნუსხა. მასში ჩამოყალიბებულია ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შესაძლო უკანონო ბანდფორმირებების კუთვნილი სანგრების ან იარაღის სავარაუდო საწყობების ადგილსამყოფელი. რამდენიმე ფაქტის შესახებ ინფორმაცია დადასტურდა. გიორგი ვოლსკის თქმით, ანალოგიური ინფორმაცია წარმოადგინა ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებამაც. "ცხინვალის დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით, პოზიტიურია," - განაცხადა ვოლსკიმ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### რამდენიმე სასურსათო მაღაზიას ფრინველის ხორცის და კვერცხის რეალიზაციის უფლება შეუჩერეს

თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლებით დაკომპლექტებულმა ჯგუფებმა დედაქალაქში რამდენიმე სასურსათო მაღაზიას ფრინველის ხორცის და კვერცხის რეალიზაციის უფლება შეუჩერა. რეიდები სასურსათო მაღაზიებში გუშინ დაიწყო. ზედამხედველობის სამსახურის სანიტარიული განყოფილების უფროსის დავით ავალიანის განცხადებით, სარეალიზაციო ქსელში გამოტანილ ფრინველის პროდუქციას ვეტსამსახურის მიერ გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატი უნდა ახლდეს, რომელიც ხორცისა და კვერცხის ვარგისიანობას დაადასტურებს.

ზედამხედველობის სამსახურის მიერ ჩატარებული რეიდის პირველივე დღეს სოფლებიდან შემოტანილი კვერცხი, გაურკვეველი წარმოების ინდაურის ბარკლები და გაყინული ქათმები მაღაზიებიდან ამოიღეს.

როგორც დავით ავალიანმა განაცხადა, ზედამხედველობის სამსახურს ვარგისიანობის დოკუმენტის გარეშე არსებული პროდუქტის ამოღების უფლება არ აქვს, თუმცა მსგავსი პროდუქტი სახელმწიფო ვეტერინარულ ლაბორატორიაში გამოსაკვლევად გადაიტანეს. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# გზა ენერგეტიკული უსაფრთხოებისაკენ

პირველი გვერდიდან

ჩვენ ასევე მხარდაჭერა გამოვხატეთ უკრაინის მიმართ იმიტომ, რომ მსგავსი პრობლემების საკუთარი გამოცდილება გვაქვს. თუ ეს იყო გაზის პოლიტიკურად მოტივირებული შეწყვეტის პირველი შემთხვევა, რომელიც ევროკავშირს შეეხო, საქართველოზე რუსეთს ასეთი ზეწოლა არაერთხელ განუხორციელებია. სწორედ ამიტომ, ჩვენ ენერგიის ალტერნატიულ წყაროებს ვეძებთ. ბოლო დრამატული მოვლენების ფონზე, ევროკავშირისთვის ძალზე მნიშვნელოვანია მოძრაობის დაწყება ენერგორესურსების მიღების წყაროების დივერსიფიკაციისა და მათი მოწოდების ახალი სატრანსპორტო მარშრუტების განვითარებისაკენ. "საბაზრო პრინციპები" - ლეღვის ფოთოლი, რითაც რუსეთი, ტრადიციულად, ფასების გაზრდას ან ენერგორესურსების მიწოდების შეწყვეტას ნიღბავს, საუკეთესო შემთხვევაში, თვალთმაქცობად გამოიყურება. ენერგორესურსებზე რუსული ფასების უკან არანაირი "თავისუფალი ბაზარი" ან "საბაზრო პრინციპები" არ დგას. ენერგონედლეულზე ფასებითა და მიწოდებით მანიპულირება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია იმ ხალხისათვის რუსეთში, ვისაც მიაჩნია, რომ ენერგომატარებლები პოლიტიკური გავლენის საუკეთესო საშუალებებია. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი - საქართველოს ორი ტერიტორია, რომლებიც ჩვენი კონტროლის ზონის მიღმა იმყოფება, მაგრამ რომელთა სეპარატისტული ხელისუფლებებიც უშუალოდ რუსეთიდან იმართება, ბუნებრივ გაზს უფასოდ იღებენ. თავისუფალი ბაზრის მომხრეები ამგვარ პრაქტიკას არ გაამართლებდნენ.

ენერგეტიკული კონტროლის განსახორციელებლად რუსეთი არა მარტო ენერგორესურსების მოწოდებას, არამედ ვრცელ და განშტოებულ მილსადენთა სისტემას იყენებს, რომელიც მემკვიდრეობით პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს ერგოთ და რომელზეც ისინი პირდაპირ არიან დამოკიდებულნი. მაგალითად, როდესაც რუსეთმა ჩემს ქვეყანას მკაცრად მოსთხოვა ბუნებრივ გაზზე გადასახადის მკვეთრი გაზრდა, ჩვენ ყაზახეთს მივმართეთ და დავდეთ წინასწარი შეთანხმება ამ ქვეყნისაგან ნამდვილად საბაზრო ფასებით გაზის შესყიდვის თაობაზე. მაგრამ რუსულმა "გაზპრომმა" უარი გვითხრა გაზის ტრანზიტზე რუსეთის ტერიტორიის გავლით, რის გამოც გარიგება ჩაიშალა. მდგომარეობა კი სულ უფრო უარესდება. ევროკავშირმა ასევე ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ 1999 წლის დეკემბერში - შუა ზამთარში - რუსეთმა, რომელიც ჩვენთვის გაზის ერთადერთი მომწოდებელია, მისი მოწოდება ყოველგვარი მიზეზების ახსნის გარეშე შეწყვიტა და მოწოდება მხოლოდ აშშ-ს ჩარევის შემდეგ განაახლა.

ჩვენთვის, ქართველებისათვის გზა ნათელია. ჩვენ აქტიურად ვმოძრაობთ ენერგორესურსების წყაროებისა და მოწოდების მარშრუტების დივერსიფიკაციის მიმართულებით. მილსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, რომლითაც გაზი აზერბაიჯანიდან თურქეთს მიეწოდება და რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე გაივლის, ამ ძალისხმევის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ევროპისათვის შავი ზღვის აუზის ქვეყნები ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალური აზიიდან ენერგორესურსების მოწოდების ახალი მარშრუტების გასაღებია. ჩვენ მზად ვართ, მჭიდროდ ვითანამშრომლოთ როგორც ჩვენს ევროპელ პარტნიორებთან, ასევე რუსეთთან, რათა მთელი ეს სისტემა უფრო გამჭვირვალე, პროგნოზირებადი და პოლიტიკური ზეგავლენისაგან დაცული იყოს.

*"ვაშინგტონ პოსტი", 9 იანვარი, 2006 წ.*

# რეფერენდუმის სავარაუდო შედეგები

პირველი გვერდიდან

4 თებერვალს საინიციატივო ჯგუფი, მინიმუმ, 30 ათას ხელმოწერას თუ წარადგენს, პარლამენტმა მერებისა და გამგებლების არჩევითობის საკითხი საგაზაფხულო სესიაზე კენჭისყრაზე უნდა დააყენოს. როგორც ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ირაკლი მელაშვილი აცხადებს, მათ 30 ათასზე მეტი ხელმოწერა უკვე 5 დღეში ექნებათ. **"4 თებერვლამდე კი 100 ათასამდე ხელმოწერის შეგროვებასაც მოვასწრებთ,"** - ვარაუდობს მელაშვილი.

თუმცა, როგორც საპარლამენტო ოპოზიციას მიაჩნია, ხელმოწერების საკმარისზე მეტი ოდენობით მოგროვების მიუხედავად, საინიციატივო ჯგუფის ინიციატივას განხორციელების არანაირი შანსი არ აქვს. **"პარლამენტს "ზემოდან" აქვს ნაბრძანები, რომ მერების არჩევითობა არ დაუშვას. ამიტომ ამ საკითხის კენჭისყრაზე დაყენებას არანაირი შედეგი არ მოჰყვება. თუმცა, ამ ინიციატივას აზრი მაინც აქვს - ნათლად დაგვანახებს, რომ პარლამენტს ხალხის ნების გათვალისწინება საჭიროდ არ მიაჩნია. ეს ჩვენი პარლამენტის პოლიტიკური მარცხი იქნება,"** - აცხადებს "რესპუბლიკელი" ლევან ბერძენიშვილი. იგივეს ფიქრობს საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ზურაბ ტყემალაძე: **"დიდი იმედი არც გვაქვს, რომ ხელმოწერების შეგროვების შემდეგ სასურველ შედეგს მივაღწევთ, მაგრამ საზოგადოების აზრს რომ დავაფიქსირებთ, ესეც კარგია."** ჯგუფის მეორე წევრი დავით უსუფაშვილი იმედს არ კარგავს, რომ მათი მცდელობა შედეგიანად დასრულდება.

ბოლო სიტყვა მაინც საპარლამენტო უმრავლესობაზე იქნება. ეს უკანასკნელი კი პოზიციის დათმობას არ აპირებს. **"ბოლომდე ვიბრძოლებ საკუთარი პოზიციის დასაცავად და მოსახლეობას დავუმტკიცებ, რომ მერის პირდაპირი წესით არჩევა დიქტატურის ნაწილია და არა დემოკრატიის. არჩეულ მერს განსაზღვრული ვადის გასვლამდე ვეღარ გადაირჩევ, წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ არჩეული მერის გადარჩევა კი ნებისმიერ დროს შეიძლება, თუკი იგი დაკისრებულ მოვალეობას ვერ შეასრულებს. საინიციატივო ჯგუფის ინიციატივა ხალხის სატყუარაა. ოპოზიციას სურს, თავი გამოიჩინოს და დაამტკიცოს, რომ რაღაცას აკეთებს. ხალხი კი, ბოლოს, მოტყუებული დარჩება,"** - აცხადებს რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და რეგიონული პოლიტიკის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, უმრავლესობის წევრი ალექსანდრე შალამბერიძე.

# სეპარატისტებს აღელვებთ 15 თებერვლის მოახლოება

პირველი გვერდიდან

**"რაკი ოსური მხარის წარმომადგენლებს თბილისში ვეპატიჟებით, ეს იმას ნიშნავს, რომ მათი უსაფრთხოების გარანტიები დაცული იქნება. ჩვენ არ ვამახვილებთ ყურადღებას უსაფრთხოების გარანტიებზე, როცა ქართული მხარის წარმომადგენლები ცხინვალში ჩადიან; ასე რომ, სხდომის გამართვის ადგილად თბილისის კი არა, ვლადიკავკაზის დასახელება მხოლოდ მიზეზია, რათა ეს სხდომა არ გაიმართოს. როგორც ჩანს, ოსური მხარე შერეული საკონტროლო კომისიის სხდომის გამართვით დაინტერესებული არ არის,"** - ოსი სეპარატისტების ქმედების რეალურ მოტივებზე საუბრობს კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ვოლსკი.

ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფალთა "შიშებს" და ნერვიულობას რუსი სამშვიდობოების პროვოკაციული ქმედებებიც ემატება. იმ საბაბით, რომ სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ პატრულირების უსაფრთხოებაზე უარი განაცხადა, კონფლიქტის ზონაში შეწყვეტილია ერთობლივი მონიტორინგის განხორციელება. აღნიშნულთან დაკავშირებით შეშფოთება გამოთქვა საქართველოში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელმა როი რივმა, რომელმაც ცხინვალის რეგიონში შერეული სამშვიდობო ძალების სარდალს მარატ კულახმეტოვს საპროტესტო წერილით მიმართა. რუსი გენერლის პასუხი, როგორც მოსალოდნელი იყო, ცინიკური გამოდგა: მონიტორინგის შეწყვეტა, თურმე, საახალწლო დღესასწაულებით ყოფილა გამოწვეული...

ცხადია, ცხინვალის რეგიონიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის თემა გაცილებით მაღალი დონის პოლიტიკური თამაშია, ვიდრე ბორის ჩოჩიევის ან მარატ კულახმეტოვის განცხადებები და განმარტებები. ამ თამაშის ერთ-ერთ მთავარ მონაწილედ იყო და დღემდე რჩება რუსეთის ხელისუფლება, რომლის შუამავლური მისიისა, უკვე კარგა ხანია, აღარავის სჯერა.

**"თებერვალში მოვისმენთ აღმასრულებელი ხელისუფლების ანგარიშს, შეიცვალა თუ არა ვითარება პროგრესისკენ სამშვიდობოების მიერ მანდატის შესრულებასთან დაკავშირებით. თუმცა, ამთავითვე ცხადია, რომ სამშვიდობო ძალები ქმედითუუნარობას ავლენენ. მოვლენები ისე ვითარდება, რომ, ალბათ, უფრო რეალური გახდება იმ დადგენილების ამოქმედება, რომელიც საქართველოს პარლამენტმა რუს სამშვიდობოებთან დაკავშირებით მიიღო,"** - რუსული ტანკებისა და ჩექმებისგან საქართველოს გათავისუფლების ეპოქის მოახლოებაში ღრმად არის დარწმუნებული პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი.

# თურქეთის აღმოსავლეთში "ფრინველის გრიპის" ახალი კერები გამოვლინდა

თურქეთის აღმოსავლეთში მუშის პროვინციის სამ სოფელში ე.წ. "ქათმის გრიპის" ახალი კერები გამოვლინდა. ამის შესახებ ტელეარხი "Cnn-Turk"-ი ადგილობრივ ხელისუფლებაზე დაყრდნობით იუწყება.

პროვინციის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, იქ გამოცხადებულია კარანტინი და დაწყებულია შინაური ფრინველის დახოცვა.

სულ, თურქეთში "ფრინველის გრიპის" ვირუსი 12 პროვინციაშია დაფიქსირებული, მათ შორის - ქვეყნის დედაქალაქ ანკარაში და სტამბოლის ერთ-ერთ რაიონში.

ტელეარხ "სქაი ნიუსის" მონაცემებით, თურქეთში ვირუს H5N1-ით ადამიანთა დაავადების ხუთი ახალი შემთხვევა გამოვლინდა. "ქათმის გრიპის" სიმპტომებით საავადმყოფოებში დაახლოებით 100 ადამიანი იმყოფება. გრიპით უკვე სამი ბავშვი გარდაიცვალა.

*ინტერპრესნიუსი*

უცხოეთი

# ბჟეზინსკის "ახალი სტრატეგიული არჩევანი"

პირველი გვერდიდან

საქმე ისაა, რომ ერაყში დისლოცირებული ამერიკული კონტინგენტი საკმარისად დიდი არ არის იმისთვის, რომ აჯანყებულები გაანადგუროს ან თუნდაც შეწყვიტოს შეტაკებები სუნიტებსა და შიიტებს შორის.

რაც შეეხება ერაყში არსებულ ორ მთავარ ძალას - შიიტებსა და ქურთებს - ისინი არ აპირებენ, ქვეყნის ერთიანობას, კერძოდ, ძლიერი ერთიანი არმიის შექმნას, საკუთარი ინტერესები მსხვერპლად შესწირონ. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, - წერს ბჟეზინსკი, - შიიტები და ქურთები მზად არიან, გააერთიანონ თავისი ძალისხმევა სუნიტებთან ბრძოლაში, თუმცა, ამავდროულად, სურთ, საკუთარი შეიარაღებული ფორმირებები შეინარჩუნონ.

ბჟეზინსკის მიაჩნია, რომ ამ პირობებში ერაყში ამერიკის ჯარების შემდგომი ყოფნა სრულიად უაზროა და მხოლოდ აღვივებს ოკუპანტებისადმი სიძულვილს მუსლიმურ სამყაროში და ძირს უთხრის აშშ-ს საერთაშორისო ავტორიტეტს. მისი აზრით, ქვეყნიდან საოკუპაციო ჯარების გამოყვანა (თუნდაც 2006 წლის ბოლოსთვის) მხოლოდ რეგიონს და იქ აშშ-ს გავლენის ზრდას წაადგება.

ბჟეზინსკი დარწმუნებულია, რომ ერაყის დამოუკიდებლობას უზრუნველყოფენ შიიტები, რომლებიც ირანთან შეერთებას არ აპირებენ და ქურთები, რომლებსაც თურქეთის შიში აქვთ. რაც შეეხება ერაყელ სუნიტებს, მას შემდეგ, რაც ისინი ქურთულ-შიიტურ კოალიციასთან მასშტაბური დაპირისპირების პერსპექტივის წინაშე აღმოჩნდებიან და თავის მოქმედებებს უცხოელ ოკუპანტებთან ბრძოლით ველარ გაამართლებენ, იძულებული გახდებიან, უფრო რეალურად შეაფასონ შექმნილი სიტუაცია.

ბჟეზინსკი აღნიშნავს, რომ ერაყიდან საოკუპაციო ჯარების გამოყვანის შემდეგ შესაძლებელი იქნება შიიტებთან და ქურთებთან ცალკეული შეთანხმებების დადება მათთვის სამხედრო დახმარების გაწევის შესახებ და, ამგვარად, შეერთებული შტატების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ამერიკული სამხედრო კონტინგენტის ნაწილის დატოვება. ოკუპაციის ოფიციალურად დასრულება, ასევე, ვაშინგტონს ერაყში სამშვიდობო მისიაში მუსლიმანური ქვეყნების ჩართვის საშუალებას მისცემს და შეამცირებს რეგიონში ანტიამერიკულ განწყობას.

როგორც კი ერაყის ხელისუფლების სათავეში რეალური ლიდერები მოვლენ, და არა ისინი, რომლებსაც თავად აშშ ირჩევს, ოკუპაციის უსწრაფესი დასრულების საკითხი უმალ წამოიწევა. ეს აშშ-ს მისცემს საშუალებას, განაცხადოს, რომ რეგიონში მისი მისია დასრულებულია. ერაყიდან ჯარების გამოყვანით ვაშინგტონი ერაყის ახალი მთავრობის პრესტიჟსაც აამაღლებს, - მიაჩნია ზბიგნევ ბჟეზინსკის. ამერიკელი პოლიტოლოგი პრეზიდენტ ბუშს მოუწოდებს, უარი თქვას მისი გარემოცვის მიერ თავსმოხვეულ პოლიტიკაზე ერაყის მიმართ. ბჟეზინსკის აზრით, ამ გარემოცვას კონკრეტული მიზნები ამოძრავებს ერაყში და სწორედ ამით უშლიან ხელს "ერაყული პოლიტიკის" რეალობასთან მიახლოებას. მისი თქმით, პრეზიდენტმა თავისი მრჩევლების წრე უნდა გააფართოოს და მასში ჩართოს აღიარებული ექსპერტები როგორც რესპუბლიკელთა, ასევე დემოკრატთა მხრიდან. პოლიტოლოგის აზრით, მხოლოდ ასეთი მიდგომა გახდის შესაძლებელს ერაყში მეტნაკლებად რეალური მიზნების ჩამოყალიბებას.

ბჟეზინსკიმ დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებსაც მოუწოდა პოზიციის შეცვლისაკენ. მისი აზრით, დემოკრატები არ უნდა შეუშინდნენ "არასაკმარის პატრიოტიზმში" ბრალდებებს და ღიად უნდა განაცხადონ, რომ მათი მიზანი ერაყიდან აშშ-ს ჯარების დაუყოვნებელი გამოყვანაა.

*ლენტა.რუ*

# შეზღუდვები სტამბულის ბაზრებში

"ფრინველის გრიპის" ვირუსის გავრცელება მასშტაბურ ხასიათს იძენს უკვე თურქეთში. ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გასული დღე-ღამის განმავლობაში კიდევ ხუთი ადამიანის დაავადების შემთხვევა გამოვლინდა. თურქეთის ჯანდაცვის სამინისტრო ჯერჯერობით ვერ აქვეყნებს საბოლოო დასკვნას, ვირუსის გამოვლენილი ფორმა მომაკვდინებელია თუ არა. თუმცა, "ფრინველის გრიპით" სამი ადამიანის გარდაცვალების შემთხვევა ამ ქვეყანაში უკვე დაფიქსირდა.

"ფრინველის გრიპის" პანდემიის საფრთხესთან დაკავშირებით, სტამბულის ბაზრებზე ქათმის ხორცის გაყიდვა მთლიანად აიკრძალა. ადრე ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო თურქეთის დედაქალაქ ანკარის ხელისუფლებამაც. სტამბულის ზოგიერთ რაიონში, სადაც საშიში დაავადების კერებია გამოვლენილი, ნაწილობრივი კარანტინია გამოცხადებული და შინაური ფრინველი მთლიანად განადგურდება.

თურქეთის ჯანდაცვის სამინისტროს ბოლო მონაცემებით, "ფრინველის გრიპის" სასიკვდილოდ საშიში H5N1 ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა 14 ადამიანს მიაღწია.

თუ თურქეთში "ფრინველის გრიპით" დაავადება გავრცელდა, რუსეთმა შესაძლოა, ამ ქვეყანასთან საზღვარი დახუროს. თუმცა, ჯერჯერობით ამის აუცილებლობა არ არსებობს. ამის შესახებ რუსეთის მთავარმა სანიტარულმა ექიმმა გენადი ონიშჩენკომ განაცხადა.

მან ჟურნალისტებს ასევე შეახსენა, რომ ირანმა თურქეთთან საზღვარი უკვე დახურა. როგორც რადიო "თავისუფლება" იუწყება, ევროპის კავშირს განზრახული აქვს თურქეთის მოსაზღვრე 6 ქვეყნიდან - სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, საქართველოდან, ირანიდან, ერაყიდან და სირიიდან მეფრინველეობის პროდუქციის იმპორტი აკრძალოს.

# ავიაკატასტროფა ირანში

როგორც საინფორმაციო სააგენტო "როიტერმა" გაავრცელა ცნობა, ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთში გუშინ ეროვნული რევოლუციური გვარდიის კუთვნილი სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავმა განიცადა კატასტროფა.

"როიტერის" ინფორმაცია ირანის პოლიციის წარმომადგენლის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუს ეყრდნობა.

მისი თქმით, "ფალკონის" მარკის თვითმფრინავი თურქეთთან საზღვრის მახლობლად, ქალაქ ურმიას მიდამოებში ჩამოვარდა. მის ბორტზე 13 ადამიანი იმყოფებოდა. როგორც ვარაუდობენ, თვითმფრინავში მყოფი არც ერთი პირი არ გადარჩენილა.

ირანული მასმედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დაღუპულთა შორისაა ირანის რევოლუციური გვარდიის სახმელეთო ძალების მთავარსარდალი.

მოკლედ

## "ალ ქაიდა" ინფიცირებულ შაჰიდებს აგროვებს

საერთაშორისო ტერორისტული დაჯგუფება "ალ-ქაიდა" "სამსახურში" იწვევს შიდსით, ჰეპატიტითა და ციებ-ცხელებით დაავადებულ მომაკვდავ ადამიანებს. ამის გათვალისწინებით, ტერორისტები, ტერაქტების შედეგად, დაღუპულთა რაოდენობის კიდევ უფრო გაზრდას ვარაუდობენ. აღნიშნული ინფორმაცია გავრცელდა ბრიტანელ ჯარისკაცებს შორის, რომლებიც მსახურობენ ერაყსა და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. ექსპერტთა განცხადებით, ნამსხვრევებსა თუ კამიკაძეების სხვა ფრაგმენტებს შეუძლიათ დააზიანონ ან დაასავადონ აფეთქებიდან 50 მეტრის რადიუსით მყოფი ადამიანები. ამ საშიშროების თავიდან აცილების მიზნით, ყარაულში მომსახურე სამხედროებს დაურიგებენ სპეციალურ დამცავ ტანსაცმელს, რათა თავიდან აიცილონ მსგავსი დაავადების გავრცელების საფრთხე. გარდა ამისა, ბრიტანულ სამხედრო ბაზებზე იმორიგევებენ სნაიპერები, რომლებსაც საეჭვო წარმომავლობისა და პოტენციური თვითმკვლელი ტერორისტის ლიკვიდაცია ტერაქტამდე დაევალებათ. **ჯი ეიჩ ენი**

## მორიგი ტერაქტი ბაღდადში

14 ადამიანი დაიღუპა და 25 დაშავდა გუშინ ბაღდადში, ერაყის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობასთან განხორციელებული ტერაქტის შედეგად. როგორც პოლიციის წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს აცნობეს, სამინისტროს მთავარ შესასვლელთან ორმა კამიკაძე ტერორისტმა თავი აიფეთქა. წინასწარი მონაცემებით, დაღუპულთა დაახლოებით ნახევარი პოლიციელები არიან. ტერაქტის დროს, სამინისტროს გვერდით მდებარე პოლიციის აკადემიაში ერაყის პოლიციის შექმნის პირველი წლისთავისადმი მიძღვნილი ცერემონია მიმდინარეობდა, რომელსაც ერაყში აშშ-ს ელჩი ზალმაი ჰალილზადი, ასევე ერაყის შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრები ესწრებოდნენ. **ინტერპრესნიუსი**

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA
დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე
დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)
საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)
დროის წამობრივი აღრიცხვა
აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი
8-100
ისარგებლეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები
რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

# შერიგება ტერორისტებთან ნარკობიზნესის წინააღმდეგ

ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ კარზაიმ თალიბთა ლიდერ მოლა ომარს ქვეყნის ხელმძღვანელობასთან კონტაქტზე გამოსვლა შესთავაზა.

როგორც მან განაცხადა, ავღანეთის ხელმძღვანელობა ისურვებდა, რომ ყველა ავღანელს ქვეყნის ცხოვრებაში მიეღო მონაწილეობა. "ეს მათი სახლია," - თქვა კარზაიმ კვირას "ესოშიეითედ პრესს"-თან ინტერვიუში.

ჟურნალისტის კითხვაზე - ეხება თუ არა ეს შეთავაზება თალიბთა ლიდერ მოლა ომარს - კარზაიმ განაცხადა, რომ "თუ მას (მოლა ომარს) დაბრუნება სურს, ქვეყნის ხელმძღვანელობას უნდა დაუკავშირდეს... ვნახოთ, რა წინადადება ექნება".

თუმცა, იქვე ავღანეთის პრეზიდენტმა ეჭვი გამოთქვა, რომ მოლა ომარი ქვეყნის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას დათანხმდება. "მოლა ომარს ძალიან დიდი დანაშაული მიუძღვის ქვეყნის წინაშე. თავდაპირველად, მას ჩადენილზე პასუხისგება მოუწევს," - განაცხადა კარზაიმ. შეგახსენებთ, 2001 წლის სექტემბერში აშშ-ში განხორციელებული ტერაქტების შემდეგ "თალიბანის" რეჟიმის ლიდერ მოლა ომარზე საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული. ვარაუდობენ, რომ ის ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე მთებში იმალება.

ყოფილ ტერორისტებთან შესაძლო შერიგების იდეა მას შემდეგ გაჩნდა, რაც აშკარა გახდა, რომ თალიბებისგან გათავისუფლებულ ავღანეთში ნარკობიზნესის მოცულობა არათუ შემცირდა, არამედ პირიქით, ერთი-ორად გაიზარდა.

ჰამიდ კარზაის თქმით, სწრაფად მზარდი ნარკობიზნესი საფრთხეს უქმნის ავღანეთის სახელმწიფოს. "მთელი მსოფლიოს ნარკომაფია (ევროპიდან, რუსეთიდან, ავღანეთის მეზობელი სახელმწიფოებიდან) აქტიურად მოქმედებს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე... ნარკობიზნესი ავღანეთისთვის უფრო დიდი საფრთხეა, ვიდრე დამალული ტერორისტები," - თქვა კარზაიმ.

*24 საათი*

*მოკლედ*

## სამხედრო აკადემიის ტერიტორიაზე რიგითის გვამი აღმოაჩინეს

ეროვნული სამხედრო აკადემიის ტერიტორიაზე საყარაულო ჯიხურში ნაპოვნია რიგითის, აკაკი პარკაიას გვამი. თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, აკაკი პარკაია სამხედრო აკადემიის ტერიტორიაზე საყარაულო განწესში 8 იანვარს დილის 9 საათიდან იმყოფებოდა. **"განწესში მყოფი სხვა ჯარისკაცების განმარტებით, ტერიტორიაზე გასროლის ხმა 23.30 წუთზე გაისმა, რის შემდეგაც პარკაიას გვამი იქნა ნაპოვნი. წინასწრი მონაცემებით, ადგილი ჰქონდა თვითმკვლელობას, რომელიც ჩადენილია საყარაულო განწესის დროს ჯარისკაცზე გაპიროვნებული იარაღით,"** - აცხადებენ თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურში. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამოძიებას სამხედრო პოლიცია აწარმოებს. **მედიანიუსი**

## რუსეთის სამშვიდობო ძალების სამხრეთ ზონის სარდალი დააკავეს

რუსეთის სამშვიდობო ძალების სამხრეთ ზონის სარდალი, პოლკოვნიკი ალექსანდრე კაზანცევი ზუგდიდის საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს. ალექსანდრე კაზანცევთან ერთად ავტომანქანაში, რომელიც ზუგდიდში მოძრაობდა, იმყოფებოდნენ რუსეთის სამშვიდობო ძალების ჯარისკაცი და ორი ქალბატონი. საპატრულო პოლიციამ "ვილისის" ტიპის სამშვიდობო ძალების კუთვნილი ავტომანქანა მას შემდეგ დააკავა, რაც შეამჩნია, რომ მანქანის წინა და უკანა სანომრე ნიშნები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. კაზანცევის კუთვნილი ავტომანქანა ზუგდიდის ცენტრალური ფოსტის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს რუსეთის სამშვიდობო ძალების სამხრეთ ზონის სარდალმა და მისმა თანმხლებმა პირმა წინააღმდეგობა გაუწიეს, თუმცა, მდგომარეობა სწრაფად განიმუხტა. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა შესაბამისი აქტი შეადგინეს და ავტომანქანაში მყოფი პირები პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებს, სავარაუდოდ, მას შემდეგ გაათავისუფლებენ, როდესაც ფულად ჯარიმას გადაიხდიან. ექსპერტიზა დაადგენს, იყვნენ თუ არა მანქანაში მყოფი პირები ნასვამ მდგომარეობაში. **ინტერპრესნიუსი**

## თანამდებობიდან გათავისუფლებულ მოსამართლეებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში სარჩელი შეაქვთ

უზენაესი სასამართლოს თანამდებობიდან გათავისუფლებული მოსამართლეები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებას ამავე უწყების სადისციპლინო საბჭოში ასაჩივრებენ. სარჩელი უკვე მომზადდა და საბჭოში უახლოეს დღეებში შევა. მოსამართლე ნინო გვენეტაძის განცხადებით, სარჩელის ძირითად ნაწილს ამ დროისთვის დამატებითი დოკუმენტაცია დაერთვება, რის შემდეგაც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს გადაეცემა. მოსამართლეები გადაწყვეტილების გაუქმებას და გამართლებას მოითხოვენ. როგორც ცნობილია, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით, უზენაესი სასამართლოს 4 მოსამართლე თანამდებობიდან გათავისუფლდა. **ინტერპრესნიუსი**

## დააკავეს რუსეთის მოქალაქე

მიმდინარე წლის 8 იანვარს რეგიონული სამმართველო "ყაზბეგის" სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილება "დარიალზე", სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის გავლისას, მესაზღვრეებმა საქართველოდან რუსეთის ფედერაციის მიმართულებით საზღვრის გადაკვეთის მცდელობისას რუსეთის მოქალაქე დააკავეს. მას პასპორტში არ აღენიშნებოდა საზღვრის გადმოკვეთის აღმნიშვნელი თარიღ-დამღა. წინმსწრები ინფორმაციით (დაკავებული მოქალაქის განმარტებით), მიმდინარე წლის 3 იანვარს იგი საქართველოში სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან შემოვიდა. აღნიშნული პიროვნების მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ყველაზე უკეთესი პირობები ქალთა №5 საპყრობილეშია

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან არსებული მონიტორინგის ჯგუფი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მონიტორინგს განაგრძობს. ომბუდსმენის აპარატის ინფორმაციის სამმართველოს განცხადებით, სხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებებთან შედარებით, უკეთესი პირობები ქალთა N5 საპყრობილეშია. **"N5 საპყრობილეში კვების ხარისხი დამაკმაყოფილებელია, სისუფთავეა და არც საკნებია გადატვირთული. ქალთა საპყრობილეში მოთავსებული პატიმრები საერთო ამბოხს არ უერთდებიან და ციხეში სიმშვიდეა,"** - ნათქვამია სახალხო დამცველის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. **მედიანიუსი**

PSP ფსპ
ფარმაცევტული კომპანია „პე-ეს-პე"
იწყებს განაცხადის მიღებას ქსელში
ფარმაცევტის ვაკანსიაზე

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

განათლება:
- უმაღლესი ფარმაცევტული განათლება;

გამოცდილება:
- ფარმაცევტულ სფეროში (აფთიაქში) მუშაობის გამოცდილება;
- კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება (აუცილებელია).

აუცილებელია:
- ქართული ენის სრულყოფილად ცოდნა;
- რუსული ენის თავისუფლად ფლობა.

დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ შეავსოთ განაცხადი ჩვენს ოფისში შემდეგ მისამართზე: აღმაშენებლის გამზ. 148/III
(თან უნდა იქონიოთ ერთი ფოტოსურათი და განათლების დამადასტურებელი დიპლომისა და სერთიფიკატის ასლები)
ან გამოაგზავნოთ თქვენი მონაცემები ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: vacancy@psp.ge

**მცხეთის რაიონის არასასოფლო-სამეურნეო მიწის მართვის და განკარგვის კომისია აცხადებს აუქციონს**

მცხეთის რაიონის სოფ. წიწამურში ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიიდან 0,2 ჰა. მიწის ფართობის გასაყიდად.

საწყისი ფასია: 1 მტ.კვ მიწის ფართობი 30 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში. აუქციონის "ბე" შეადგენს გასაყიდი ფასის 10%-ს. მყიდველის მიერ გამოსასყიდი თანხის გარდა გადახდილი უნდა იქნეს ობიექტის გასაყიდად მომზადებისათვის გაწეული ხარჯები.

აუქციონში მონაწილეობისათვის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთში განცხადების გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30 კალენდარული დღის განმავლობაში. თუ 30-ე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო სამუშაო დღეს 12 საათზე. აუქციონი ჩატარდება განცხადებების მიღებისთვის განსაზღვრული ვადის დამთავრების მეორე დღეს 11 საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ნაკვეთს.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისთვის საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად, წარმოადგინოს "ბე"-ს გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია.

თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი.

"ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე:
"სახალხო ბანკის" მცხეთის ფილიალი ა/ა 33030001
კოდი 236033234

*მცხეთის რაიონის გამგეობა*

*კომისიის მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია:*
*ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქ. 73, ტელ:8/27-23/27-27.*

# პატიმრების მხარდამჭერი საპროტესტო აქცია გრძელდება

### ბაჩო ახალაია კი ციხეში სტაბილურობაზე საუბრობს

გასული წლის დეკემბერში, ქუთაისის ახალი საპყრობილის გახსნის შემდეგ, ციხეებში დაწყებული პატიმართა შიმშილობის აქცია კვლავ გრძელდება. როგორც ცნობილია, ახალ საპყრობილეში დაწყებულ ბუნტს, სოლიდარობის ნიშნად, სხვადასხვა ციხეებში მყოფი პატიმრებიც გამოეხმაურნენ და შიმშილობა დაიწყეს. მოგვიანებით კი პატიმართა მხარდასაჭერი პროტესტი საპყრობილეების კედლებს გასცდა და აქციებში მათი ახლობლები და ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციები თუ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ჩაერთვნენ. ციხეში დაწყებული ბუნტისადმი საზოგადოებრივი ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც ციხეებში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა და დაკავებულებთან ადვოკატებისა და ოჯახის წევრების შესვლა აიკრძალა.

დროებით შეწყვეტილი საპროტესტო გამოსვლები გუშინ ისევ განახლდა. პატიმართა ნათესავები საპყრობილეებთან, სახალხო დამცველის ოფისთან და პარლამენტის შენობის წინ შეიკრიბნენ და თავისუფლებააღკვეთილი ადამიანების უფლებების დაცვასთან ერთად, იუსტიციის ახალი მინისტრის გია ქავთარაძის, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბაჩო ახალაიას და სახალხო დამცველის სოზარ სუბარის თანამდებობიდან გადაყენება მოითხოვეს.



პატიმართა ნათესავები საპყრობილეებთან, სახალხო დამცველის ოფისთან და პარლამენტის შენობის წინ შეიკრიბნენ.

ინტერპრესნიუსი

**"სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ შეწყვიტოს პატიმართა ცემა, დაკავებულებს გაუუმჯობესდეთ საცხოვრებელი პირობები და ბოლო პერიოდში პენიტენციურ სისტემაში მომხდარი ინციდენტის გამო, ციხის ადმინისტრაციის ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი დაისვას,"** - აცხადებდნენ პატიმართა მშობლები და ახლობლები.

აქციის მონაწილეთა თქმით, პატიმრები შიმშილობას კვლავ აგრძელებენ, მაგრამ ხელისუფლება ამას უარყოფს. მშობელთა ნაწილი კი იმასაც ირწმუნება, რომ პატიმრებს ყველაფრის თქმა უჭირთ, ვინაიდან მათი უსაფრთხოების გარანტიები არ არსებობს.

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის ხელმძღვანელი ბაჩო ახალაია კი აცხადებს, რომ მეშვიდე საპყრობილეში ე.წ. კანონიერი ქურდების გადაყვანის პროცესი პრაქტიკულად დასრულდა. როგორც ახალაიამ აღნიშნა, ამჟამად პენიტენციურ დაწესებულებებში სტაბილური ვითარებაა.

**"სულაც არ მიკვირს, რომ ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია ჩემს გადადგომას ითხოვს, რადგან ისინი ე.წ. კანონიერი ქურდების ახლობლები არიან და შესაბამისად, მათ ინტერესებს იცავენ. გარწმუნებთ, ეს არასამთავრობო ორგანიზაციები მით უფრო გააქტიურდებიან, რაც გაგრძელდება ე.წ. კანონიერი ქურდების შევიწროების პროცესი,"** - ამბობს ახალაია.

*24 საათი*

# გოგი კუპრეიშვილს მალე განაჩენს გამოუტანენ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის ყოფილ მოადგილეს, იარაღის უკანონო ტარება-შენახვაში, თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და ასევე, თენგიზ ასანიძის უკანონო პატიმრობაში ბრალდებულ გოგი კუპრეიშვილს ბათუმის საქალაქო სასამართლო უახლოეს დღეებში განაჩენს გამოუტანს. პროკურატურა კუპრეიშვილისთვის წარდგენილ ბრალდებებს დადასტურებულად აცხადებს და 12-წლიან პატიმრობას ითხოვს.

გუშინდელ პროცესზე დაცვის მხარემ განსასჯელის ბრალეულობის გაქარწყლება კიდევ ერთხელ სცადა და მისი გამართლება მოითხოვა.

**"თენგიზ ასანიძემ ჩვენება შეცვალა. ამ ჩვენების მიხედვით, იგი არ თვლის გოგი კუპრეიშვილისაგან თავს დაზარალებულად და კომპენსაციას კვლავ სახელმწიფოს სთხოვს. თუმცა, ვინაიდან სასამართლო პოლიტიზირებულია, მართლმსაჯულების მიერ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფისთვის გამოტანილი განაჩენი კანონიერი ვერ იქნება. არადა, გოგი კუპრეიშვილის მიმართ წარდგენილი ყველა ბრალდება სასამართლო პროცესებზე მოწმეთა ჩვენებებმა გააბათილა. თუ სასამართლო არ მიიღებს კანონიერ გადაწყვეტილებას, ეს დასტური იქნება იმისა, რომ კუპრეიშვილი პოლიტპატიმარია და არა დამნაშავე,"** - აცხადებს განსასჯელის ადვოკატი ეკა ბესელია.

თუკი ბათუმის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო გოგი კუპრეიშვილი, ეკა ბესელია განაჩენის გასაჩივრებას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გეგმავს. თუკი ქუთაისის სასამართლოს გადაწყვეტილება იქნება ბათუმის სასამართლოს გადაწყვეტილების ანალოგიური, მაშინ დაცვის მხარე ევროპის სასამართლოს მიმართავს.

სხვათა შორის, სტრასბურგის სასამართლო უახლოეს ხანში გოგი კუპრეიშვილის წინასწარი პატიმრობის კანონიერება-არაკანონიერებაზე მსჯელობას ცოტა ხანში დაიწყებს. ადამიანის უფლებების დამცველი ევროპელი მოსამართლეები, ყოფილი ჩინოვნიკის პატიმრობის საკითხთან ერთად, მისთვის ქონების ჩამორთმევის კანონიერებასაც განიხილავენ.

შეგახსენებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილე გოგი კუპრეიშვილი 2004 წლის 5 მაისს (აჭარის რევოლუციის პერიოდში) დააკავეს. თუმცა, დაკავებამდე მას ხელისუფლებისგან ხელშეუხებლობის გარანტია ჰქონდა მიღებული.

**"იმ დროს, როცა გოგი კუპრეიშვილი სხვების უკანონო პატიმრობაშია ბრალდებული, სასამართლომ მის მიმართ ყველა კანონიერი ნორმა უნდა დაიცვას,"** - ამბობს განსასჯელის ადვოკატი.

*24 საათი*

# საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ნარკოტიკების მოხმარებისთვის დააკავეს

შინაგან და საგარეო საქმეთა სამინისტროების თანამშრომლების მიერ გატარებული ერთობლივი ღონისძიებების შედეგად ნარკოტიკების მოხმარებისთვის დააკავეს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები: ზვიად ტყეშელაშვილი (საკონსულო დეპარტამენტი) და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მდივანი, დიპლომატი კახა კიკაბიძე. მათთან ერთად დააკავეს მათი თანმხლები პირი - კონსტანტინე ჭკუასელი.

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, კიკაბიძისგან სამართალდამცავებმა ნარკოტიკული საშუალება "სუბუტექსი" და "ბრაუნინგის" ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს. რაც შეეხება ტყეშელაშვილს, ნარკოლოგიური შემოწმებისთვის მისგან აღებული სისხლის ანალიზის პასუხი დღეს გახდება ცნობილი.

როგორც გუშინ სპეციალურად ამ ფაქტისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოს უფროსმა ნინო ქაჯაიამ განაცხადა, კახაბერ კიკაბიძე დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა, ზვიად ტყეშელაშვილს კი დანაშაულის ოფიციალურად დადასტურებამდე სამსახურებრივი უფლებამოსილება შეუჩერდა.

გარდა ამისა, სიტყვიერი შენიშვნები მიიღეს დაკავებული პირების უშუალო ხელმძღვანელებმა. ნინო ქაჯაიას განცხადებით, საგარეო საქმეთა სამინისტრო მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად შს სამინისტროსთან მომავალშიც აქტიურად ითანამშრომლებს.



"საგარეო საქმეთა სამინისტრო შს სამინისტროსთან მომავალშიც აქტიურად ითანამშრომლებს."

პრაიმნიუსი

**"საგარეო საქმეთა სამინისტრო ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთა წინააღმდეგ ყოველთვის მკაცრ ზომებს მიიღებს. ის ადამიანები, რომლებიც შემჩნეულნი იქნებიან ნარკოტიკის მოხმარებაში, დაუყოვნებლივ გათავისუფლდებიან დაკავებული თანამდებობიდან, მიუხედავად მათი დიპლომატიური რანგისა,"** - განაცხადა ნინო ქაჯაიამ.

*24 საათი*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

____________________________________________________________________________

**ა ნ კ ე ტ ა**

**სახელი, გვარი**............................................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**............................................................

**საკონტაქტო ტელეფონი**............................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დაწერს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ქვითრის ჩაგდება [illegible]:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 [illegible] შენობის [illegible] გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0179 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# საახალწლო ანაბარი

## წლიური 11,75%

დოლარი / ევრო




## + სასჩუქრად



- საპროცენტო სარგებლის წინასწარი, ყოველთვიური ან ვადის ბოლოს გატანის შესაძლებლობა;
- საპროცენტო სარგებლის მიღება მიმდინარე ანგარიშიდან ან პლასტიკური ბარათის მეშვეობით;
- მოთხოვნისთანავე შესაძლებელია სესხის აღება ანაბარზე დასარიცხ პროცენტს + 4% წლიური განაკვეთით;
- მოთხოვნისთანავე შესაძლებელია ოვერდრაფტის დაშვება კლიენტის მიმდინარე ან საბარათო ანგარიშზე.

**BR ბანკი რესპუბლიკა** 29 45 99


ცენტრალური ფილიალი
თბილისი, გრ.აბაშიძის ქ. 2
ტელ: (995 32) 294598, 294599; ფაქსი: (995 32) 227566

დელისის ფილიალი
თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი 47ა
ტელ: (995 32) 312161, 312181; ფაქსი: (995 32) 312161

სამტრედიის ფილიალი
სამტრედია, რაზმაძის ქ. 2
ტელ: (8 211) 21353, 21157, 21938, 569855, 560740
ფაქსი: (8 211) 560740

სადგურის ფილიალი
თბილისი, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია
ტელ: (995 32) 911117, 911118, 237043; ფაქსი: (995 32) 911117, 911118

გლდანის ფილიალი
თბილისი, ხიზანიშვილის ქ.20
ტელ: (995 32) 590770, 590880; ფაქსი:(995 32) 590660

ზუგდიდის ფილიალი
ზუგდიდი, ზვ.გამსახურდიას გამზ. 34
ტელ: (8 215) 5 00 08, 5 08 08

ბათუმის ფილიალი
ბათუმი, ქუთაისის ქ. 6
ტელ: (8 222) 32810, 32811; ფაქსი: (8 222) 32812

ჩოგბურთი

# მარია შარაპოვა ავსტრალიაში ითამაშებს



რუსი ჩოგბურთელი მარია შარაპოვა მონაწილეობას მიიღებს სეზონის პირველ "დიდი სლემის" ტურნირზე - ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე, რომელიც სტარტს 16 იანვარს აიღებს.

შეგახსენებთ, რომ შარაპოვა მოიხსნა ავსტრალიაში გამართულ "გოლდ კოასტის" ტურნირიდან. ამის მიზეზი მხრის ტრავმა გახდა, რომელმაც ჩოგბურთელი მეტისმეტად შეაწუხა. ტურნირის ორგანიზატორებს ამის შემდეგ ერთადერთი იმედი დარჩათ, რომ უიმბლდონის ჩემპიონი ტურნირის პირველი უმნიშვნელოვანესი შეჯიბრებისთვის მაინც მზად იქნებოდა. საბედნიეროდ ყველაფერი კარგად დამთავრდა. შარაპოვა უკვე ავსტრალიაში იმყოფება და მომავალი ასპარეზობისთვის ემზადება.

მეორე მხრივ კითხვის ნიშნის ქვეშ იმყოფება ავსტრალიის ღია ჩემპიონატის შარშანდელი გამარჯვებულის სერენა უილიამსის თამაშის შესაძლებლობა. უილიამსმა ჰონკონგის ტურნირზე უარი განაცხადა. მას ქრონიკულად აწუხებს მუხლი. ეს ტრავმა ჩოგბურთელს მთელი გასული სეზონის განმავლობაში სტანჯავდა. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ექს-პირველი ჩოგანი კორტზე სექტემბრის შემდეგ აღარ გამოჩენილა.

როგორც ჩანს, მწვანე კონტინენტზე ვერ ითამაშებს 2005 წლის ავსტრალიის ღია ჩემპიონატის გამარჯვებული მარატ საფინი. ჩოგბურთელი, რომელიც ამჟამად ესპანეთში იმყოფება თავის საბოლოო სიტყვას ამ დღეებში იტყვის. საფინს ტრავმა აწუხებს და შეიძლება ტიტული უბრძოლველად დათმოს.

ჩოგბურთის მოყვარულები მსოფლიოს მეორე ჩოგნის ესპანელი რაფაელ ნადალის ბედითაც არიან დაინტერესებული. მისი თამაშის ალბათობაც მიზერულია. ჯერ კიდევ საჩოგბურთო კარიერის დაწყებიდან ნადალს ფეხის ტრავმა აწუხებს. ამის გამო ჩოგბურთელმა უარი თქვა სიდნეის დიდ ტურნირში მონაწილეობაზე, რომელიც ავსტრალიის ღია ჩემპიონატის დაწყებამდე ჩოგბურთელთათვის ბოლო, სერიოზული რეპეტიციაა.

ფეხბურთი

# მძიმე შრომა გერმანული ზედამხედველობით

პირველი გვერდიდან

მათგან განსხვავებით, ტოპმიოლერი არაფერს დაგვპირებია მძიმე სამუშაოს შესრულების გარდა და ასეთი საქმიანი მიდგომა, ვფიქრობ, არსებულ ვითარებაში ყველაზე სწორია.

"ეროვნული ნაკრები უნდა გახდეს მთავარი პრიორიტეტი. კონტრაქტის გაფორმების მომენტიდან მეწყება უმძიმესი სამუშაო. მომდევნო წელი, უფრო ზუსტად, დრო - შესარჩევი ტურნირის დაწყებამდე, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენო ბრძოლისუნარიანი და მაღალი მიზნებისთვის რეალურად მებრძოლი ნაკრების ჩამოსაყალიბებლად. ჩემთვის კარგად არის ცნობილი ქართული ფეხბურთის პოტენციალი. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ შედარებით უკეთ მხოლოდ ფეხბურთელთა იმ კატეგორიას ვიცნობ, რომლებიც დასავლეთ ევროპაში თამაშობენ. ამიტომ, გადამწყვეტ მნიშვნელობას ვანიჭებ ყველა იმ ფეხბურთელის საქმეში ნახვას, რომლებიც ეროვნული ნაკრების კანდიდატთა გაფართოებულ სიაში მოიაზრებიან. ქართველ ფეხბურთელებს ტექნიკური მომზადება ნამდვილად არ დაეწუნებათ. ამას უნდა დაერთოს კარგი ფიზიკური და ტაქტიკური მომზადება, გუნდში მკაცრი სათამაშო დისციპლინის დანერგვა, რაც უკვე ჩემი გასაკეთებელია", - ალბათ ყველაზე უფრო სასურველი სიტყვებით გააკეთა კონტრაქტის გაფორმებასთან დაკავშირებული პირველი კომენტარი გერმანელმა სპეციალისტმა.

"ქართული ფეხბურთისთვის წლის ამაზე წარმატებულ დასაწყისს ალბათ ვერც ვინატრებდით. ვთვლი, რომ კლაუს ტოპმიოლერს უდიდესი როლის შესრულება ძალუძს იმ საქმეში, რასაც ეროვნული ნაკრების და მთლიანად ქართული ფეხბურთის განვითარება ჰქვია", - განაცხადა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ნოდარ ახალკაცმა.

კონტრაქტის დეტალებზე ახალს ბევრს ვერაფერს გეტყვით. ახალკაცის თქმით, გერმანულმა მხარემ შრომითი ხელშეკრულების ფინანსურ პუნქტებთან დაკავშირებით კონფინდენციალობის დაცვა მოითხოვა. კულუარული ინფორმაციით, მომდევნო შესარჩევი ციკლის განმავლობაში კლაუს ტოპმიოლერი ანაზღაურების სახით 2 მილიონ ევროს მიიღებს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი ნაკრები 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურს მოიპოვებს, იგი პრემიის სახით კიდევ 500 ათას ევროს მიიღებს. კონტრაქტი გაფორმდა რალფ მინგესთანაც, რომელიც ტოპმიოლერის თანაშემწედ იმუშავებს. ხელშეკრულების მიხედვით, თუ საქართველოს ნაკრები მომდევნო შესარჩევ ციკლში პირველ, მეორე ან მესამე ადგილს დაიკავებს, კონტრაქტი, რომელიც ძალაში 2006 წლის 1 თებერვლიდან შედის, 2008 წლის 1 იანვარს ავტომატურად კიდევ ორი წლით გახანგრძლივდება.

აქვე გაწვდით ინფორმაციას კლაუს ტოპმიოლერის საფეხბურთო და სამწვრთნელო კარიერის შესახებ.



კლაუს ტოპმიოლერმა კონტრაქტი გააფორმა.

**დაბადების თარიღი:** 1951 წლის 12 აგვისტო.

**მოთამაშის კარიერა:**

**1970-72:** ტრირის "აინტრაჰტი", მეორე ბუნდესლიგის ორგზის საუკეთესო ბომბარდირი 1971 - 21 გოლი და 1972- 23 გოლი.

**1972-80:** "კაიზერსლაუტერნი" (კაიზერსლაუტერნი) კლუბის ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირი (108 გოლი 208 თამაშში), "კაიზერსლაუტერნის" მეოცე საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელი.

**1980-82** "დალას-ტორნადო" (დალასი, აშშ) სამხრეთის დივიზიონის ჩემპიონი, სამხრეთის დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირი. გერმანიის ნაკრები 3 მატჩი, ერთი გოლი (ესპანეთის ნაკრებთან, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩში, 2:0)

**სამწვრთნელო კარიერა**

**1984-89** "ზალმრორი" (ზალმრორი) სამი სხვადასხვა ლიგის ჩემპიონი, აღზევება მეორე ბუნდესლიგაში

**1989-91** "აუვე" (ერცგებირგი), მესამე ბუნდესლიგა, ორი სეზონი მარცხის გარეშე

**1991-93** "ვალდჰოფი" (მანჰაიმი) მეორე ბუნდესლიგა

**1993-94** "აინტრაჰტი" (ფრანკფურტი), უეფას თასის მეოთხედფინალი

**1994-99** "ბოხუმი" (ბოხუმი) უეფას თასის მერვედფინალი (კლუბის ისტორიაში ყველაზე დიდი წარმატება), გერმანიის წლის საუკეთესო მწვრთნელი, "ბოხუმის" მეოცე საუკუნის საუკეთესო მწვრთნელი

**1999-2001** "ზაარბრიუკენი" (ზაარბრიუკენი) მეორე ბუნდესლიგის ჩემპიონი და აღზევება ბუნდესლიგაში

**2001-03** "ბაიერი" (ლევერკუზენი) ბუნდესლიგის ვიცეჩემპიონი და გერმანიის თასის ფინალისტი (2002), ჩემპიონთა თასის ფინალისტი (2002) (ფინალამდე დაამარცხა "ბარსელონა", "დეპორტივო", "მანჩესტერ იუნაიტედი", "ლივერპული", "არსენალი"". აღიარეს წლის საუკეთესო გერმანელ მწვრთნელად.

სათხილამურო სპორტი

# როკა ტორინომდე ოთხს ითვლის

გიგა გურასაშვილი

*სამთო სათხილამურო სპორტში გახურებული ასპარეზობების შედეგებისთვის თვალის გადავლებაც საკმარისია შთაბეჭდილების შესაქმნელად, თუ ვისგან რას უნდა ველოდოთ ტორინოს ოლიმპიურ თამაშებზე, იქამდე კი ზუსტად ერთი თვეა და აქედან გამომდინარე მოთხილამურეები ძალ-ღონეს არ იშურებენ უმთავრეს ასპარეზობებს საუკეთესო ფორმაში და კარგი განწყობით შეხვდნენ. ანუ მსოფლიო თასზე მიღწეული შედეგებით თავადაც ექმნებათ იმის შთაბეჭდილება, თუ რას უნდა ელოდონ საკუთარი თავისგან ოლიმპიურ დამრეცებზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანი დღე ჰქონდათ ვაჟ მოთხილამურეებს, რომლებმაც კვირას შვეიცარიის კურორტ ადელბოდენში ყველაზე ტექნიკურ დისციპლინაში სლალომში მსოფლიო თასის მეოთხე ეტაპი გაითამაშეს. იგივე დღეში იყვნენ ქალი მოთხილამურეებიც, რომლებიც შესაბამისად მარიბორში (სლოვენია) ირჯებოდნენ.*



ჯორჯო როკამ ზედიზედ მეოთხე სლალომი მოიგო.

ტორინოს ოლიმპიურ თამაშებზე რომ იტალიელი მოთხილამურეები იქნებიან ყურადღების ცენტრში, რთული გამოსაცნობი არ უნდა იყოს. აი, მათ შორის კი ვისაც იტალიელები განსაკუთრებით მიადევნებენ თვალყურს ერთ-ერთი ჯორჯო როკაა. რატომ? საქმე ისაა, რომ როკა დღესდღეობით ყველაზე წარმატებული სლალომისტია და შესაბამისი სტანდარტებით მხოლოდ დიდ ალბერტო ტომბას ჩამოუვარდება. აი, შედეგებით კი სახელოვან თანამემამულემდე საკმაოდ ბევრი უკლია. ტომბამ საკუთარი კარიერის განმავლობაში მოიგო ყველაფერი რისი მოგებაც შეიძლებოდა - სამი ოლიმპიური "ოქრო". აი, სლალომში მოგებულ მსოფლიო თასის ეტაპების მხრივ მის ანგარიშზე 35 გამარჯვებაა.

ახლა ტორინოს ოლიმპიურ თამაშებზე მასპინძელთა ერთ-ერთ იმედს დავუბრუნდეთ და აღვნიშნოთ, რომ ადელბოდენში თავშეყრილ სლალომისტთა შორის ყველაზე ფეხმარდი ჯორჯო როკა აღმოჩნდა. აღსანიშნავია ისიც, რომ იტალიელისთვის ყველაზე ტექნიკურ დისციპლინაში გამარჯვება ზედიზედ მეოთხეა.

ერთი სიტყვით, სლალომისტთა საერთო ჩათვლაში საკმაო უპირატესობით დაწინაურდა უახლოეს მდევრებზე და თუ სასწაული არ მოხდა, ამავე ჩათვლაში ბროლის გლობუსიც მას უნდა დარჩეს. ამჟამად მის ანგარიშზე 400 ქულაა.

"დიდებულია, როდესაც მეფეთა საკადრის ფერდობზე იმარჯვებ, - საკუთარი თავით უკმაყოფილებას ვერ ფარავდა 30 წლის იტალიელი, რომელსაც ტორინოს ოლიმპიურ თამაშებამდე საკუთარი სიძლიერის დასამტკიცებლად კიდევ სამჯერ მოუწევს სლალომისთვის თხილამურებზე შედგომა. - ზედიზედ ოთხი სლალომის მოგება ოცნებაა. ბევრი ვიშრომე იმისთვის, რომ ადრეული წარუმატებლობებისგან თავი დამეღწია და საკუთარი თავის მერწმუნა".

კითხვაზე, აპირებს თუ არა ტომბას შედეგი გაიმეოროს, რომელმაც 1994 წელს ზედიზედ შვიდჯერ გაიმარჯვა სლალომში, როკა პასუხობს, - "სლალომში წინ კიდევ სამი ეტაპია, მაგრამ ახლა ჩემთვის უმთავრესი საზრუნავი სლალომში მსოფლიო თასის მოგებაა".

ბროლის გლობუსის გარდა ჯორჯო როკა ტორინოს ოლიმპიურ თამაშებზე წარმატებისთვისაც ემზადება, იტალიელები კი როკას გამარჯვებას ელოდებიან. მიუხედავად ამისა, როგორც ამას როკა აცხადებს, შინაურ კედლებში სრიალის გამო ვერანაირ ფსიქოლოგიურ წნეხს ვერ გრძნობს.

"საკუთარი თავისადმი რწმენა თითოეული გამარჯვების შედეგად მიმტკიცდებაო".

საოლიმპიადო სამზადისშია როკას ერთ-ერთი მოცილე ამერიკელი ტედ ლაიჯეტიც, რომელიც იტალიელს საერთო ჩათვლაში 160 ქულით ჩამორჩება. რაც შეეხება ადელბოდენურ ეტაპს, ამერიკელისთვის ეს ეტაპი მეორე შედეგით დასრულდა, მთლიანობაში კი 2005-2006 წლების სეზონზე კვარცხლბეკზე ასვლის პატივი მესამედ მოიპოვა. რომ არა მეორე ცდაზე ფინიშის სწორზე დაშვებული შეცდომა, შესაძლოა, იტალიელისთვის გამარჯვებაც წაერთმია.

"რომ არა შეცდომა, შესაძლოა, ჯორჯო დამემარცხებინა კიდეც. ვინ იცის, იქნებ ერთ დღეს დავამარცხო კიდეც. ვნახოთ...

ამ სეზონზე კვარცხლბეკზე ასვლას ერთხელ ვვარაუდობდი, მე კი სამჯერ შევძელი ამის გაკეთება. ახლა ვიცი, რომ გამარჯვებაც შემიძლია".

მესამე ადგილი ავსტრიელმა ბენიამინ რაიხმა დაიკავა, რომელიც მართალია, სლალომისტთა ჩათვლაში მეოთხე ადგილზეა გამწესებული, მაგრამ აბსოლუტურ ჩათვლაში ანუ ხუთივე დისციპლინის - სლალომის, გიგანტური სლალომის, სუპერ გიგანტის, დაშვების და კომბინაციის ჯამში 606 ქულის პატრონია, რაც მას მოწინავის პოზიციაზე ამყოფებს.

სლალომში ქალთა მსოფლიო თასის მეხუთე ეტაპი იმითი იყო საინტერესო, რომ ტორინოს ოლიმპიურ თოვლში ჩემპიონობის ერთ-ერთმა პრეტენდენტმა ავსტრიელმა მარლის შილდმა სეზონის მესამე გამარჯვება მოიპოვა. ეს ისე მშრალად. მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ შილდსი სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონ ხორვატ იანიცა კოსტელიჩზე სწრაფი აღმოჩნდა. ავსტრიელ და ხორვატ მოთხილამურეებზე რომ ვამახვილებთ ყურადღებას, შემთხვევითი არაა. საქმე ისაა, რომ მარლის შილდსი მარიბორში გამარჯვებამდე სლალომისტთა საერთო ჩათვლაში ლიდერ იანიცა კოსტელიჩს ერთი საფეხურით ჩამორჩებოდა. მეხუთე ეტაპზე საშიში მეტოქის დამარცხებამ კი კოსტელიჩთან გათანაბრების საშუალება მისცა. ახლა ორივე მათგანს ამავე ჩათვლის თანაზიარი ქულები - 360-360 აქვთ. რაც შეეხება აბსოლუტურ ჩათვლას, ამ შემთხვევაში ხორვატი მოთხილამურე 732 ქულით საკმაოდაა დაწინაურებული. კოსტელიჩის უპირატესობა რომ უფრო თვალშისაცემი გახდეს, ამისთვის მეორე საფეხურზე მყოფი შვედი ანია პერსონის (მსოფლიო თასის მოქმედი ჩემპიონი ანია პერსონი პირველ ცდაზე ჩაფლავდა) ქულები მოვიშველიოთ - 585. კოსტელიჩის უპირატესობა უფრო თვალშისაცემია მარლის შილდსზე და მის თანამემამულე მიხაელა დორფმაისტერზე, რომლებიც 510 ქულით მესამე ადგილს იყოფენ.

**სლალომი**
**მსოფლიო თასის მეოთხე ეტაპი.**
**ადელბოდენი, შვეიცარია**

**ვაჟები:**
1. ჯორჯო როკა 1:39.14
2. ტედ ლაიჯეტი 1:39.74
3. ბენიამინ რაიხი 1:39.92

**მსოფლიო თასის მეხუთე ეტაპი.**
**მარიბორი, სლოვენია**

**ქალები:**
1. მარლის შლიდსი 1:48.34
2. იანიცა კოსტელიჩი 1:48.91
3. ტერეზა ბორსენი 1:49.03

მოკლედ

## ძმები ალთინთოფები

გელზენკირხენის "შალკე 04"-ის ღირსებას ამიერიდან ტყუპი ძმები ალთინთოფები დაიცავენ. "კაიზერსლაუტერნის" ფორვარდი ხალილი, კობიაშვილის "შალკეში" თავის ტყუპისცალს ჰამითს შეუერთდა. ტრანსფერი სეზონის ბოლოს განხორციელდება. ხალილმა თავის ახალ კლუბთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

## რონალდომ შეიძლება "არსენალთან" არ ითამაშოს

მადრიდის "რეალის" ბრაზილიელმა ფორვარდმა რონალდომ ესპანეთის ჩემპიონატის მატჩში "ვილიარეალის" წინააღმდეგ ტრავმა მიიღო და სავარაუდოდ სამი კვირით დაისვენებს. ფეხბურთელმა ფეხის ტრავმა თამაშის 30-ე წუთზე მიიღო.

## დეკუ საავადმყოფოდან გამოწერეს

ბარსელონურ დერბიში "ბარსას" პორტუგალიელმა ლეგიონერმა ერთ-ერთი შეჯახების დროს ტვინის შერყევა მიიღო, რის გამოც ის საავადმყოფოში მოათავსეს. საინტერესოა, რომ დეკუ თანაგუნდელ ტიაგო მოტას შეეჯახა და გონება დაკარგა. დეკუ ვარჯიშს უკვე შეუდგა.

## სოლსკიაერი "მანჩესტერ იუნაიტედს" დაუბრუნდა

"მანჩესტერ იუნაიტედის" ნორვეგიელი ფორვარდი ოლე გუნარ სოლსკიაერი ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ გუნდს დაუბრუნდა და უკვე ითამაშა ძირითად შემადგენლობაში ინგლისის თასის გათამაშებაში "ბარტონის" წინააღმდეგ. სოლსკიაერი ორი წლის განმავლობაში მკურნალობდა მუხლის ტრავმას.

## სანიოლი "ბაიერნში" რჩება

მიუნხენის "ბაიერნმა" ბოლო მოუღო ყველა ჭორს ფრანგი ვილი სანიოლის მომავალი კარიერის შესახებ. ფრანგი მცველი უახლოეს მომავალში ბავარიულ კლუბთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს. ული ჰიონესის თქმით, ფეხბურთელმა უარი განაცხადა ტურინის "იუვენტუსში" გადასვლაზე. ამის ნაცვლად ის "ბაიერნთან" ახალ კონტრაქტს გააფორმებს 2010 წლამდე.

## "მილანი" ვიერის ყიდის

"მილანი" მოლაპარაკებას აწარმოებს ფრანგულ "მონაკოსთან" ფორვარდ კრისტიან ვიერის ტრანსფერის თაობაზე. მოლაპარაკებები მიმდინარეობს და ყველა დეტალის დაზუსტების შემდეგ კონტრაქტიც გაფორმდება."მილანის" პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ კი განაცხადა, რომ ვიერის ან უახლოეს დღეებში გავყიდით ან ყველაფერი ისე დარჩება, როგორც არის. შეგახსენებთ, რომ ვიერი "მილანში" "ინტერიდან" გადავიდა. ზაფხულში მან ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება ვერ შეძლო და ახლა მსოფლიო ჩემპიონატზე მისი გამგზავრება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. "მონაკოს" კი იტალიელი სპეციალისტი ფრანჩესკო გვიდოლინი წვრთნის. ასე რომ, ვიერის "მონეგასკობა" რეალურია. დეკემბრის თვეში "მონაკომ" კიდევ ერთი იტალიელი ფორვარდი მარკო დი ვაიო გადაიბირა.

## 800 ათასი "ბარტონს"

ინგლისის სამოყვარულო კლუბი "ბარტონი" ინგლისის თასზე "მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ განმეორებითი მატჩისთვის 800 ათას გირვანქა სტერლინგს მიიღებს. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდების პირველი მატჩი კვირას ნულოვანი ფრით დასრულდა. კლუბის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ბენ რობინსონმა განაცხადა, რომ "ბარტონისთვის" არსებობის ისტორიაში ეს ყველაზე დიდი მიღწევა იყო და ეს მიღწევა კლუბის ხაზინას 800 ათასი გირვანქით შეავსებს. ეს თანხა კი ვალების გასტუმრებას და გუნდის სტადიონს მოხმარდება.

განცხადება

ქ. ზესტაფონის გამგეობა აცხადებს ტენდერს შემდეგზე:

ა) ქ. ზესტაფონის დაგვა დასუფთავება და მოგროვილი ნარჩენების გატანა გაუვნებელყოფა. დასაგველი ფართობი შეადგენს 50 ათას კვ.მ. (ყოველდღიურად) 8500 კვ.მ. პერიოდულად.
ბ) მოსახლეობიდან საყოფაცხოვრებო მყარი ნარჩენების გატანა-გაუვნებელყოფა (მათთან ინდივიდუალური ხელშეკრულებებით).
გ) ქალაქის ტერიტორიაზე არსებული კომერციული სტრუქტურებიდან და სხვა დასხვა ორგანიზაციებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა-გაუვნებელყოფა (მათთან ინდივიდუალური ხელშეკრულებებით).
ნაგავსაყრელი მდებარეობს ქალაქის ცენტრიდან 13 კმ-ის დაშორებით

ქ. ზესტაფონის გამგეობა ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ნებისმიერ დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს.
დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, 2006 წლის 25 იანვრის 17 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი ზესტაფონი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №11, ქალაქ ზესტაფონის გამგეობის II სართული, სატენდერო კომისია.
სატენდერო კომისია მუშაობს 10 სთ-დან 17 სთ-მდე.
პრეტენდენტი იურიდიული პირისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:
ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, არ მიმდინარეობს გაკოტრების ან [illegible] საქმე.
ბ) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ დევს ყადაღა.
გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ, ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით.
დ) საკვალიფიკაციო მონაცემთა ნუსხა, რომელსაც მიიღებენ სატენდერო კომისიაში
ე) სატენდერო მოსაკრებლის ქვითარი 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.
ვ) რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონის და ფაქსის №, საბანკო რეკვიზიტები).

პრეტენდენტი ფიზიკურ პირთათვის წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:
ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
გ) ცნობა შსს-დან, რომ მის მიმართ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ, ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით.
დ) საკვალიფიკაციო მონაცემთა ნუსხა, რომელსაც მიიღებენ სატენდერო კომისიაში
ე) სატენდერო მოსაკრებლის ქვითარი 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.
ვ) რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონის და ფაქსის №, საბანკო რეკვიზიტები).

პრეტენდენტი იურიდიული და ფიზიკური პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენენ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება. საკვალიფიკაციო მონაცემების შერჩევა მოხდება 2006 წლის 28 იანვრის 17 სთ-მდე.
სატენდერო დოკუმენტაცია ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს გადაეცემა სატენდერო მოსაკრებლის ქვითრის წარდგენისთანავე.
სატენდერო წინადადების წარდგენის ბოლო ვადა არის 2006 წლის 4 თებერვლის 14 სთ-მდე. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2006 წლის 4 თებერვალს 14 სთ-ზე.
გამარჯვებული გამოვლინდება იმავე დღეს ღია კენჭისყრის საფუძველზე სატენდერო კომისიის მიერ.
დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქალაქი ზესტაფონი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №11, ქალაქ ზესტაფონის გამგეობის II სართული, სატენდერო კომისია. ტელ: (292) 5 20 99, (99) 41 61 38.

სატენდერო კომისია.

კინო

# თუ შეძლებთ, იფიქრეთ ამაზე!

ქეთევან ქურდოვანიძე

"დროა, ჩვენში დასრულდეს ეზოპეს ენით საუბარი - ნახევრად სიმართლის თქმა, რადგან ამგვარი დამოკიდებულება საფრთხეს უქმნის, ერთი მხრივ, წარსულის ფასეულობებს, მეორე მხრივ კი განვითარების პერსპექტივას. არ არსებობს წარსული, აღარც მომავალი, რჩება მხოლოდ საეჭვო ღირებულების აწმყო, სივრცე ჩაკეტილია, ანუ იქმნება შესანიშნავი გარემო გრძნობათა მოჭარბებისთვის"

ასე ფიქრობს რეჟისორი ლევან ზაქარეიშვილი, რომლის ბოლო ფილმმა "თბილისი - თბილისი" უამრავი პრიზი დაიმსახურა, აგრეთვე "ოსკარის" ნომინაციაზე - "საუკეთესო საზღვარგარეთული ფილმი" - წარდგენილი ნამუშევრებიდან 58 გამარჯვებულში მოხვდა.

ფილმისთვი საკმაოდ მკაცრად შერჩეული და ნოველებად შეკრული მასალა საშუალებას გვაძლევს გავაცნობიეროთ ჩვენი მომავალი თაობის ბედი, შექმნილი რეალობა და შევძლოთ სათანადო დასკვნების გამოტანა. მოვლენები ე.წ. ბაზრობაზე ვითარდება. ფაქტობრივად, აქ ცხოვრობენ ფილმის პერსონაჟები, აქ იკრიბებიან, ერთმანეთს ეცნობიან, საუბრობენ და ერთმანეთი უყვარდებათ. თითოეული მათგანი გმირია - საკუთარი ბედით და პრობლემებით. რეჟისორი ცდილობს, ოსტატურად გამიჯნოს მარადიული სატკივარი ყოველდღიური ამაოებისგან. ეს გახლავთ შიში, წუხილი მომავალი თაობის ბედზე და მოსალოდნელ კატასტროფაზე, რომ ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი შეიძლება ერთ ბინძურ ბაზრად იქცეს, სადაც უფასურდება ადამიანური თვისებები, სახიჩრდება სული, სადაც დარღვეულია საზღვრები, პიროვნებები კი საკუთარ სახეს კარგავენ. ყოველი ნოველის შემდეგ გასაგები ხდება, რომ დრამატულ საწყისს სწორედ თვალსაზრისთა შეჯახება იწვევს. პერსონაჟები სამყაროს შორდებიან, რადგან იქ მხოლოდ გულგრილობაა, მათ კი თანაგრძნობა სჭირდებათ.

ფილმის დოკუმენტური ფონი ეკრანზე ცოცხალ გარემოს ქმნის, სადაც ჩვენი გმირები დროების შესაფერის თვისებებს იძენენ. ისინი ცდილობენ, ერთად მოიყარონ თავი, საერთო პრობლემების გარშემო, ერთად ებრძოლონ მათ გვერდით დაბუდებულ სისასტიკეს, ოღონდ, თითოეულმა ინდივიდუალური მეთოდით, ისე როგორც ეს თავად წარმოუდგენია. რეჟისორი თავს არიდებს ბოროტისა და კეთილის ხელოვნური მხატვრული სიმბოლოების შექმნას და მათი მარადიული ბრძოლის გამოსახვას დოკუმენტური ესთეტიკით ცდილობს, ფილმში ვერ ვხვდებით ზნეობრივ იდეალს, ან საგანგებ-



რეჟისორი ლევან ზაქარეიშვილი

ოდ უზნეო პერსონას, არ არსებობს კონტრასტი, მკვეთრი მორალისტური დიფერენციაცია, ისევე, როგორც ბაზარში. აქ მყიდველიცა და გამყიდველიც ერთმანეთს ემსგავსება და ერთ კანონს ემორჩილება, ყველაფერი ერთმანეთში იზილება, ჭრელდება, სივრცე იკეტება და გადარჩენის შანსიც მინიმუმამდე დადის. იწყება გამოსავლის ძიება და ჩვენს გმირებს ბუნებრივად უჩნდებათ ჩაკეტილი სივრციდან თავის დაღწევის სურვილი.

თითქმის ყველა დიდმა ხელოვანმა დასვა ჩაკეტილი სივრცის პრობლემა და შესაბამისად მისი გადაჭრის საკუთარი კონცეფცია და მხატვრული ხერხები შემოგვთავაზა. ფელინიმ სიმბოლიზმსა და რომანტიზმს მიმართა, ფორმანმა ირონიასა და პოლიტიკურ მეტაფორას, ბიუნუელმა ასოციაციებს და ცნობიერების ნაკადს, ქართველმა ხელოვანმა კი დოკუმენტურ პროზას, რაც, ჩვენი აზრით, ძალიან ჰგავს მარკესის პუბლიცისტიკას, სადაც სათქმელი ერთი შტრიხით, ერთი ფრაზით, ერთი რეპლიკის ხარჯზეა აგებული.

ხელოვნებაში თანდათან იკვეთება გარემოს დოკუმენტური ასახვის ტენდენცია. ეს არის თანამედროვეობის უპირველესი მოთხოვნა. ეს არის თანამედროვე ხელოვნება.

ფილმში მინიმუმამდეა დაყვანილი ექსპრესიულ-გამომსახველობითი ესთეტიკა ისე, რომ რეჟისორი თავისი გმირების სულში შეღწევისა და მათი ხასიათების ნიუანსების გამოკვლევის უფლებას მაინც იტოვებს. შავ-თეთრი გამოსახულების მანიპულირებით თხრობის დრამატიზმი მძაფრდება. უსიტყვოდაც ნათელი ხდება, რომ ეს დაძაბულობა აუცილებლად იფეთქებს და ჩვენ თვალწინ ახალი ტრაგედია გადაიშლება - ტანჯვა, უსუსურობა და სასოწარკვეთა. სოციალური დისკომფორტი ამ ადამიანებს ექსტრემალურ პირობებში აგდებს და ისინი იძულებულნი არიან ყველა ქვენა გრძნობა უნებურად გამოავლინონ. თუმცა, ამის კომპენსაციაც არსებობს - თანაგრძნობა, სიკეთე, სხვისი ტკივილის გაზიარება. ასეთი პერსონაჟია ბაადურ წულაძის გმირი, პროფესორი, რომელიც მთელი თაობის წუხილს გამოხატავს. ის ცდილობს თავი გადაირჩინოს ისე, რომ ღირსება არ შეელახოს. პროფესორი მშვიდად აწვდის თავისი დისერტაციის ფურცლებს მზესუმზირის გამყიდველ ქალს, რადგან იცის, რომ ეს ფურცლები ახლა აღარავის სჭირდება.

ბაადურ წულაძემ, რომელსაც ქართველი მაყურებელი სახასიათო როლებით იცნობს, ანაპის საერთაშორისო კინოფესტივალზე მთავარი პრიზი, დაფნის გვირგვინი დაიმსახურა. სამწუხაროა, რომ არც დაფნის გვირგვინი და არც ლევან ზაქარეიშვილის პრიზი - საუკეთესო რეჟისურისთვის ქართველ მაყურებელს არ უნახავს. დუმს საინფორმაციო საშუალებები, არც იმაზე საუბრობენ, რომ ანაპის ფესტივალი ქართული კულტურის ზეიმად იქცა. აი, როგორი პასუხისმგებლობით ვეკიდებით საკუთარ წარმატებებს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ფილმის მუსიკალური გაფორმება (კომპოზიტორი ნიაზ დიასამიძე). რეჟისორი მუსიკას "სივრცის მოწყობაში" საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებს. სამწუხაროდ, ქართულ კინემატოგრაფში ხშირად მუსიკას ბარბაროსულად ექცევიან და მას პაუზებისა და ხარვეზების დასაფარად იყენებენ.

დღეს, როდესაც თითოეული ჩვენგანი ალტერნატივის წინაშე დგას, რა გზით იაროს - მიიღოს თუ არა სოციუმისგან წაყენებული ესა თუ ის პირობა ისე, რომ შეინარჩუნოს თავისი კრედო, სულიერი და მორალური ფასეულობანი, განზე დგომა და სკეპტიკური განცხადებების კეთება, რბილად რომ ვთქვათ, არაეთიკურია. ამგავარი მეთოდით კულტურულ პროცესში ჩართვა ერთი მხრივ იოლია, მეორე მხრივ კი - ამორალური. ჩვენში ნებისმიერ მოვლენას, დადებითია ის თუ უარყოფითი, ერთნაირი გამოხმაურება მოჰყვება ხოლმე. ასე ხდება მათი იდენტიფიკაცია "კულტურის იდეოლოგთა" წყალობით. ამ არეულობაში ჭეშმარიტად ფასეული მოვლენები სათანადო რეზონანსს ვეღარ იძენს და საზოგადოების ყურადღების მიღმა რჩება.

"როდესაც ფილმზე ვმუშაობდით, რეალობის პირისპირ აღმოვჩნდით. ჩვენ არავის ვესხმით თავს, არც ვინმეს ვიცავთ. უბრალოდ, თუ შეძლებთ, იფიქრეთ ამაზე".







კადრები ფილმიდან

# თბილისის შემდეგ - აჭარა

## დაიწყო ახალი ქართული ენციკლოპედიური ნაშრომის მომზადება

ნია ნუცუბიძე

რამდენიმე წლის წინ ქართული ენციკლოპედიის მთავარმა სამეცნიერო რედაქციამ ფირმა "ჟურნალისტის" (გენერალური დირექტორი ოთარ გაგუა) თანადგომით, ფუნდამენტური ნაშრომი-ენციკლოპედია "თბილისი" გამოსცა, სადაც ყველა საჭირო ცნობაა ჩვენი დედაქალაქის შესახებ. ამჟამად კი, ამ ეროვნული საქმის გამგრძელებლად აჭარაში მოღვაწე მეცნიერები, კერძოდ კი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვანო პაპუნიძე და თბილისელი პუბლიცისტი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი ოთარ გაგუა მოგვევლინნენ.

ცნობილ ენციკლოპედიაში, რომელიც ბროქჰაუზის და ეფრონის ავტორობითაა გამოცემული, აჭარის შესახებ მხოლოდ მწირი ინფორმაციაა მოცემული. როგორც ბატონი ვანო პაპუნაძე ყვება, ენციკლოპედია "აჭარაზე" ფიქრი დიდი ხნის წინ დაიწყო: "1976 წლის ნოემბერში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ყოფნისას, აკადემიკოს ოთარ ნათიშვილთან შევედი. წინ გაზეთი "თბილისი" ედო. მსხვილი შრიფტით აწყობილი სათაური გვამცნობდა, "თბილისზე მთელი საქართველო იზრუნებს". საქმე ენციკლოპედია "თბილისის" გამოცემას ეხებოდა. მაშინ ბევრს არ სჯეროდა, რომ ეს კეთილშობილური ჩანაფიქრი ხორცს შეისხამდა, მაგრამ, დღეს, ქალაქის მერიასა და რიგ უწყებათა დახმარებით დედაქალაქს ღირსეული სავიზიტო ბარათი - ენციკლოპედია "თბილისი" აქვს. ამჯერად კი, ალბათ მთელი საქართველო ენციკლოპედია "აჭარაზე" იზრუნებს"

ამ ენციკლოპედიაზე მუშაობა უკვე დაწყებულია. მისი ოფიციალური პრეზენტაცია 22 ოქტომბერს მოხდა, რომელიც მეუფე დიმიტრიმ აკურთხა და ამავდროულად შეიქმნა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო კოლეგია. ყველაფერი ლამაზ ოცნებად დარჩებოდა, რომ არა აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ლევან ვარშალომიძის აქტიური მხარდაჭერა, რომელმაც ენციკლოპედიის სამეცნიერო საბჭოსა და მთავარი საგამომცემლო კოლეგიის თავმჯდომარეობა ითავა. მთავარი რედაქტორი ვანო პაპუნიძე გახლავთ, შემოქმედებითი პროცესის ხელმძღვანელი - ოთარ გაგუა, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მიხეილ მახარაძე ფილოსოფიის განყოფილებას მეურვეობს.

საგულისხმოა, რომ ენციკლოპედია აჭარა ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) იქნება. მასში განთავსებული იქნება მეცნიერულ კვლევაზე დაფუძნებული ინფორმაციები, რუკები, სქემები, არქიტექტურული ნაგებობები, ისტორიული ძეგლები. მათი დეტალური აღწერილობა კი, უამრავ ტურისტს და მოგზაურობის მოყვარულთ მოიზიდავს. მეცნიერულად აღწერილი და დასაბუთებული ინფორმაციები ინვესტორთა მიზიდვის მნიშვნელოვანი საბაბი გახდება.

გარდა ამისა, მკითხველი პირველად გაეცნობა დღემდე უცნობ, ასევე ტაბუდადებულ არაერთ ისტორიულ მოვლენას თუ ფაქტს.

თავად ვანო პაპუნიძის თქმით კი, - ენციკლოპედია "აჭარა" იმ სულიერების გვირაბია, რომელიც მალე მთელ საქართველოს გადასერავს. ხოლო ამ სიკეთით შთაგონებული ქართველი კაცი ყოველ ალიონს უფრო მეტი რწმენით შეხვდება. მისივე თქმით, ეს გახლავთ შრომატევადი სამუშაო, რომლის დასრულების ვადების წინასწარი განსაზღვრა შეუძლებელია. ამ ორიგინალურ ნაშრომში აჭარის ზნე-ჩვეულებები, კულტურა და საერთოდ, ერის ისტორია იქნება წამოწეული.

# მოცარტის იუბილე

## ზალცბურგი ფესტივალისთვის ემზადება



ზალცბურგი მოცარტის დაბადებიდან 250 წლის იუბილესათვის ემზადება. ამ ავსტრიულ ქალაქში მთელი 2006 წლის განმავლობაში 260 კონცერტი გაიმართება: 55 მესა და მოცარტის 22 ოპერა დაიდგმება. საიუბილეო კონცერტები 2006 წლის 27 იანვარს, კომპოზიტორის დაბადების დღეს დაიწყება და პიკს, სავარაუდოდ, ზაფხულის ფესტივალზე მიაღწევს, რომელიც ზალცბურგში ჩატარდება. კონცერტის პირველ დღეს, ზალცბურგი ბევრ ცნობილ ადამიანს უმასპინძლებს, მათ შორის აშშ-ს სახელმწიფო მდივანს - კონდოლიზა რაისს.

უდიდესი კომპოზიტორის იუბილეს ავსტრიის დედაქალაქიც აღნიშნავს და ამ პერიოდში მოცარტის სახელობის კიდევ ერთი მუზეუმი გაიხსნება. ეს არის რესტავრირებული სახლი, რომელშიც მოცარტმა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ოპერა "ფიგაროს ქორწინება" დაწერა.

ამერიკელი რეჟისორი პიტერ სელერსი ვენაში ფესტივალის მოწყობას აპირებს, სადაც არქიტექტურას, მუსიკასა და კინოს გააერთიანებს, იმისთვის, რომ მოცარტი თანამედროვეობაში დაგვანახოს.

ავსტრიის მთავრობის აზრით, 2006 წლის განმავლობაში ზალცბურგს უამრავი ტურისტი ეწვევა და სპეციალურად მათთვის, ქალაქი სხვადასხვა სუვენირებით აივსება. მოცარტის გამოსახულების მაისურები, ლუდის კათხები და სხვა ნივთები გაიყიდება. ტკბილეულის ცნობილი ფირმა, რომელიც კომპოზიტორის სახელს ატარებს, თავის წარმოებას დაუმატებს ძეხვს Mozartwurst, ღვინოს და ლუდს. ასე რომ, მომავალში "მოცარტის" გასინჯვა ყველას შეეძლება.

# სიღრმეებით სიბრტყეზე

## კომპრომისზე წასული კონცეპტუალური არტი

სოფო კილასონია

გუშინ საღამოს TMS გალერეაში მაია ჩიჯავაძის გამოფენა გაიხსნა. ექსპოზიცია, საკმაოდ ზოგადი, მაგრამ ამავდროულად მიმზიდველი სათაურით "ციფრული ხელოვნება" გაიშალა. თეთრი კიდლები კიდევ ერთხელ შეივსო და სიცარიელეს გადარჩა, მაგრამ ხელოვანი ქალბატონის კონცეპტუალური ხასიათის პლაკატები მხოლოდ ერთი დღით გამოიფინა. წარმოდგენილი ნამუშევრები ნაწილია იმ მოძრავი ექსპოზიციისა, რომელმაც სტარტი თბილისში აიღო, მაგრამ უკვე დღეს ბევრად მასშტაბური ფორმით დიდი დასავლეთისკენ გაემგზავრება.

მაია ჩიჯავაძე, რომელმაც თავის დროზე სამხატვრო აკადემიაში არქიტექტორის პროფესია შეისწავლა, არაერთი წლის განმავლობაში კინოს მხატვრად გვევლინებოდა და მხატვრული ფანტაზიების ხორცშესხმას კოსტიუმში ახდენდა. მაგრამ 1988 წლიდან იგი ჰოლანდიაში ცხოვრობს და როგორც გვითხრა, იქ მოღვაწეობს. ალბათ, სწორედ იქ გაიტაცა ციფრული ფოტოგრაფიის მანევრებმა და კომპიუტერული ხელოვნების პერიპეტიებმა. "ციფრული ხელოვნება, ჩემი აზრით, ძალიან თანამედროვეა, ის თანამედროვე ხელოვნების ის ნაწილია, რომელშიც ტექნიკა აქტიურად ერევა, რათა მხატვრებმა ვიზუალურად წარმოაჩინონ ნამუშევრები. ტექნიკას რომ ვამბობთ, ყოველთვის ფოტოს ვგულისხმობთ, ან კინოს, მაგრამ ასეთ სტატიკაშიც შეიძლება ფერწერის დონემდე აიყვანო ციფრული ხელოვნება," - გვითხრა ქალბატონმა მაიამ და უმალ სხვა თემაზე გადავიდა, მაგრამ მაინც წამოიჭრა პრობლემა თუ ამოცანა, რომელსაც ერთი სიტყვით ვერ დავარქმევთ სახელს.

სახვითმა ხელოვნებამ ავანგარდში დიდი ხანია რაც ვიზუალური ხელოვნების სახელი მიიღო და ნამდვილად დამსახურებით. ის, რასაც იგი წარმოადგენს ერთმნიშვნელოვნად აღარც მხატვრობაა, აღარც ქანდაკება, აღარც კონკრეტულად ფერწერა და ა.შ. სხვადასხვა დარგის გამომსახველობითი ენების სრულ გადახლართვაში ახალმა არტმა კარგა ხანია რაც თავისი ფორმები მიიღო, რაც ალბათ მის ფორმისეულ უსაზღვროობაში ვლინდება და საკუთარი ადგილიც მოიპოვა, თუმცა აქ ალბათ უზუსტობა მეპარება: თუ თანამედროვე ტენდენციებს გადავხედავთ, მაშინ მისი თვითდამკვიდრება ჯერ კიდევ პროცესშია... თუ ერთ დროს ვიზუალური ხელოვნება, თავისი ობიექტებით, აქციებით, ულტრა კონცეპტუალური გამოვლინებებით მხოლოდ ოპოზიციის ძიებაში იყო, დღეს უკვე არის ის ტენდენციები, რომელიც ტრადიციებთან კავშირსა და მასთან საიხლოვეში ვლინდება. საზღვარი სახვით, ფერწერულ, ფიგურატიულ ხელოვნებასა და ვიზუალურ არტს შორის ხან მძაფრდება და ხანაც ძალიან რბილდება. სურვილი იმისა, რომ "ციფრული ხელოვნება" ფერწერულ ტილოს დაამსგავსო, ეს უკვე გარკვეული კომპრომისია, ოღონდ თუ გლობალურად, ზოგადად შევხედავთ საქმეს და არა კონკრეტულ მაგალითზე.

TMS გალერეაში წარმოდგენილ "ფერად პანოებზე" ერთი საერთო იდეა თუ ჩანაფიქრი იკითხებოდა. სხვადასხვაგვარი ფუნქციის და გარეგნობის ნივთები, ადამიანები და უბრალოდ არსებები ერთიანობაში, ფენებად, შრეებად, გვერდიგვერდ და მიმობნევით არიან წარმოდგენილნი. თუმცა, ამით არ სრულდება მათი აზრი, ავტორს მათი სხვადასხვაგვარ კონტექსტში წარმოდგენა სურდა და გამოუვიდა კიდეც.

"ერთიდაიგივე სხეულმა, ნივთმა და თუნდაც ადამიანმა სხვადასხვა გამოხატვის საშუალებები უნდა მონახოს. ანდა ჩვენ უნდა დავინახოთ ისინი სხვადასხვაგვარად. ასეთი ტიპის ხელოვნება საკმაოდ კარგ საშუალებებს გვაძლევს ამ კონცეფციის თვალსაზრისით. მრავალნაირი ხედვაა საჭირო. ძალიან ხშირად ხდება, რომ გვგონია, ვიცნობთ არსებას, ადამიანს, მაგრამ რაღაც ხანი უნდა გავიდეს, რომ ის ბოლომდე ამოვიცნოთ. ხშირად იცვლება ჩვენი დამოკიდებულება ერთიდაიგივე ნივთისა თუ საგნის მიმართ." სწორედ დამოკიდებულების ცვალებადობის გათამაშება ხდება ექსპოზიციაში, რომელმაც დამთვალიერებლის მოწონებაც დაიმსახურა და დიდი ინტერესიც.

კრისტალებში მოქცეული პატარა ადამიანები, ფერადი მაკრატლები თუ სხვა ნივთები ხან ერთნაირ გამჭვირვალობაში ირევიან და ხან საერთო პასტელურ ფერადოვნებაში ქმნიან ირეალურ სამყაროს სიღრმეებით, მაგრამ სიბრტყეზე. ნებისმიერი პლაკატური ფორმის ნამუშევრის შეხედვისას. მათი ესთეტიზმი მოდის წინა პლანზე და მხოლოდ შემდეგ "მონაწილე საგნები". მაია ჩიჯავაძის ესთეტიკა ძალზედ მნიშვნელოვანი ყოფილა. როგორც ჩანს, ავტორს თბილი ესთეტიზმისა არ ეშინია... აქ კიდევ ერთი ლამაზი კომპრომისია. როგორ იმალება მშრალი კონცეფციები ჩვენი დროის არტის ესთეტიკაში...

გუშინ გალერეაში წარმოდგენილ ნამუშევრებს, როგორც მითხრეს, ჰოლანდიაში და კიდევ სხვაგან, ბევრი ნახავს. დამთვალიერებელი და დაინტერესებული ადამიანი ბევრი შევიდოდა ამ დღეებში საგამოფენო დარბაზში, მაგრამ ვინც ვერ მოასწრო, ჩიჯავაძის "ციფრული ხელოვნების" ხილვის შანსი განუსაზღვრელი ვადით გადაიდო. "მივდივარ და მიმაქვს" - მითხრა მხატვარმა და სავარაუდოდ დღეს უკვე ჰოლანდიაში გაემგზავრა.

# კარტოფილის მატარებელი

*საქართველოს პრეზიდენტის დაპირებებით ფრთაშესხმულ სამცხე-ჯავახელ გლეხებს იმედები გაუცრუვდათ.*

ოლესია ვართანიანი,
ნინოწმინდა-თბილისი

სიცივისგან გაყინული ცარიელი მატარებლის ვაგონში ორი მამაკაცი შემოვიდა. მათ ზურგზე მძიმე ტომრები ჰქონდათ მოკიდებული. მალე ვაგონი კარტოფილით სავსე ტომრებითა და მათი მფლობელებით გაივსო. როცა მატარებელი დაიძრა, ,,კარტოფილის ზღვის" მეპატრონენი ტომრებზე აძვრნენ და იმ პატარა სივრცეში მოთავსდნენ, რომელიც ტვირთსა და ჭერს შორის იყო დარჩენილი.

პატარა მატარებელი, რომელიც მხოლოდ ორი ვაგონისგან შედგება, აპრილიდან დეკემბრის ბოლომდე ნინოწმინდიდან თბილისამდე რეისს კვირაში სამჯერ ასრულებს. ამ მატარებლით გლეხებს ყველი და თევზი გადააქვთ, მაგრამ მთავარი ტვირთი მაინც კარტოფილია, რომელიც სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ღარიბი მოსახლეობისთვის უმთავრეს საარსებო წყაროს წარმოადგენს.

კარტოფილის მომყვანებისთვის მოსავლის გასაყიდად გადაზიდვის მთავარი საშუალება სწორედ ეს მატარებელია. წელიწადის პირველი სამი თვის განმავლობაში რკინიგზა დიდთოვლობის გამო ჩაკეტილია, გზები კი, ცუდ მდგომარეობაშია და ხშირად თოვლითაა დაფარული. ამიტომ საქონლის ავტოტრანსპორტით გადატანა მომგებიანი არ არის.

გასულ სექტემბერს, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ჯავახეთი მოინახულა და განაცხადა, რომ რეგიონში მოყვანილ კარტოფილს, აგრეთვე ხორცისა და რძის ნაწარმს მთლიანად ქართული ჯარი შეისყიდიდა. ადგილობრივებს იმედი გაუჩნდათ, რომ მათ გაჭირვებას ბოლო მოეღებოდა.

როცა ნინოწმინდის რაიონის ერთ-ერთ სოფლებში გამართულ შეხვედრაზე სააკაშვილს ჰკითხეს, რის შესყიდვას აპირებდა მთავრობა, მან უპასუხა – ,,ყველაფრის, რაც მოდის ჯავახეთში და ეს ქართული ჯარისთვის საკმარისი არ იქნება".

მანამდე კი, პრეზიდენტმა თბილისში განაცხადა, რომ ,,სომეხი ეროვნების არც ერთ ჩვენს მოქალაქეს შემოსავლის გარეშე დარჩენის არ უნდა ეშინოდეს".

ადგილობრივი ეკონომიკის მდგომარეობის გამო შეშფოთება კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც ახალქალაქის რუსული სამხედრო ბაზის დახურვის პერსპექტივა გაჩნდა. წარსულში ბაზაზე ბევრი ადგილობრივი იყო დასაქმებული.

სააკაშვილის ვიზიტის შემდეგ თავდაცვის სამინისტროს დახმარებით ნინოწმინდასა და ახალქალაქში პროდუქტების მიმღები პუნქტები გაიხსნა. პუნქტებში თავიანთი პროდუქციის მოსატანად ჯარისკაცებმა გლეხებს მანქანები გადასცეს. გარდა ამისა, შეადგინეს გლეხების სია, რომლებმაც საკუთარი მოსავლის ჯარისათვის მიყიდვის სურვილი გამოთქვეს.

თუმცა რამდენი ტონა კარტოფილის შესყიდვას აპირებდა ჯარი და რა ფასად, ამ კითხვებზე თავდაცვის სამინისტრომ ჩვენს კორესპონდენტს პასუხი არ გასცა. სამინისტროში მხოლოდ ის განაცხადეს, რომ ,,მუშავდება გეგმა".

მოგვიანებით, ნოემბერში ჯარმა მოსავლის შესყიდვა დაიწყო. თუმცა პროდუქციის დიდი ნაწილი არ გაიყიდა. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ჯავახეთში იმაზე 30-ჯერ მეტი კარტოფილი მოიყვანეს და 210-ჯერ მეტი რძე მიიღეს, ვიდრე 20 ათასი კაცისგან შემდგარ ქართულ ჯარს შეეძლო შეესყიდა.

ადგილობრივებს იმედი გაუცრუვდათ. ,,უკვე ვალების გასტუმრებასა და რაღაცების ყიდვას ვგეგმავდი. მე და ჩემი ცოლი ვფიქრობდით, რომ ჩვენი გაჭირვება დასრულდა და მომავალი მოსავლის აღების დროს ცოტაოდენ ფულსაც დავზოგავდით", – გვითხრა სოფელ ხოჯაბეგის მცხოვრებმა მიშა ფუთულიანმა.

,,მაგრამ რა მოხდა? მათ ჯერ განაცხადეს, რომ ათას ტონაზე მეტ კარტოფილს შეისყიდიდნენ; შემდეგ თავიანთი ხალხის საშუალებით გვეუბნებოდნენ, რომ წელს ჯარს მხოლოდ 125 ტონა კარტოფილი სჭირდებაო, ბოლოს კი, პროდუქცია სულ სხვა წყაროებიდან იყიდეს და ჩვენ საერთოდ დავავიწყდით", – თქვა მიშამ.

,,ჩვენი ფირმა კომერციულია", – განაცხადა ,,ჯავახქდამზადების" წარმომადგენელმა ჯუმბერ ლომიძემ, რომელიც შესყიდვებს თავდაცვის სამინისტროს სახელით ახორციელებს.

,,ჩვენ 125 ტონის შესყიდვა დაგვავალეს. კარტოფილი იმ ხალხისგან ვიყიდეთ, ვინც პირველად დაგვირეკა. პროდუქციის გაყიდვის მსურველთა სიები არ გამოგვიყენებია. მათში ისეთი შორეული სოფლების მცხოვრებლების გვარები იყო მითითებული, რომ ჩვენთვის იქ ჩასვლა და პროდუქტების ჩამოტანა ზედმეტი ხარჯი იქნებოდა", – დასძინა ლომიძემ.

თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა ნანა ინწკირველმა განაცხადა, რომ გასულ წელს ჯავახეთში 240 ტონა კარტოფილი და 35 ტონა საქონლის ხორცი შეისყიდეს. მაგრამ მან ასევე აღნიშნა, რომ 2006 წელს ადგილობრივი პროდუქციის შესყიდვების რვაჯერ გაზრდა იგეგმება.

,,ხალხს არარეალური მოლოდინი ჰქონდა, რაც იმ დროისათვის გამართლებული არ იყო. ეს ლოგიკური შედეგია, რადგან თავად გადაწყვეტილება პოლიტიკური იყო და მიზნად მომავალში რუსული ბაზის გაყვანით გამოწვეული დაძაბულობის განმუხტვას ისახავდა", – განაცხადა პოლიტოლოგმა გია ნოდიამ.

ახალი წლის წინა დღეებში ახალქალაქის ქუჩები, ჩვეულებისამებრ, თბილისიდან ჩამოსული მანქანებით იყო სავსე. ჩამოსულები საყოფაცხოვრებო ნივთებს ყიდდნენ და სანაცვლოდ ნაღდი ფულის ნაცვლად კარტოფილს ითხოვდნენ.

სოფელ განძას მცხოვრებმა იეგიშ სირაკანიანმა განაცხადა, რომ იგი მოვლენების ამგვარ განვითარებას ელოდა. იგი კმაყოფილია, რომ კარტოფილის გასაყიდად უკვე რამდენჯერმე იყო დედაქალაქში წასული და ნაღდი ფულიც გამოიმუშავა.

,,ახლა, ჩვენი ბიჭების ჩამოსვლამდე იმდენი ფული მაინც გვაქვს, რომ ვიცხოვროთ", – თქვა მან. ,,ჩვენი ბიჭები" ოჯახის ის ახალგაზრდა წევრები არიან, რომლებიც სოფლის სხვა მცხოვრებლების მსგავსად, სეზონური სამუშაოს საშოვნელად რუსეთში მიდიან.

ჯავახეთი კარტოფილისა და ყველის წარმოების თვალსაზრისით საქართველოს წამყვანი რეგიონია. ნინოწმინდის რაიონის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნორიკ საკიანი ამბობს, რომ პროდუქტულობა ყოველწლიურად 10 პროცენტზე მეტით იზრდება, მაგრამ უმთავრეს პრობლემად ისევ პროდუქციის გაყიდვა რჩება.

საბჭოთა პერიოდში სახელმწიფო პროდუქტებს კოლმეურნეობის ფერმებისგან ყიდულობდა. მსხვილი მყიდველების ნაკლებობამ კი ბოლო დროს ისეთი ,,ფენომენი" წარმოშვა, როგორიც ,,კარტოფილის მატარებელია".

,,ნინოწმინდის მატარებელი, პრაქტიკულად, სოციალური პროექტია და საქართველოს რკინიგზისთვის არაფერს ნიშნავს, რადგან არავითარი მოგება არ მოაქვს", – განუცხადა IWPR-ს საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელმა ირაკლი ეზუხბაიამ.

ნინოწმინდა-თბილისის მატარებლის ბილეთი 8 ლარი ღირს. ,,მოგზაურ გლეხებს" ერთ ტომარაზე დამატებით 1,5 ლარის გადახდა უწევთ. გამთენიისას ნავთლუღის სადგურში შემოსულებს მყიდველები უკვე ელიან და ვაჭრობაც აღარ მიმდინარეობს – კილოგრამი კარტოფილი დაახლოებით 25 თეთრად იყიდება.

,,ისინი (გადამყიდველები) საჭირო ხალხს ფულს უხდიან და ამიტომ ჩვენს ხალხს საქონლის მიყიდვა მხოლოდ განსაზღვრული ადამიანებისთვის შეუძლია. დაშინების მცდელობებიც არის, საქმეში სწორედ ასეთ შემთხვევებში ვერევი. მაგრამ, ზოგადად, ამ მაფიას ყურადღებას არავინ აქცევს", – განაცხადა მატარებლის გამცილებელმა ნინოწმინდელმა პოლიციელმა არმენ ჰოვანესიანმა.

რამდენიმე საათის შემდეგ ჯავახეთის კარტოფილი ნავთლუღის ბაზარზე ორმაგზე უფრო მაღალ ფასად ხელმეორედ იყიდება – ერთი კილოგრამი 60 თეთრად.

როცა ,,კარტოფილის მატარებელი" თბილისიდან ბრუნდება, ის უკვე თითქმის ცარიელია. ნინოწმინდელი მესროპი ბედნიერად გამოიყურება – კარტოფილის გაყიდვით მიღებული ფულით მან შვილებისთვის რამდენიმე ტომარა მანდარინის ყიდვა მოახერხა.

*ამ სტატიის დაწერაში ასევე მონაწილეობა მიიღო ,,სამხრეთის კარიბჭეს" კორესპონდენტმა ლევონ ვარდანიანმა*

www.iwpr.net



მაია ავალიანი

*სამცხე-ჯავახელი გლეხებისგან 25 თეთრად ნაყიდ კარტოფილს გადამყიდველები 60 თეთრად ყიდიან*

# აზერბაიჯანი ახალი ენერგოპარტნიორების ძიებაშია

*რუსული გაზის ფასის მკვეთრი ზრდა აზერბაიჯანს ახალი ენერგორესურსების ძებნას აიძულებს.*

რუფატ აბასოვი,
ბაქო

რუსული გაზის გიგანტის ,,გაზპრომის" მიერ ბუნებრივი აირის ფასის გაზრდა აზერბაიჯანს ისეთი გზების ძიებისკენ უბიძგებს, რომელთა მეშვეობითაც ქვეყანა რუსეთიდან მიწოდებულ გაზზე ნაკლებად დამოკიდებული გახდება.

2006 წლის დასაწყისიდან ,,გაზპრომის" შვილობილმა კომპანიამ ,,გაზექსპორტმა", რომელიც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს გაზით ამარაგებს, ბუნებრივ აირზე ფასები თითქმის გააორმაგა.

აზერბაიჯანი ყოველწლიურად 12-14 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს მოიხმარს. აქედან 5 მილიარდს საკუთარი რესურსებით უზრუნველყოფს, ხოლო დანარჩენს ქვეყანა ძირითადად რუსეთიდან იღებს.

21 დეკემბერს აზერბაიჯანმა ხელი მოაწერა ახალ შეთანხმებას, რომლის თანახმადაც ,,გაზექსპორტი" ქვეყანას 4.5 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს ახალი ტარიფით მიაწვდის – 1000 კუბურ მეტრის ღირებულება 110 დოლარი იქნება.

,,ჩვენ, უბრალოდ, სხვა გამოსავალი არ გვქონდა", – განაცხადა პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას. ამიტომ, ალიევის თქმით, ქვეყანა გაზის ალტერნატიულ წყაროებს ეძებს, მათ შორის ირანშიც.

ამავე დროს, რუსულმა ენერგოგიგანტმა ,,რაო ეეს"-მა აზერბაიჯანისათვის მიწოდებული ელექტროენერგიის ფასის გაზრდაც გადაწყვიტა.

,,ჩვენ ამჟამად 1 კვტ/სთ ელექტროენერგიას ,,რაო ეეს"-ისაგან 2.8 ცენტად ვიღებთ, ტარიფის გაზრდის შემთხვევაში კი კვტ/სთ 4 ცენტი ეღირება", – განუცხადა ჟურნალისტებს სახელმწიფო ენერგოკომპანია ,,აზერენერგოს" ხელმძღვანელმა ეთიბარ პირვერდიევმა.

,,აზერბაიჯანს რუსეთიდან ელექტროენერგიის შესყიდვაზე უარის თქმა შეუძლია და გამორიცხული არაა, რომ ასეც მოვიქცევით", – დასძინა მან.

როგორც პირვერდიევმა აღნიშნა, ,,რაო ეეს"-ის წარმომადგენელთა განცხადებით, ახალი ტარიფი რუსეთის შიდა ბაზარზე ბუნებრივი აირის ფასის მომატების შედეგია, რადგან ელექტროენერგიის წარმოების ხარჯები გაიზარდა.

ფასის გაზრდით გამოწვეულმა უკმაყოფილებამ აზერბაიჯანს ირანთან შეთანხმების გაფორმებისკენ უბიძგა. რუსულ კომპანიასთან ახალი კონტრაქტის ხელმოწერამდე ერთი დღით ადრე პრეზიდენტი ალიევი ირანელ კოლეგას მაჰმუდ აჰმადინეჯადს გაზსადენის ექსპლუატაციაში ჩაშვების საზეიმო ცერემონიაზე შეხვდა – ამ გაზსადენის მეშვეობით ნახიჩევანი ბუნებრივ აირს ირანიდან მიიღებს.

ნახიჩევანს დანარჩენი აზერბაიჯანისგან სომხეთის ტერიტორია გამოყოფს. 15 წლის წინ - მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დაწყების შემდეგ რეგიონი თხევად გაზს მოიხმარდა, რადგან ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობა გაწყდა და ნახიჩევანი აზერბაიჯანის მილსადენებს მოწყვეტილი აღმოჩნდა.

ბაქოში მიიჩნევენ, რომ ირანთან შეთანხმების დადება მოსკოვის მიერ ენერგეტიკის სფეროში წარმოებული პოლიტიკის შედეგია.

პოლიტოლოგმა რუსიმ მუსაბეკოვმა აღნიშნა, რომ რუსეთთან და ირანთან აზერბაიჯანის ურთიერთობას საფუძვლად ეკონომიკა უდევს. ,,რუსეთის მიერ აზერბაიჯანისათვის გაზის ფასის გაზრდის გადაწყვეტილებაში ვერანაირ პოლიტიკურ მოტივს ვერ ვხედავ, რადგან ფასები გაიზარდა სომხეთისთვისაც, რომელიც სამხრეთ კავკასიაში რუსეთის პოლიტიკური დასაყრდენია. ირანთან ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის გააქტიურება კი აზერბაიჯანის მიერ ხელსაყრელი ალტერნატივების ძიების შედეგია", – განაცხადა მუსაბეკოვმა.

სავარაუდოდ, ნახიჩევანისათვის მიწოდებული ირანული გაზის მოცულობა შარშანდელი 52 მილიონი კუბური მეტრიდან ჯერ 250 მილიონამდე, შემდეგ კი 500 მილიონამდე გაიზრდება. დამატებით მიწოდებულ გაზს წლების განმავლობაში უმოქმედოდ მყოფი ბაბექის ელექტროსადგურის ასამუშავებლად გამოიყენებენ, რაც, თავის მხრივ, ნახიჩევანის ენერგომომარაგებაში ქრონიკულ დანაკლისს ნაწილობრივ მაინც შეავსებს.

,,საწვავის უქონლობის გამო ეს სადგური უმოქმედოდ იყო. 2006 წლის თებერვლიდან მისი 18 მეგავატი სიმძლავრის მქონე ოთხი ტურბინა ჩაირთვება. ირანული ბუნებრივი აირით მომარაგებული ბაბექის ელექტროსადგური 2006 წლის მაისიდან მუშაობას სრული დატვირთვით დაიწყებს", – განაცხადა ,,აზერნერგოს" მთავარმა ინჟინერმა ნაზიმ ასკეროვმა.

ამავე დროს, 2006 წელს აზერბაიჯანი ირანისაგან 1 მილიარდი კუბური მეტრი გაზის შესყიდვას აპირებს. ამგვარად ბაქო რუსულ გაზზე კიდევ უფრო ნაკლებად დამოკიდებული გახდება.

,,ტექნიკური სამუშაოები უკვე დაწყებულია, ქალაქ ასტარას გავლით ირანული გაზის მიღების პროექტი შემუშავების პროცესშია", – განაცხადა ,,აზერიგაზის" ხელმძღვანელმა ალიხან მელიქოვმა. ბუნებრივ აირს აზერბაიჯანისა და ირანის საზღვარზე მდებარე ალიბაირამლის ელექტროსადგურის მოსამარაგებლად გამოიყენებენ.

აზერბაიჯანში გაზის დეფიციტი 2007 წელს სამხრეთ კავკასიური გაზსადენის ამოქმედების შემდეგ უნდა დასრულდეს, რომელიც შიდა მოთხოვნასაც დააკმაყოფილებს და შაჰ-დენიზის საბადოდან თურქეთის ქალაქ ერზრუმში საწვავის ექსპორტსაც უზრუნველყოფს.

რუსეთის მიერ 1000 კუბური მეტრი გაზისათვის 110 დოლარამდე გაზრდილი ტარიფი სომხეთსა და საქართველოზეც უარყოფითად იმოქმედებს.

29 დეკემბერს, სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვარდან ოსკანიანმა განაცხადა, რომ ახალი ფასი ეკონომიკისათვის მძიმე დარტყმა იქნება. ტელეარხ ,,კენთრონის" ეთერში მან განაცხადა, რომ სომხეთმა საკუთარ ენერგეტიკული და ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკას უნდა გადახედოს. სომხეთი და ირანი უკვე მუშაობენ ახალი გაზსადენის პროექტზე, რომელმაც ფუნქციონირება 2007 წლიდან უნდა დაიწყოს.

საგარეო პოლიტიკის საკითხებში აზერბაიჯანის პრეზიდენტის ყოფილი მრჩევლის ვაფა გულუზადეს აზრით, მეზობლებისათვის გაზის საექსპორტო ფასის გაზრდის შესახებ მოსკოვის გადაწყვეტილება მარტში დანიშნული საპარლამენტო არჩევნების წინ უკრაინის პრეზიდენტზე ვიქტორ იუშჩენკოზე ზეწოლის მოხდენის მცდელობას წარმოადგენს. თუმცა, გულუზადეს აზრით, ეს პოლიტიკა რუსეთს ბუმერანგივით უკან დაუბრუნდება.

,,მოსკოვმა ეს ტაქტიკა საქართველოსა და მოლდოვის წინააღმდეგაც გამოიყენა და ორივე ქვეყანაში ანტირუსული განწყობა იზრდება. აზერბაიჯანსა და სომხეთს ფასები თავიანთი რეალური მოტივების შესანიღბად გაუზარდეს", – აღნიშნა გულუზადემ.

www.iwpr.net

# ჩეჩნეთი: მივიწყებული ობლები

*ომმა და სოციალური სისტემის ნგრევამ ჩეჩნეთში ათასობით ბავშვი უსახლკაროდ დატოვა.*

ასია რამაზანოვა,
გროზნო

გროზნოს ერთადერთი ბავშვთა სახლის პატარა ბიბლიოთეკაში 15 წლის მადინა ახმადოვა საათობით ზის და აგატა კრისტის დეტექტივებს კითხულობს. ,,ბავშვთა სახლში 2001 წლიდან ვარ. აქ მას შემდეგ მოვედი, რაც ჩემი მშობლები დაიღუპნენ. დედა მეორე ომში მომიკვდა, მამა კი – პირველში", – ნაღვლიანად გვითხრა მან.

მადინა №33 სკოლის მე-8 კლასში სწავლობს. მას უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაბარება და ,,უსამართლობასთან ბრძოლა" სურს. ,,პირველ რიგში უდედმამო ბავშვთა უფლებებს დავიცავ", – ამბობს მადინა.

ამას წინათ გადაცემაში ,,დამელოდე", რომლის მიზანი ობლებისთვის ოჯახების მოძებნაში დახმარებაა, ასტრახანში მადინას ორი ნათესავი მოიძებნა. მაგრამ გოგონამ მათთან საცხოვრებლად გადასვლა არ მოინდომა. მან იმ ქალთან დარჩენა გადაწყვიტა, რომელსაც დედას ეძახის. ,,დედა" ბირლანტ კასაევაა, გროზნოს უდედმამო ბავშვთა სახლის დირექტორი.

,,მინდა დამოუკიდებელი გავხდე და გაჭირვებულ ბავშვებს დავეხმარო. ჩემი სახლი აქ არის. არც კი ვიცი, რა მეშველებოდა, აქ რომ არ მოვხვედრილიყავი", – თქვა მადინამ.

ჩეჩნეთის შრომისა და სოციალური განვითარების სამინისტროს გათვლებით, რესპუბლიკაში, სულ მცირე, ათი ბავშვთა სახლი მაინც არის საჭირო. თუმცა დღესდღეობით მხოლოდ სამი ასეთი ტიპის დაწესებულებაა – ერთი გროზნოში (სადაც მადინა ცხოვრობს) და ორიც სოფლებში – გვარდეისკოესა და კურჩალოიში. გარდა ამისა, ქალაქებში – არგუნსა და შალიში კიდევ ორი რეაბილიტაციის ცენტრი ფუნქციონირებს.

ობოლი ბავშვების პრობლემა ჩეჩნეთს თავს ერთბაშად დაატყდა. ადგილობრივები ამბობენ, რომ ბავშვთა სახლები ადრე არასოდეს სჭირდებოდათ, რადგან უდედმამოებს, ტრადიციულად, ნათესავები და მეზობლები იფარებდნენ. პირველი ბავშვთა სახლი ჩეჩნეთში 1960 წელს გაიხსნა. თუ მეგობრის შვილი ასეთ დაწესებულებაში აღმოჩნდებოდა, სირცხვილად ითვლებოდა.

მაგრამ ათ წელზე მეტხანს მიმდინარე კონფლიქტმა ყველაფერი შეცვალა. შრომისა და სოციალური განვითარების სამინისტროს მონაცემებით, 1200-მდე ბავშვმა ორივე მშობელი დაკარგა, 25 ათასმა – ერთ-ერთი, 19 ათასამდე ბავშვი კი ინვალიდია. მათგან ბავშვთა სახლებსა თუ სარეაბილიტაციო ცენტრებში მხოლოდ 420 იმყოფება.

გროზნოს ობოლთა სახლები, ძირითადად, კერძო შემოწირულებების წყალობით არსებობს, რადგან საერთაშორისო ჰუმანიტარიული ორგანიზაციები ამ სფეროს ბოლო დროს ყურადღებას ნაკლებად აქცევენ.

უდედმამო ბავშვთა სახლები ბავშვებს იშვიათად აშვილებენ. ამის მიზეზი რამდენიმე სამწუხარო შემთხვევაა.

,,ერთმა ოჯახმა ჩვენი სახლიდან პატარა გოგონა აიყვანა, რომელსაც სასტიკად სცემდნენ. ცხადია, ბავშვი ჩვენთან მორბოდა. იძულებული ვიყავით, უკან დაგვებრუნებინდა, რადგან ოფიციალურად იყო გაშვილებული. მაგრამ საბოლოოდ მაინც ჩვენთან დაბრუნდა. გასულ წელს ორი გოგონასთან ერთად სარატოვში ერთ-ერთ კოლეჯში სასწავლებლად წავიდა, სადაც გათხოვდა კიდეც. საბოლოოდ, ყველაფერი კარგად დასრულდა", – გვიამბო ლუდმილა მამაკაევამ, გროზნოს ბავშვთა სახლის მთავარმა ბუღალტერმა.

გროზნოს უდედმამო ბავშვთა სახლი კარგადაა მოვლილი. ჩანს, მისი პერსონალი კერძო პირებისგან შემოწირულობების მიღებას ახერხებს. ეზოში კარუსელი დგას, რომელიც მათ ცოტა ხნის წინ მოხეტიალე ცირკისგან შეიძინეს. ახლახან ბავშვთა სახლს რუსმა ჯარისკაცებმა ორი ტომარა ფქვილი და 3 ათასი რუბლი მოუტანეს; ბოსტნეული, ხილი, ფქვილი, შაქარი და წიგნები კი ქალაქ იჟევსკიდან მიიღეს.

უდედმამოთა სახლებში ბავშვებს კარგად უვლიან, მაგრამ ამ დაწესებულებათა დატოვების შემდეგ ისინი პრაქტიკულად, დახმარების გარეშე რჩებიან.

,,ვწუხვარ, რომ კვლავაც ვერ გადაწყვიტეს, რა უყონ 18 წელს მიღწეულებს. აქედან ჩანს, თუ როგორ ეპყრობა სახელმწიფო უდედმამო ბავშვებს", – თქვა მადინა ახმადოვამ.

,,რა თქმა უნდა, კანონის თანახმად ეს ბავშვები სხვა დაწესებულებებში უნდა გადაიყვანონ, მაგრამ ჩეჩნეთში ამის საშუალება არ გვაქვს. ადრე სპეციალური სკოლა-ინტერნატები და საცხოვრებლები არსებობდა, მაგრამ ომის დროს ყველაფერი დაინგრა", – გვითხრა ჩეჩნეთის სოციალური პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენელმა აინდი ჰუსეინოვმა.

ჰუსეინოვს მიაჩნია, რომ ჩეჩნეთის განათლების სამინისტრომ ბავშვთა სახლებში აღზრდილებისთვის სპეციალური სკოლები უნდა გახსნას. ,,ვიცი, უამრავი პრობლემა გვაქვს, მათ შორის ფინანსურიც. მაგრამ დღეს ამ საკითხმა ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ აუცილებლად რაღაც უნდა ვიღონოთ", – დასძინა მან.

მეზობელ რესპუბლიკაში – ჩრდილოეთ ოსეთში მთავრობამ ამ პრობლემის მოსაგვარებლად სპეციალური პროგრამა შეიმუშავა, რომელიც მოზრდილი ობლებისთვის სახლებისა და ბინების მშენებლობას ითვალისწინებს.

ჩეჩნეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, რესპუბლიკაში ობოლი და ინვალიდი ბავშვებისთვის ახალი დაწესებულებებისა თუ სახლების მშენებლობა სახელმწიფო პროგრამის ,,რუსეთის ბავშვები" ფარგლებში განხორციელდება.

,,ვიცით, რომ ჩრდილოეთ კავკასიასა და კონკრეტულად ჩვენს რესპუბლიკაში სახარბიელო სიტუაცია არ არის. ამიტომ დახმარების ხელი სახელმწიფომ უნდა გამოგვიწოდოს, ახლა სწორედ ამის დროა", – განაცხადა აინდი ჰუსეინოვმა.

www.iwpr.net

institute for war & peace reporting

ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური (CRS) გთავაზობთ უნიკალურ შესაძლებლობას გაეცნოთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს ადგილობრივ მიმომხილველთა თვალსაზრისით. სამსახური ფუნქციონირებს IWPR-ის კავკასიის პროექტის ფარგლებში. პროექტის მიზანია მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებების მხარდაჭერა და მსოფლიო საზოგადოებისთვის რეგიონის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

ომისა და გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური მუშაობს დიდი ბრიტანეთის მთავრობის, ევროკავშირისა და ფინეთის მთავრობის მხარდაჭერით.

კავკასიის საინფორმაციო სამსახურის ქართულენოვანი გამოშვების გამოსაწერად მიმართეთ: geocrs@iwpr.ge

ურბანიზაცია

# საით მიდის თბილისი?

## მიპატიჟება დისკუსიაზე

ნესტან რაზმაძე

*"ატომი წარსულს ეკუთვნის. დამდეგი საუკუნის მეცნიერების სიმბოლოა დინამიური ქსოვილი. ქსოვილი ფართო არქეტიპია ყველა ნაკადის, ყველანაირი აზროვნების, ყველანაირი ურთიერთმიმართების, ყოველი ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური მოვლენის, ყველანაირი კომუნიკაციის, ყველა დემოკრატიის, ყველანაირი ჯგუფის, ყველა განვითარებული სისტემის წარმოსადგენად"*

***კევინ კელი***

2005 წლის 2 ივნისს ძალაში შევიდა "საქართველოს კანონი სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ". თუმცა, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას მასზე არავითარი წარმოდგენა არა აქვს, და ეს მაშინ, როცა ეს კანონი უმნიშვნელოვანეს საკითხებს არეგულირებს - ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფის შესაბამისად მისი ტერიტორიის მოწყობისა და განვითარების პროცესს, ქალაქებისა და დასახლებების გეგმარებასა და აღმშენებლობას, ჩვენი მომავალი გარემოს იერსახეს.

საკმაო ძალისხმევაა საჭირო იმ რუტინული აზროვნების გადასალახავად, რომელსაც საბჭოთა ქალაქგეგმარებითი თეორია და პრაქტიკა ერქვა, და რომელიც ისტორიას უნდა ჩავაბაროთ, იმიტომ რომ, გარდაუვალობით, ახალი ცვლის ძველს იმიტომ, რომ მთელი ეს სისტემა დამყარებული იყო ცენტრალურ დირექტიულ დაგეგმვაზე და არქიტექტორი მხოლოდ "ხუთწლიანი გეგმების" სივრცულ განაწილებას აფიქსირებდა, როგორც მთელი საქართველოს მასშტაბით, ისე ქალაქებში, დედაქალაქში თუ მის "მიკრორაიონებში", თითოეული შენობის ჩათვლით (გავიხსენოთ ტიპური პროექტები და შენობები). დღეს კი ყველაფერს საბაზრო ეკონომიკა, მდგრადი განვითარება არეგულირებს, რომელშიც უცილობლად დემოკრატიის განვითარებაც იგულისხმება. "მდგრადი განვითარება და მოსახლეობის ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი და სამოღვაწეო გარემოთი უზრუნველყოფა" არ შეიძლება განხორციელდეს თვითონ მოსახლეობის მონაწილეობის გარეშე. მაგრამ მოსახლეობას ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს სივრცით მოწყობაზე, ურბანიზმზე, ქალაქმშენებლობაზე და არქიტექტურაზე, რაც, ჩემი აზრით, არქიტექტორთა შემოქმედების მომხმარებლისაგან გაუცხოების შედეგია. ამ სიტუაციის დასაძლევად ორმხრივი მოძრაობის ინიცირებაა საჭირო - არქიტექტორთა მიერ მოსახლეობის გათვითცნობიერებისა და მოსახლეობის მიერ - მონაწილეობის სურვილისა ყოველ დასახლებაში სასურველი გარემოს შექმნაში. ინიციატორი კი, რასაკვირველია, მედია უნდა იყოს. ჩავთვალოთ, რომ ეს წერილი ამ მოძრაობის დასაწყისია.

ქვეყნის და ქალაქის დემოკრატიული და მდგრადი განვითარებისათვის ძალიან ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი, რასაც არ, ან ხშირად ვერ აკეთებენ არქიტექტურის მესვეურები და მათი გადაწყვეტილებების სამწუხარო შედეგები დღეს რაც ჩანს, ხვალ უკვე განუზომლად მეტი გამოჩნდება. ეს რომ თავიდან ავიცილოთ, მაგალითად, თბილისის რაიმე მასშტაბის გეგმარებით პროექტში, აუცილებელია საკითხთა ფართო წრის საჯარო განხილვა. ეს განხილვები არ უნდა იყოს კონცენტრირებული მხოლოდ შენობათა სიმაღლის, ან სიმჭიდროვის დადგენაზე, საკითხთა წრე უნდა განსაზღვრონ სპეციალისტებმა - ურბანისტებმა და არქიტექტორებმა, სოციოლოგებმა, ეკონომისტებმა, ბიზნესისა და ფინანსების წარმომადგენლებმა, პოლიტიკოსებმა, ხოლო მათი განხილვა უნდა დაიწყოს თავისუფალმა პრესამ - დაკვეთილი ექსპერტიზების, კოლოქვიუმების საშუალებით და ფართო საზოგადოების, მერიისა და გამგეობების მონაწილეობით და ხელშეწყობით, რადგან საქმე ეხება ყოველი ჩვენგანის მომავალს, რადგან მიღებული გადაწყვეტილებანი განაპირობებენ დედაქალაქის იერსახის, მისი ეკონომიკის, სოციალური ქსოვილის განვითარებას, გავლენას მოახდენენ ქვეყნის მომავალზეც. ასეთი საჯარო განხილვები ხელს შეუწყობს გამჭვირვალობას, რაც ახალი ინვესტიციების საფუძველი გახდება. გავიმეორებ, რომ ეს უნდა იყოს ჭეშმარიტად საჯარო განხილვა და არა ისევ წრეზე სიარული არქიტექტურული სამსახურის და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციების წიაღში. ასეთი განხილვების საორიენტაციო საკითხები შეიძლება იყოს: ქვეყნის და ქალაქის ურბანული განვითარება, ქალაქის ცენტრის მომავალი, ყოფილი სამრეწველო ზონების გამოყენების პრობლემები, ქალაქის პერიფერიების და "მიკრორაიონების" რეგენერაცია, ქალაქის შესასვლელები, სატრანსპორტო ქსელები, უბნები და მათი მომავალი, და ასე შემდეგ - ჩამონათვალი ძალიან გრძელი იქნება.

ასეთი საჯარო განხილვები, მინდა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა, გულისხმობს, როგორც პროფესიონალთა, ასევე არაპროფესიონალთა, ქალაქის და ქვეყნის მცხოვრებთა ფართო მონაწილეობას. ეს, ბოლოს და ბოლოს, უბრალო მოქალაქისათვის კარგი სკოლა იქნება იმისა, თუ როგორ უნდა შეიქმნას ყველა დასახლებულ ადგილში მიმზიდველი და კეთილგანწყობილი გარემო.

დღეს, როცა მშენებლობის გეოგრაფია და სტრუქტურა (კერძო სექტორი და სახელმწიფო, უძრავი ქონების ბაზრის ჩამოყალიბება, მშენებლობის ახალი მიმართულებები და სხვა) სრულიად განსხვავდება თხუთმეტი, ან თუნდაც ათი წლის წინათ არსებულისაგან, საჭიროა ქალაქის ქსოვილისადმი, მისი პერიფერიისადმი სრულიად ახლებური მიდგომა, ახალი პოლიტიკის ჩამოყალიბება, ქალაქების მუტაციის, მათი მეტროპოლიზაციის მსოფლიო პროცესის პირობებში.

თანამედროვე სამყარო იმ ცვლილებების გაღრმავების მოწმეა, რომელსაც პირობითად ურბანიზაცია, ანუ მოსახლეობის ქალაქებში უპირატესი განსახლება წარმოადგენს, განსაკუთრებით უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში. თუ 1972 წელს ქალაქებში მთელი პლანეტის მოსახლეობის მხოლოდ ერთი მესამედი ცხოვრობდა, 2007 წელს ნახევარი იცხოვრებს, ხოლო 2050 წელს - 65 პროცენტი, მაშინ, როცა 1950 წელს მოსახლეობის იგივე 65 პროცენტი ჯერ კიდევ სოფლად ცხოვრობდა. დასავლეთის ქვეყნებში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სოფლის მოსახლეობა აქტიური მოსახლეობის 25 პროცენტს შეადგენდა, დღეს კი - მხოლოდ 4 პროცენტს, თანაც ისინი ცხოვრების წესით თითქმის უტოლდებიან ქალაქის მცხოვრებთ. ურბანიზაცია საყოველთაო მოვლენად იქცა.

ის, რომ ქალაქში კვალიფიციური ადამიანური რესურსების კონცენტრაცია ხდება, ხოლო თანამედროვე მწარმოებლები, და არა მხოლოდ მწარმოებლები - ტრანსნაციონალური კომპანიები, ფინანსური გიგანტებიც მთლიანად დამოკიდებული არიან ასეთ რესურსებზე; ის, რომ ეკონომიკა სრულიად იცვლება ყველა დონეზე, ადამიანის გონება და ხელოვნური ინტელექტი ცვლის ბუნებრივ მასალას და კუნთებს; ის, რომ პროდუქტიულობაზე, ანუ რაოდენობაზე ორიენტირებული სამყარო გადადის ხარისხზე დაფუძნებულ სისტემაზე - მთავარ მოქმედ პირთა შორის კავშირების სრულყოფაზე ორიენტირებულ მოდელზე - ხდება იმის საფუძველი, რომ სწორედ ქალაქებს უჭირავთ გლობალური ეკონომიკის საჭე, ამასთან არა ცალკეულ ქალაქებს, არამედ მათ გლობალურ ქსელს, რამაც შესაძლებელი გახადა ეკონომიკური გლობალიზაცია.

ურბანიზაციის პროცესი შეუქცევადია, მას თან ერთვის რადიკალური გარდაქმნები ყველა მიმართულებით, მათ შორის ცხოვრების წესის, მუშაობის, დასვენების, მოხმარების და ურთიერთობათა სფეროში, თვით დროც - დღე-ღამის რიტმი - არ რჩება ხელშეუხებელი. ყველაფერი ეს გვაიძულებს ვაღიაროთ, რომ სრულიად სხვა ტიპის, დღევანდელთან შედარებით, ქალაქი უნდა გახდეს ურბანისტული სტრატეგიის განხილვის საგანი, და უპირველესად ქალაქი - მეტროპოლია, რომელიც კარგა ხანია დგას ურბანისტების ყურადღების ცენტრში.



მეტროპოლია - metropolis - ბერძნული სიტყვაა და ძველ საბერძნეთში დედაქალაქს - ქალაქ-სახელმწიფოს აღნიშნავდა, ძველ რომში - ადმინისტრაციული ერთეულის მთავარ ქალაქს. კლასიკური ქალაქებისგან განსხვავებით ხასიათდება, შემოუფარგლავი ტერიტორიით, ამ ტერიტორიის მთავარ ნიშანს ურბანიზაციის პროცესი წარმოადგენს, არის მოსახლეობის, წარმოების, კაპიტალის, ინფორმაციის მკვეთრი კონცენტრაციის ადგილი, მიზეზი რეგიონებს შორის სოციალურ-პოლიტიკურ განსხვავებათა გაღრმავებისა, უფრო მეტიც: ხდება სუბიექტი მსგავსი ურბანული ცენტრების არა ნაციონალური, არამედ საერთაშორისო იერარქიისა. ეს ყველაფერი იწვევს სოციუმის პოლიტიკური მოწყობის, კერძოდ, ქვეყნის ცენტრალიზაციის საკითხის გადახედვას. ურბანიზაციის ეს პროცესი ისეთი მძლავრია, რომ საფუძველს უდებს რადიკალური თეორიების გაჩენასაც, მაგალითად, ასეთის: მომავალში ნებისმიერი საზოგადოების სოციალური თუ პოლიტიკური პრობლემის გადაწყვეტა მოსალოდნელია გაიგივებული გახდეს მისი მეტროპოლიის პრობლემათა გადაწყვეტასთან, ანუ საქმე გვექნება სახელმწიფო-მეტროპოლიასთან. ასეთი ქალაქი-სახელმწიფოს მაგალითად სინგაპური მოჰყავთ. აღნიშნავენ, რომ ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს ეკონომიკური გლობალიზაცია, შექმნეს მძლავრი ქსელები "გლობალური" ქალაქების, რომლებიც წარმოადგენენ ეროვნული ეკონომიკის გლობალურში ჩართვის წამყვან ინსტრუმენტს, სადაც ერთნაირია ცოდნის, ტექნოლოგიების, რესურსების გამოყენების დონე, სადაც გამოიმუშავებენ საერთო პოლიტიკას, რომელიც პატივს სცემს ადგილობრივ კულტურებს, და აყენებს საერთო გარემოსდაცვით ამოცანებს.

დღეს ჩვენ წარმოგვიდგენია მსოფლიო, როგორც მოზაიკა მრავალი ნაციონალური ეკონომიკისა, პოლიტიკურად - ნაციონალური სახელმწიფოსი, თუმცა ეს სრულიადაც არ არის ადეკვატური არსებული მდგომარეობისა: ბევრი ნაციონალური ეკონომიკა არის მხოლოდ იურიდიული ფიქცია - მიმდინარეობს მეტროპოლიზაცია, ქსელების ჩამოყალიბება, რომლებმაც გარკვეული მიმართებით შეიძლება გადაფაროს ნაციონალური სახელმწიფოები. ამ ქსელების საკვანძო ელემენტები - მეტროპოლიები - არიან გამტარი კომერციული, სატრანსპორტო, კულტურული და სხვა სახის ნაკადებისა, გაცვლები უფრო ინტენსიურია ამ პოლუსებს შორის, ვიდრე თითოეული მათგანისა - საკუთარ მიმდებარე ტერიტორიასთან. ანუ დღევანდელი მსოფლიოს სტრუქტურა, რომელიც ჩამოყალიბების პროცესშია, ნაბიჯ-ნაბიჯ იცვლება ქსელებით. ასეთი დინამიკა თავის თავში შეიცავს შეუსაბამობას კუთვნილებით სივრცესა და პოლიტიკურ სივრცეს შორის. მაგალითად, თუ ჩავთვლით ნიუ იორკს, ლონდონსა და ტოკიოს ასეთი ქსელის სტრუქტურულ ერთეულებად, არ არსებობს ამ ფაქტის არავითარი პოლიტიკური და ტერიტორიული ინტერპრეტაცია, ანუ "მსოფლიო (გლობალური) ქალაქების" ქსელისა, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკას განსაზღვრავენ. ასევე არ არსებობს კონტინენტის მასშტაბის გეოეკონომიკური ქსელების შესაბამისი პოლიტიკური დაყოფა. ამ ქსელების საკვანძო ელემენტები წარმოადგენენ ძალაუფლებისა და კონტროლის ადგილებს, მსგავსად ისტორიული ჰანზეს ან რენესანსის ქალაქებისა. ზოგიერთი პოლიტიკოსი აცხადებს, რომ დღეს, როცა მანძილის დიქტატი გადალახულია, ქალაქი-სახელმწიფო შეიძლება იყოს ის ტერიტორიული, ეკონომიკური და სოციო-პოლიტიკური ერთეული, რომელიც ყველაზე მეტად პასუხობს გლობალიზაციის მოთხოვნებს.

როგორც ვხედავთ, ქალაქი-მეტროპოლია დგება მსოფლიო პოლიტიკის ცენტრში. დღეს მეტროპოლიზაციის ანალიზი ტერიტორიის ოპტიმალური პოლიტიკური მართვისათვის მომზადების ეკვივალენტური ხდება.

არის თუ არა თბილისი მეტროპოლია, სიტყვის თანამედროვე გაგებით? თუ მოვიშველიებთ ჩვენში ძალიან პოპულარულ გამოთქმას, რომელიც დედაქალაქის ქვეყანასთან მიმართებაზე მიგვანიშნებს და იგი თავკომბალად მოიხსენება, დასმულ კითხვაზე პასუხი უკვე გაცემულია. ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით მეოთხედი ცხოვრობს თბილისში, ქვეყნის აქტიური მოსახლეობის 80-90 პროცენტი თავისი საქმიანობით დაკავშირებულია მასთან; მრეწველობა და ფინანსები, განათლება და კულტურა აქ არის კონცენტრირებული; და ბოლოს - ის არის გადაწყვეტილებათა მიღების ადგილი. ამასთან ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს სოფლის მოსახლეობის ინტენსიური გადანაცვლება თბილისისაკენ, და ამ პროცესის შეჩერება ახლო მომავალში, როგორც ჩანს, შეუძლებელი იქნება. მიმდინარეობს თბილისის მეტროპოლიზაცია.

აქედან გამომდინარე, უნდა გავაანალიზოთ თბილისის მეტროპოლიად ჩამოყალიბების პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული შედეგები, რომლებიც განაპირობებენ თბილისის ქალაქგეგმარებით მოწყობას.

მოსახლეობის ჰიპერკონცენტრაცია - ეს არის ფაქტი, რომელსაც ვერ შევებრძოლებით, რომელიც უნდა მივიღოთ, როგორც ქვეყნის და დედაქალაქის ურთიერთმიმართების ვექტორი, და განვიხილოთ ეს ქალაქი თავისი გამორჩეული მდგომარეობით, ეკონომიკის განვითარებით, საცხოვრისით, ინფრასტრუქტურით, გარემოზე ზემოქმედებით ქვეყანაში დრო-სივრცის ახლებური ინტერპრეტაციის ათვლის წერტილად.

თბილისი, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური სუბიექტი, როგორც ასეთი მეტროპოლიების ქსელის ერთ-ერთი საკვანძო ელემენტი, აქედან გამომდინარე, ეკონომიკური კონკურენციის მონაწილე და ნაკადების (საქონლის, მგზავრების, ფინანსების,კულტურულ ფასეულობათა) გამტარი, ამ ქსელებში ჩართვისას,... გახდება (ჩემი აზრით, უკვე არის) ახალი ტერიტორიული პოლიტიკის ელემენტი, სადაც იგი შეიძლება განიხილებოდეს, როგორც სახელმწიფო-მეტროპოლია, თავისი განსაკუთრებული როლით სამხრეთ კავკასიაში, შეიძლება უფრო ფართოდაც - მსოფლიო სისტემაში.

თუ გავიხსენებთ ჰანტინგტონის ცივილიზაციათა შეჯახების თეორიას, მეორე მხრივ, კულტუროლოგთა აზრს, რომ ოცდამეერთე საუკუნე წარიმართება კულტურის ნიშნით, გავიხსენებთ იმასაც, რასაც ისლამის ტერორი ჰქვია და პარალელურად - საქართველოს უდიდესი ტანჯვის ფასად მოპოვებულ ნიშანს ისტორიის ნიშანთა სისტემაში - კულტურათა გზაჯვარედინს, თბილისის, როგორც ქრისტიანული და ისლამის კულტურების დიალოგის მაორგანიზებლის საკომუნიკაციო სივრცის გეოპოლიტიკური ფუნქცია ცხადი ხდება. თუმცა ეს არ ნიშნავს ქვეყნისათვის ენერგორესურსების ათვისებისა და ტრანსპორტირების ფუნქციის მნიშვნელობის უგულვებელყოფას. საერთოდ, უარი უნდა ვთქვათ რეალობის გაუბრალოებაზე, მის მონოფუნქციურ მოდელებზე.

ამასთან მკვეთრი ნაბიჯების გადადგმის გარეშე მაღალი რანგის საკომუნიკაციო სივრცედ ჩამოყალიბება, ქვეყნის და ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება წარმოუდგენელია.

აქ მინდა, გავიხსენო ევროპის სივრცეში არც თუ დიდი ხნის წინ მომხდარი მოვლენა: ესპანეთის ბასკეთის ქალაქ ბილბაოში გუგენჰეიმის მუზეუმის მშენებლობა.

ამონარიდი გაზეთ Le Monde-ის 2000 წლის 29-30 ოქტომბრის ნომრის სტატიიდან "Pluie de pesetas pour l'achevement de l'operation Bilbao" : "ბილბაო იყო დანგრეული... ინდუსტრია და ადამიანები, რომლებიც მას მართავდნენ, სულაც არ ბრწყინავდნენ... შენობები გაპარტახებული უპატრონობით; ქარხნები და ბრძმედები - ავარიული; პორტი - ჩასაძირად განწირული და თვითონ ქალაქი... ნაცრისფერ დეპრესიაში ჩავარდნილი...

1997 წელს, როდესაც გაიხსნა ამერიკელი ფრენკ გერის მიერ დაპროექტებული გუგენჰეიმის მუზეუმი, რომელიც ქალაქის ახალი მზე და მეხი გახდა,... მთელი ქალაქი ჩაერთო გასაოცარ მუტაციაში..."

ამ, რეგიონის მასშტაბით ჩატარებული "მუტაციის"... (რომელიც, ცხადია, არ შემოიფარგლა ერთი შენობით),... ფასი დაახლოებით 3,6 მილიარდი ევროა, ხოლო კერძო სამართლის პირის (გუგენჰეიმის მშენებლობის დამფინანსებლის) Bilbao Ria- 2000-ის მიერ დახარჯული 132.22 მილიონი ევრო სამი წლის განმავლობაში იქნა ამოღებული, რადგან მოსალოდნელი 400 ათასი ვიზიტორის ნაცვლად, ბილბაოს ყოველ წელს მოაწყდა მილიონზე მეტი, გერის ურბანული ქანდაკების ნახვის მსურველი. ამ მაგალითზე კარგად ჩანს წარმატებული ურბანული ოპერაციის გრძელვადიანი ეკონომიკური ეფექტი, რაც გახდა ქალაქის და რეგიონის განვითარების მკვეთრი შემობრუნების საფუძველი.

ამით მე სულაც არ მინდა ვთქვა, რომ მუზეუმი, თუნდაც ფრენკ გერის აგებული, საყოველთაო პანაცეაა. მე ძალიან კარგად მესმის, რომ ურბანიზმი დღეს ეფუძნება მრავალი კომპეტენციის ჯამს, მონაცემთა ბაზების ანალიზს, გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების, ბაზრის შესწავლასა და რთულ ეკონომიკურ გათვლებს, მოდელირებისა და კომპიუტერული სიმულაციის მეთოდების გამოყენებას, ანგარიშს უნდა უწევდეს როგორც მომხმარებელთა, ისე მაცხოვრებელთა ინტერესებს, სულ უფრო მზარდ მოთხოვნებს გარემოს ხარისხის მიმართ, და უნდა გამოიხატებოდეს პოლიტიკის, ტრანსპორტის, საცხოვრისის, გარემოს დაცვის, ეკონომიკური განვითარების კოორდინაციაში, შესაბამის ინსტიტუციონალურ და ტექნიკურ უზრუნველყოფაში, ანუ სტრატეგიული მენეჯმენტის ტერმინოლოგიაში, რათა გათვალისწინებული იყოს ურბანული დინამიკის სირთულე.

ამავე დროს, პარადოქსია, მაგრამ გარემოს მეტროპოლიზაციისა და ვირტუალიზაციის პროცესში სულ უფრო მეტი ფასი ენიჭება გრძნობად სამყაროს, ყველაფერ იმას, რაც საინფორმაციო საშუალებებით ვერ გადაიცემა, ყველაფერ ნამდვილს, რასაც შეიძლება შეეხო, უყნოსო, გემო გაუსინჯო, რაშიც შეიძლება მონაწილეობა მიიღო, ნამდვილ მოვლენას, "ცოცხალ" შესრულებას.

სწორედ ამიტომ, ჩვენი ნაკლებად "ვირტუალიზებული" ქვეყანა დიდ ფასეულობას წარმოადგენს სამყაროსთვის, რაც უნდა გამოვიყენოთ და შევქმნათ "დიპლომატიური სამოთხე", აღმოსავლეთ-დასავლეთის შეხვედრის, დიალოგის, კულტურათა კომუნიკაციის სივრცე, და ეს უნდა იყოს განვითარების სტრატეგიული მიმართულება. აქ იგულისხმება მემკვიდრეობის დაცვაც, კულტურული თუ ეკო- ტურიზმიცა და ინფრასტრუქტურისა თუ ენერგეტიკის განვითარება, მთავარი კი მაინც კულტურული აქციების შესაბამისი ურბანული სივრცეების შექმნაა. აქ ფასდაუდებელი იქნება საფრანგეთის გამოცდილება, რომლის კანონმდებლობა, ურბანული და არქიტექტურული არტეფაქტები, თანამედროვე ძალისხმევა კულტურის პოლიტიკის თვალსაზრისით სრულიად უნიკალური და მისაბაძია, ამ სიტყვის ამაღლებული მნიშვნელობით (განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ საფრანგეთში, პარიზში უკვე თითქმის რამდენიმე ათეული წელია ფუნქციონირებს არაბული სამყაროს შესწავლის ინსტიტუტი). ეს პროცესი ფრაგმენტულად უკვე მიმდინარეობს საქართველოში საფრანგეთის საელჩოსა და დიუმას კულტურის ცენტრის მეშვეობით.

მე მინდა შემოგთავაზოთ კონკრეტული ნაბიჯი, რომელიც, ჩემი აზრით, შეიძლება გახდეს ლოკომოტივი შედარებით მოკლე დროში მეტად ეფექტური ცვლილებებისა. საქმე ეხება პარიზის პომპიდუს კულტურის ცენტრის სტრუქტურის გადმოღებას, მისი ქართული ანალოგის, ასეთი კულტურის ცენტრების მომავალი ქსელის პირველი პრეცედენტის შექმნას.

აღმოსავლეთ-დასავლეთის საერთაშორისო კულტურის ცენტრი თბილისისთვის უნდა გახდეს ისეთივე მსხვილი ურბანული ოპერაცია, როგორც ეს იყო პარიზისთვის. მან შექმნა ქალაქის ცენტრში უზარმაზარი კულტურულ-საკომუნიკაციო სივრცეები, რომელთა აუცილებლობა პუბლიკამ დაამტკიცა: მომსვლელთა რაოდენობა დღესაც აღემატება ერთად აღებულ ეიფელის კოშკისა და ლუვრის დამთვალიერებელთა რიცხვს.

კულტურის ცენტრის მშენებლობა გამოიწვევს მრავალმხრივ პოზიტიურ ეკონომიკურ ეფექტს: მოიზიდავს ფინანსებს, გახდება სხვა მსხვილი ურბანული ოპერაციების სტიმულატორი (მათ შორის - ძველ ქალაქში), ხელს შეუწყობს თანამედროვე სამშენებლო ტექნოლოგიების შემოტანას და განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ხოლო დამთავრებული ცენტრი უნდა გახდეს პერმანენტული ტურისტული ატრაქციის მქონე ვარსკვლავი-ობიექტი და მთელი სამხრეთ კავკასიის რეგიონის კულტურულ-ეკონომიკური განვითარების ვექტორი, ყველა შესაძლო ფორმისა და შინაარსის კულტურული აქციის ინიციატორი და განმახორციელებელი. ეს იქნება აქტიური დაფიქსირება ამ რეგიონის, და თბილისის, როგორც მისი მეტროპოლიის, განსაკუთრებული გეოპოლიტიკური ფუნქციის დაფიქსირება.

**P.S.** ვიღაცას შეიძლება მოეჩვენოს, რომ ეს აზრები მხოლოდ ოცნებაა და ასეთად უწერია დარჩენა - არა, ბატონებო, ჩვენ თავისუფალი ქვეყანა ვართ და, მეგობრების თანადგომით და ჩვენი ყველას გაერთიანებული ძალისხმევით, ყველაზე გაბედული ოცნების განხორციელება შეგვიძლია.

# "გალიარდო სპაიდერი" - "ლამბორგინის" კიდევ ერთი შედევრი





გალიარდო სპაიდერი





დაახლოებით ასეთი იქნება ლამბორგინი ლაგარტიხო/ესპადა.

რაც გერმანულ გიგანტ "ფოლკსვაგენის" ხელშია, იტალიური სუპერავტომობილების მწარმოებელი კომპანია "ლამბორგინი" სულ უფრო აფართოებს თავის სამოდელო გამას. ეს უბრალოდ მოდის აყოლა კი არა, გადარჩენისთვის ბრძოლაცაა, რაშიც მოდენელებს თავიანთი ვოლფსბურგელი პარტნიორებიც ეხმარებიან.

შედეგად კი, რაც დრო გადის, კომპანია სულ უფრო მეტ შედევრს სთავაზობს თავის ექსკლუზიურ მყიდველს, რომელსაც ერთი-ორი ასეული ათასი ევროს გაღება არაფრად უღირს. ერთ-ერთი ასეთი შედევრთაგანი ფრანკფურტის ავტოსალონის დამთვალიერებელმაც იხილა. ესაა კუპე "გალიარდოს" (თუ გაიარდოს) ბაზაზე შექმნილი სპაიდერი (ღია ავტომობილების ერთგვარი სტილი) "გალიარდო სპაიდერი".

კუპეს ბაზაზე კია დამზადებული, მაგრამ "გალიარდო სპაიდერი" მისგან ბევრი რამით მაინც განსხვავდება. კუპესგან მას განასხვავებს შეცვლილი დიზაინი და რაც მთავარია, სახურავის დასაკეცი უნიკალური სისტემა. სხვათა შორის, ამ სისტემის შექმნაზე დიდხანს იმუშავეს სტუდია "ლამბორგინი ჩენტრო სტილეს" სპეციალისტებმა. შედეგად, მათ შეძლეს თითქმის შეუძლებელი - დაკეცვის შემდეგ სპაიდერ "გაიარდოს" სახურავი კაპოტქვეშ იმალება, იქ, სადაც ძრავია განთავსებული.

სპაიდერი "გაიარდო" ათლეტური და იმავდროულად, კომპაქტური ავტომობილია, რაც საკმაოდ იშვიათი შეხამებაა. ავტომობილს აქვს საკმაოდ გრძელი ბაზა. სამაგიეროდ, ბორბლებიდან წინა და უკანა კიდეებამდე მანძილი ძალიან მოკლეა, რაც ავტომობილს კიდევ უფრო დინამიკურ იერს სძენს. სპაიდერს ძლიერ დახრილი საქარე მინა აქვს. სამაგიეროდ, ძარის სიხისტის სიხისტის გასაზრდელად, კონსტრუქტორებმა წინა საყრდენი (უკანა არც აქვს) გაამსხვილეს და გააძლიერეს.

რაც შეეხება დასაკეც სახურავს, მისი მართვას, მას ახორციელებს ელექტრო-ჰიდრავლიკური სისტემა, რომელიც რამდენიმე ნაწილისგან შედგება. ესენია: სახურავი, რომელიც შავი ბრეზენტისგანაა დამზადებული, ელექტრონული მოდული, რომელიც საერთო ქსელშია ჩართული და აკონტროლებს სახურავის მოძრაობის ტრაექტორიას. ასევე ელექტროტუმბო, რომელიც 6 ჰიდრავლიკურ ცილინდრს წნევით უზრუნველყოფს, კაპოტის სახურავი, რომლის ქვეშაც "იმალება" ავტომობილის სახურავი, ორი ელექტროაქტივატორი და სერვომოტორი, რომლითაც ხდება უკანა შუშის აწევ-დაწევა. ამდენი ნაწილისგან შემდგარი რთული მექანიზმი მოქმედებაში ღილაკზე თითის ერთ დაწოლას მოჰყავს. ჭერის მოხსნისა და დახურვის მთელ პროცესს კი ოდენ 20 წამი სჭირდება. და კიდევ, სისტემას აქვს სპეციალური, სერვის-ფუნქციაც. ის მაშინაა საჭირო, როდესაც ავტომობილს კაპოტქვეშ სჭირდება მომსახურება.

გარდა ამისა, კონსტრუქტორებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ახალი ავტომობილის უსაფრთხოების დონის ამაღლებას და მზიდი ელემენტისა და ძარის სიხისტის გაზრდას. ამისათვის, მათ პლატფორმას საკვანძო ადგილებში სიხისტის დამატებითი ელემენტები დაუმატეს, ასევე გაამყარეს წინა საყრდენები და ავტომობილის გვერდების კონსტრუქცია.

ავტომობილს აქვს სპეციალური სისტემა, რომელიც მძღოლსა და მის მგზავრს გადაბრუნების შემთხვევაში იცავს. ეს სისტემა დაკავშირებულია უსაფრთხოების ბალიშებთან და მასთან ერთად მოდის მოქმედებაში. რაც მთავარია, საავარიო სიტუაციაში მოხვედრისთანავე, ავტომობილის უსაფრთხოების ყველა სისტემა ეპთდროულად ამოქმედდება და მაქსიმალურად იცავს მგზავრებს და მძღოლს.

მოდერნიზაციის გარეშე არც ავტომობილის გული, V10, 5.0-ლიტრიანი ძრავი დარჩენილა. სრულყოფის შედეგად, მისი სიმძლავრე 520 ცხენის ძალამდე გაიზარდა, რასაც ის 8 000 ბრ/წთ-ზე ავითარებს.

გადაცემათა კოლოფს 6 საფეხური აქვს, ტრანსმისია კი მაბრუნი მომენტით ყველა წამყვან ბორბალს ამარაგებს. საინტერესოა, რომ კონსტრუქტორებმა კოლოფის პირველ 5 საფეხურზე გადაცემის რიცხვი შეამცირეს. ამის წყალობით, სპაიდერ "გაიარდოს" უფრო სწრაფად აჩქარება შეუძლია. დაკიდების სისტემასა და საჭის მექანიზმში შეტანილ ცვლილებათა წყალობით, ის უფრო "დამჯერი" გახდა და უმალ ასრულებს მძღოლის "მითითებებს".

რაც შეეხება "გალიარდო სპაიდერის" დინამიკურ მახასიათებლებს, ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარის ასაკრეფად მას 4.3 წამი ჰყოფნის, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი არის: დახურული სახურავის შემთხვევაში 314 კმ/სთ, თავმოხდილ მდგომრეობაში კი - 307 კმ/სთ.

სპაიდერ "გალიარდოს" (გაიარდოს) უამრავი დამატებითი მოწყობილობაც გააჩნია. მაგალითად, როცა ავტომობილის სიჩქარე 15 კმ/სთ და მეტია, ავტომატურად იკეტება ორივე კარი. სპორტული სტილით გადაადგილებისას (საინტერესოა, ამ ავტომობილით არასპორტული სტილით სიარული თუ შეიძლება?) საჭის მექანიზმის სპეციალური გაგრილების სისტემა ემსახურება.

ოპციის მრავალფეროვნებაზე კი ლაპარაკიც არ ღირს. მათგან ყველაზე უცნაურთაგანია უკანა ბამპერში ჩამონტაჟებული ვიდეოკამერა. უფრო პრაქტიკულია გამყოლი (გამცილებელი) მაშუქები, გატაცების საწინააღმდეგო სისტემა, ნავიგატორი, სარკეების გამათბობელი, პერსონალური კომპიუტერი, სავარძლების გამათბობელი და ასე შემდეგ.

და კიდევ, მყიდველთან შეთანხმებისამებრ, ავტომობილი აღიჭურვება შემდეგი პაკეტებით: მოგზაურობისთვის, სპორტსმენებისთვის, ზამთრისთვის, ტყავის მოყვარულებისთვის, კარბონისგან დამზადებული მოყვარულებისთვის (ესენი ხშირად სპორტსმენების კასტას განეკუთვნებიან) და, თქვენ წარმოიდგინეთ, მწეველებისთვისაც კი. ეს ნიშნავს, რომ ავტომობილი სწორედ ჩამოთვლილი ტიპის მყიდველების სურვილების მიხედვით აღიჭურვება.

"ლამბორგინი" სულ 250 ცალი სპაიდერ "გალიარდოს" დამზადებას აპირებს. თანაც, ყველა მათგანი ინდივიდუალური შეკვეთის შესაბამისად აღიჭურვება. ამ სერიიდან 93 ცალი გაიგზავნება აშშ-ში. რაც შეეხება ფასს, ახალი სუპერავტომობილი შესაბამის კუპეზე ძვირი, 230 000 დოლარი ეღირება.

## ლაგარტიხო-ესპადა

ბაზარზე კუპე "გალიარდოს" გამოშვების შემდეგ, "ლამბორგინის" წლიური გაყიდვების მოცულობა თითქმის გაორმაგდა. მოდელი "გალიარდო" მცირე იტალიური კომპანიის ისტორიაში ყველაზე გაყიდვადი ავტომობილი გახდა. სწორედ ამ გარემოებამ უკარნახა "აუდის" ხელმძღვანელობას იტალიური მრკის სამოდელო რიგის შემდგომი გაფართოება.

"ლამბორგინის" ხელმძღვანელობა უკვე შეუდგა კიდევ ერთი ახალი მოდელის, კლასიკური შეთანწყობის მქონე ოთხადგილიანი კუპეს წარმოების დაწყების შესაძლებლობის განხილვას. ისევე როგორც "გალიარდო", ახალი კუპეც შედარებით "ხელმისაწვდომი" იქნება მყიდველისთვის.

მსგავს ავტომობილს "ლამბორგინი" უკვე აწარმოებდა 1968-1978 წლებში და იმ მოდელს "ესპადა" ერქვა. ეს იყო ოთხადგილიანი, ორკარიანი კუპე წინ განლაგებული ძრავით და უკანა წამყვანი ბორბლებით. მისგან განსხვავებით, ახალი ავტომობილი ოთხკარიტანი იქნება. თანაც მისი უკანა (მცირე ზომის) კარები ისევე გაიღება, როგორც "როლს როის ფანტომსა" და "მაზდა RX-8"-ზე - საპირისპირო მიმართულებით.

ახალი ავტომობილისთვის იქმნება სრულიად ახალი პლატფორმა D4, რომლის მოდიფიცირებული ვარიანტები შემდგომში გამოყენებულ იქნება "ფოლკსვაგენის" ჯგუფის რიგი კომპანიების ლუქსის კლასის მოდელებისთვის. მაგალითად, ახალი თაობის "აუდი A8-სთვის", "ფოლკსვაგენ ფაეტონისთვის" და მცირეგაბარიტიანი "ბენტლისთვის", რომელიც შესაბამისად, ინგლისური მარკის სამოდელო რიგს გააფართოვებს.

ახალი ავტომობილისთვის ძრავიც საკადრისი შეირჩევა. ეს იქნება ან "გალიარდოს" 5-ლიტრიანი V10, რომლის ნომინალური სიმძლავრე 500 ცხენის ძალაა, ან კიდევ, "მურსელაგოს" 6.2-ლიტრიანი V12, რომელიც 620 ცხენის ძალას ავითარებს.

წინასწარ ძნელია იმის თქმა, თუ როდის შეუდგება "ლამბორგინი" ამ ავტომობილის წარმოებას. შესაძლოა, სიახლის პროტოტიპი მერმის, რომელიმე დიდ ავტოსალონზე ვიხილოთ. ძნელი მისახვედრი არც ისაა, რომ ის კონკურენციას გაუწევს "ფერარის" შესაბამის მოდელ "სკალიეტის".

დაბოლოს, მოსალოდნელი სიახლის სახელის შესახებ. მის შესახებ პირველი ინფორმაციის გაჩენის მომენტში, იყო ლაპარაკი იმაზე, რომ მას "ესპადა" დაერქმეოდა. თუმცა, ინგლისური ჟურნალი "აუტო ექსპრესი" გვამცნობს, რომ სანდო წყაროებიდან შეიტყო, ახალ "ლამბორგინის" საკმაოდ უცნაურ სახელს, "ლაგარტიხოს" უწოდებენო.

ლაგარტიხო არის მე-19 საუკუნის ცნობილი ესპანელი მატადორის, რაფაელ მოლინას მეტსახელი, ვინც თურმე ლეგენდად იქცა ხარ მურსელაგოსთან ბრძოლის შემდეგ. სხვათა შორის, მურსელაგოს შთამომავლები დღესაც იბრძვიან ესპანურ და სხვა ქვეყნების კორიდებზე. მის ნაშიერთ ამრავლებს დონ ანტონიო მიურას ხართსაშენი.

შეგახსენებთ, რომ "ლამბორგინის" ხარებით და საერთოდ, კორიდით გატაცება შემთხვევითი არაა. კომპანიის ლოგოტიპზე ხომ საბრძოლველად შემართული ხარია გამოსახული. თავად კომპანიის დამაარსებელმა, ფერუჩიო ლამბორგინიმ ხარი შემთხვევით არ შეარჩია "ლამბორგინის" სიმბოლოდ - თავად სწორედ ხარის ნიშნით იყო დაბადებული. ჰოდა, ხარების და კორიდის თემა კომპანიის სამოდელო რიგშიც განივრცო. ასე წარმოიშვა ავტომობილების სახელები: მიურა, ისლერო, ურაკო, ბრავო, ხალპა და ესპადა. ეს უკანასკნელი ესპანური მახვილის სახელწოდებაა, რომელსაც მატადორები იყენებენ ხარებთან ბრძოლაში. ამავე თემის გაგრძელებაა "ლამბორგინის" ბოლო ორი მოდელის (მურსელაგო - ხარი და გალიარდო - მატადორი) სახელწოდებაც და ასევე გაგრძელდება მომავალშიც...

# "ბენტლის" ორი ახალი კაბრიოლეტი



ბენტლი აზური





ბენტლი კონტინენტალ GTC



დაახლოებით ასეთი იქნება უგზოობის ბენტლი

წლის დასაწყისში ლოს ანჯელესის ავტოსალონზე "ფოლკსვაგენის" ჯგუფში შემავალმა ინგლისურმა კომპანია "ბენტლიმ" წარადგინა კონცეპტუალური კაბრიოლეტი "არნაჟ დროპჰედ კუპე" (არნაჟის თავმოხდილი კუპე), პარალელურად კი გამოცხადდა, რომ აღარ განახლდებოდა პოპულარულ მოდელ "აზურის" წარმოება.

მაგრამ სადემონსტრაციო ავტომობილმა მნახველის იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია, რომ "ბენტლიმ" უმალ შეცვალა გადაწყვეტილება და ფრანკფურტის ავტოსალონისთვის თავის ერთგულ მყიდველს სასიხარულო ამბავი ამცნო - მომავალი გაზაფხულიდან განახლდება "აზურის" წარმოება. თვალსაჩინოებისთვის კი დამთვალიერებლის წინაშე წარმოებისთვის მომზადებული ახალი "აზური" წარმოადგინა.

ახალი ფლაგმანისთვის დიზაინერებმა გარჯა არ დაიშურეს. ავტომობილის გარეგნობა შეუცდომლად მიგვანიშნებს, რომ ეს არის "ბენტლის" არისტოკრატიული ოჯახის ჭეშმარიტი წარმომადგენელი. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ამ ავტომობილის დიზაინში მოდელ "არნაჟისთვის" დამახასიათებელი შტრიხებია. "არნაჟისვე" პლატფორმის წყალობით, ახალ "აზურში" კომფორტულად თავსდება ოთხი ზრდასრული ადამიანი.

თუმცა, მთლიანობაში სიახლეს ინდივიდუალობაც არ აკლია. ამის თქმის უფლებას კი უფრო ავტომობილის უკანა ნაწილი იძლევა, რომელშიც დიზაინერებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები (არნაჟთან შედარებით) შეიტანეს. რა თქმა უნდა, შეიცვალა სალონიც - მას ხომ მუდმივი სახურავი არ გააჩნია...

ახალი "აზურის" ინტერიერი ფუფუნების ეტალონია. თითქოს, მის შემქმნელებს მიზნად ჰქონდათ დასახული, რომ მათ ქმნილებას პრესტიჟული კურორტის მდიდრულ ვილასთან გაჯიბრება შესძლებოდა. რა თქმა უნდა, ამის მიღწევა შეუძლებელია და რეალურად, არც ეს მიზანი დაუსახავს მათთვის ვინმეს. სამაგიეროდ, "ბენტლის" დიზაინერთა მიერ შექმნილ ახალ "აზურს" მსოფლიოში ძნელად თუ მოიპოვება კონკურენტი.

ახალი "აზურის" სიამაყეა ავტომატურად მოსახსნელი რბილი სახურავი, რომლის გახსნა-დახურვასაც ჰიდრავლიკური სისტემა ემსახურება. თავად სახურავი სამშრიანი ბრეზენტისგანაა დამზადებული, სისტემა კი მას სპეციალურ ნიშაში ნახევარ წუთში ჩაკეცავს. ზუსტად ამდენივეა საჭირო იმისათვის, რომ ავტომობილს ჭერი დაეხუროს.

როგორც წესი, ღია ავტომობილებს თავიანთ დახურულ ანალოგებთან შედარებით, უფრო ხისტი და მყარი ძარა ესაჭიროებათ. რა თქმა უნდა, გაძლიერებას ვერც "არნაჟის" შასი გადაურჩა, რომელიც საყრდენების მოჭრის, იატაკის გაძლიერება-დამძიმებისა და საკვანძო წერტილების გაძლიერების შედეგად, წონაში საგრძნობლად მომატებული, "აზურის" შასიდ გადაკეთდა.

ახალი ავტომობილი აღიჭურვა "არნაჟისვე" 6.75-ლიტრიანი V8 ძრავით, რომელსაც წყვილი ტურბოკომპრესორი ემსახურება. ეს აგრეგატი 450 ცხენის ძალას და 875 ნმ მაბრუნ მომენტს ავითარებს. სამუშაო რეჟიმის უზრუნველსაყოფად, ორივე ტურბოკომპრესორს შუალედური გამაგრილებელი სისტემა ემსახურება.

ახალი "აზურის" ტექნიკურ-დინამიკური მახასიათებლები თითქმის არ განსხვავდება "არნაჟისასგან". ამასთან, ფრანკფურტში ნაჩვენები "აზურიც" თითქმის არ განსხვავდებოდა იმ "დროპჰედ კუპესგან", რომელიც "ბენტლიმ" ლოს ანჯელესში, კონცეპტუალური მოდელის სახით წარადგინა.

და მაინც, ავტომობილმა ამ 9 თვეში სიახლეც საკმარისზე ბევრი მიიღო. კერძოდ, მასში მრავლადაა გამოყენებული კარბონისა და შუშის ქსოვილისგან დამზადებული კომპოზიტები, სალონის ქვეშ, იატაკი გაძლიერებულია ჯვარედინი ტიხრით, რომელიც შასის სიხისტეს ზრდის. გაუმჯობესდა მანევრულობა და მართვადობაც. გარეგნულად ცვლილება მეტწილად დეკორატიულ დეტალებს შეეხო. მაგალითად, ყველა დეტალი, რომლებიც ლოს ანჯელესში მონიკელებული იყო, ახლა ავტომობილის ფერითაა შეღებილი.

ჯერჯერობით, "ბენტლი" არც ახალი "აზურის" ფასზე ლაპარაკობს და არც ტირაჟზე. ეს მონაცემები ალბათ დეტროიტის, ან ჟენევის ავტოსალონზე გამოცხადდება.

## ბენტლი კონტინენტალ GTC

ფრანკფურტის ავტოსალონის შემდეგ, ბევრისთვის მოულოდნელად, "ბენტლიმ" კიდევ ერთი სიახლის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია. ესაა კუპე "კონტინენტალ GT-ს" ბაზაზე დამბაზებული კაბრიოლეტი "კონტინენტალ GTC".

ისევე როგორც, იმავე პლატფორმაზე დამზადებული კუპე, კაბრიოლეტსაც ოთხივე წამყვანი ბორბალი ექნება. ორივე ავტომობილის ერთი სიგრძის (2 745 მმ) ბაზა აქვს, მაგრამ კაბრიოლეტი კუპეზე 3 მილიმეტრით გრძელი და 70 მილიმეტრით დაბალია. სამაგიეროდ, დიდი გაბარიტების მიუხედავად, კაბრიოლეტის ჩასაჯდომი ფორმულაა 2+2, რაც იმას ნიშნავს, რომ ავტომობილში კომფორტულად მხოლოდ ორი, წინა მგზავრი (მძღოლი და მგზავრი) განლაგდება, უკანა სავარძლები კი უფრო ბავშვებისთვისაა განკუთვილი.

ისევე როგორც "აზურს", "კონტინენტალ GTC-საც" რბილი სახურავი აქვს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მაღალი კლასის კაბრიოლეტებისთვის ხისტი სახურავი მიუღებლად ითვლება. სხვათა შორის, აქაც რბილი ტენტის ავტომატური დაკეცვის იგივე ჰიდროელექტრონული სისტემა გამოიყენება, რაც "აზურში".

ავტომობილის კაპოტქვეშ განლაგებული "ფოლკსვაგენის" მიერ შექმნილი, W-კონფიგურაციის მქონე 12-ცილინდრიანი ძრავი, რომლის მუშა მოცულობა 6 ლიტრია, სიმძლავრე კი - 560 ცხენის ძალა. ძრავთან შეწყვილებულია "აუდის" წარმოების 6-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფი (ტიპტრონიკი), რომლის მეშვეობითაც, "კონტინენტალ GTC-ს" მაქსიმალური სიჩქარე 304 კმ/სთ-ს აღწევს.

"ბენტლის" ხელმძღვანელობა გამორიცხავს შიდა კონკურენციას თავის ორ კაბრიოლეტს, "აზურსა" და "კონტინენტალ GTC-ს" წორის, რადგან მათი თქმით, ეს უკანასკნელი განკუთვნილია მათთვის, ვისაც "აზური" "არასაკმარისად სპორტულად" მოეჩვენება.

სავარაუდო, კაბრიოლეტ "ბენტლი კონტინენტალ GTC-ს" დებიუტი მერმის, ჟენევის ან პარიზის ავტოსალონზე შედგება, პირველი მყიდველი კი მას 2006 წლის ბოლოს მიიღებს. მის შესახებ ბევრი საინტერესო დეტალი, ტექნიკურ-დინამიკური მახასიათებლები და ფასი კი გაყიდვების დაწყებამდე გამოცხადდება.

## უგზოობის ბენტლი

და კიდევ. მოსალოდნელი იყო, რომ "ბენტლი" ფრანკფურტშივე წარადგენდა თავის ახალ კონცეპტუალურ მოდელს, რომელიც უგზოობის ავტომობილების კლასს განეკუთვნება. ამ ავტომობილს ჯერჯერობით მხოლოდ კოდური სახელწოდება (BY616) აქვს. გავრცელებული ინფორმაციით, ის იმავე პლატფორმაზეა ბაზირებული, რომელზეც "აუდის" პირველი უგზოობის ავტომობილი Q7. თუმცა, მისგან განსხვავებით, დაიტევს არა 7, არამედ 5 ადამიანს (მძღოლის ჩათვლით).

BY616 აღიჭურვება იმავე W12 ძრავით, რომელიც კაბრიოლეტ "აზურში" გამოიყენება და რომლის მუშა მოცულობა 6 ლიტრია. გარდა ამისა, უგზოობის ლიმუზინისთვის გათვალისწინებულია პნევმოსაკიდარი, რითაც მგზავრები მაქსიმალური კომფორტით იქნებიან უზრუნველყოფილნი.

კომპანიამ ეს კონცეპტ-კარი ფრანკფურტში არ ჩაიტანა. და საერთოდ, "ბენტლის" ხელმძღვანელი წინააღმდეგია მისი წარმოებისა. სამაგიეროდ, "ფოლკსვაგენი" დაჟინებით მოითხოვს, რომ BY616 სერიული მოდელი გახდეს. ამისათვის ვოლფსბურგელებს საკმაოდ მყარი არგუმენტი აქვთ - მათ სულ ერთი თვე დასჭირდათ იმისათვის, რომ გაეყიდათ W12 ძრავით აღჭურვილი 500 ცალი "ტუარეგი".

არსებობს საინტერესო ისტორია იმის შესახებ, თუ რატომ შექმნა "ბენტლიმ" ეს კონცეპტალური მოდელი. თუ ამ ისტორიას დავუჯერებთ, კომპანიას შეკვეთა მიუღია ბრუნეის სულთნისგან, ვინც "ბენტლისთვის" ყველაზე რჩეულ კლიენტად ითვლება. სწორედ ბრუნეის სულთნის შეკვეთით დაამზადა ინგლისურმა კომპანიამ (მაშინ ის დამოუკიდებელი იყო) თავის ისტორიაში პირველი და ჯერჯერობით, უკანასკნელი, უგზოობის ავტომობილი, რომელსაც "ბენტლი დომინატორი" ეწოდა.

გავიდა დრო და სულთანს, ვინც მსოფლიოში უდიდესი საავტომობილო კოლექციითაცაა ცნობილი, "ბენტლის" მარკით დამზადებული ახალი "დომინატორის" შეძენის სურვილი გაუჩნდა, რის შესახებაც, რა თქმა უნდა, კომპანიის ხელმძღვანელობას აცნობა. თუმცა, მოკრძალებული უარი მიიღეს - "ბენტლი" აღარ აპირებს ერთეული უგზოობის მოდელის დამზადებას. გავიდა ცოტა ხანი და "ფოლკსვაგენს" ჭკუაში დაუჯდა უგზოობის მოდელის წარმოების დაწყება. ოღონდ, არა ექსკლუზიური მოდელისა, არამედ სერიულისა.

დღეს ასეთი ავტომობილის სერიული წარმოება ჯერ გადაწყვეტილი არ არის. შექმნილი მოდელი ჯერ მხოლოდ ჩვეულებრივი კონცეპციაა და მეტი არაფერი. მოსალოდნელია, რომ მისი ბედი მალე გადაწყდება და შესაძლოა, დეტროიტის ან ჟენევის ავტოსალონზე საყოველთაოდ გახდეს ცნობილი.

დღეს კი მხოლოდ ვარაუდით თუ შეიძლება იმის თქმა, რომ წარმოების დაწყების შემთხვევაში, "ბენტლი" და "ფოლკსვაგენი" ერთობლივად წლიურად 10 ათას ცალ უგზოობის მოდელს გამოუშვებენ, რომელთა ღირებულება 120-180 ათასი ევრო იქნება.

*გვერდი მოამზადა*
*მერაბ ლორთქიფანიძემ*

**შ.პ.ს. ბათუმის საზღვაო ნავსადგური**
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

30 XII 2005
№ 397/ა

# ბრძანება

დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებისა და მომსახურების სატარიფო განაკვეთების შესახებ

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოქნილი სატარიფო პოლიტიკის გატარებისა და საწარმოს კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვნად ამაღლების, ტვირთნაკადების გაზრდისა და დამატებითი ტვირთების მოზიდვის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ძალაში შევიდეს:
– შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურში" დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების სატარიფო განაკვეთები (დანართი 1);
– შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურში" ადგილობრივი დამატებითი მომსახურების ტარიფები (დანართი 2).
2. ტარიფები ამოქმედდეს ბრძანების გამოქვეყნებისთანავე და ძალადაკარგულად ჩაითვალოს:
- 17.08.2004 წლის №370 ბრძანება "ბათუმის ნავსადგურში დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების სატარიფო განაკვეთების შესახებ";
- 17.08.2004 წლის №370 ბრძანებაში 08.11.2004 წლის №526/ა ბრძანებით შეტანილი ცვლილება;
- 17.08.2004 წლის №370 ბრძანებაში 18.04.2005 წლის №143/ა ბრძანებით შეტანილი ცვლილება;
- 17.08.2004 წლის №370 ბრძანებაში 03.10.2005 წლის №303/ა ბრძანებით შეტანილი ცვლილება;
- 05.10.2005 წლის №313/ა ბრძანება "მოცულობითი მსუბუქი ტვირთის სატარიფო განაკვეთის დაწესების შესახებ"
- 17.08.2004 წლის №370 ბრძანებაში 10.11.2005 წლის №342/ა ბრძანებით შეტანილი ცვლილება;
- 17.10.2005 წლის №322/ა ბრძანება "წყლის მიწოდების ადგილობრივი ტარიფის შემოღების შესახებ"
- 08.11.2005 წლის №340/ა ბრძანება "წყლის მიწოდების ადგილობრივ ტარიფებში ცვლილების შეტანის შესახებ"
- 17.08.2004 წლის №370 ბრძანებაში 29.12.2005 წლის №392/ა ბრძანებით შეტანილი ცვლილება;
- 07.06.2001 წლის №229/ა ბრძანება "ნავმისადგომის მოცდენის შესახებ"

საფუძველი: ჩემი განკარგულება.

გენერალური დირექტორი [signature] დ. სურმანიძე

Quality system ISO 9001 Certified by Bureau Veritas

## შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურში" დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების სატარიფო განაკვეთები

დანართი 1

| N | ტვირთის სახეები | განზ. ერთეული | ტვირთის კოდები | | განაკვეთი (აშშ დოლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| | **1. ნაყარი ტვირთი** | | | | |
| 1.1 | ა. მარცვლეული:<br>- გრეიფერით ნავმისადგომთან<br>- გრეიფერით რეიდზე<br>- პნევმომანქანებით ნავმისადგომთან | მეტრ. ტონა | 1001<br>1002 | 011.<br>012. | 3.50<br>5.00<br>5.50 |
| 1.2 | ბ. შაქარი ყრილად | მეტრ. ტონა | 1701 | 521 | 5.00 |
| 1.3 | გ. მადნის კონცენტრატი | მეტრ. ტონა | 2602<br>2601<br>7202<br>და სხვა | 142<br>141<br>142 | 4.00 |
| 1.4 | დ. სხვა ტვირთები ყრილად<br>- გრეიფერით ნავმისადგომთან<br>- გრეიფერით რეიდზე<br>- პნევმომანქანებით ნავმისადგომთან | მეტრ. ტონა | 2606<br>2701<br>3102 | 151<br>161<br>431 | 4.50<br>5.00<br>5.50 |
| 1.5 | ე. ბოქსიტები ყრილად | მეტრ. ტონა | | | 3.00 |
| | **2. ტვირთი ტომრებში** | | | | |
| 2.1 | 25 კგ-მდე | მეტრ. ტონა | 1006<br>0802<br>2523<br>3103<br>2836 | 015<br>054<br>281<br>436<br>482 | 6.50 |
| 2.2 | 30 კგ-დან 50 კგ-მდე | | 2101<br>2106<br>2308<br>20210<br>020410<br>1701 | 516<br>516<br>541<br>561<br>561 | 6.00 |
| | **3. ტვირთი დიდ ტომრებში - ბიგ-ბეგები** | | | | |
| 3.1 | სპილენძის კონცენტრატი | მეტრ. ტონა | | | 4.30 |
| 3.2 | სხვა ტვირთი | მეტრ. ტონა | | | 4.50 |
| | **4. ტვირთი პალეტებზე** | | | | |
| 4.1 | კასრები | მეტრ. ტონა | | | 5.50 |
| 4.2 | სხვა ტვირთი | მეტრ. ტონა | | | 4.50 |
| | **5. ტვირთი ყუთებში** | | | | |
| 5.1 | 50 კგ-მდე | ტონა | 08<br>0808<br>0805 | 051<br>052<br>052 | 6.50 |
| 5.2 | 51 კგ-დან 5,0 ტონამდე | ერთ. | 1902<br>1903<br>2402 | 512<br>513<br>517 | 10.00 |
| 5.3 | 5,0 ტონიდან 20 ტონამდე | ერთ. | 0405<br>20710<br>1602 | 553<br>561<br>581 | 65.00 |
| 5.4 | 20,1 ტონაზე მეტი | ერთ. | 5511<br>5203 | 631<br>611 | 110.00 |
| | **6. ტვირთი კასრებში** | | | | |
| 6.1 | კასრები | ტონა | | | 7.00 |
| | **7. ტვირთი შეკვრებში** | | | | |
| 7.1 | ფუთა (კიპები) | ტონა | | | 4.50 |
| | **8. ლითონის პროდუქცია** | | | | |
| 8.1 | შეკვრით (პაკეტებში) ან ცალობით | | 7216 | | |
| | L<89, w<10ტ | ტონა | 7303 | 323 | 7.00 |
| | L<89, w>10ტ | ტონა | 7214 | 324 | 8.00 |
| | 89<L<259, w<10ტ | ტონა | 7201 | 311 | 8.00 |
| | 89<L<259, w>10ტ | ტონა | 7204 | 316 | 11.00 |
| | რულონებში | ტონა | 7602 | | 6.50 |
| | **9. ლითონის ჯართი** | | | | |
| 9.1 | მძიმე და ფერადი ლითონების ჯართი | ტონა | 7404 | 316 | 10.00 |
| | **10. ხორცი** | | | | |
| 10.1 | ნერილფეხა და მსხვილფეხა საქონლის დაუფუძმობელი ნაკლავი (ტუშები) | ტონა | 20210 | | 8.00 |
| 10.2 | გაყინული ხორცი ყუთებში | ტონა | 02410 | 561 | 7.50 |
| 10.3 | გაყინული თევზი ყუთებში | ტონა | 20710<br>0303 | 561 | 7.50 |
| | **11. ხე-ტყე** | | | | |
| 11.1 | მორები<br>- ცალობით<br>- შეკვრაში | ტონა | 4403 | 081 | 9.00<br>8.00 |
| 11.2 | დახერხილი (შეკვრებში ან პაკეტებში) | ტონა | 4407 | 091 | 7.00 |
| | **12. ბორბლებიანი ტექნიკა (როგორც ტვირთი)** | | | | |
| 12.1 | ვერტიკალური მეთოდით, წონით<br>- 3 ტონამდე<br>- 5 ტონამდე<br>- 30 ტონამდე<br>- 40 ტონამდე<br>- 40 ტონამდე | ერთ. | 8426 | 351 | 25.00<br>30.00<br>70.00<br>90.00<br>180.00 |
| 12.2 | ჰორიზონტალური მეთოდით:<br>ა. საკუთარი სვლით, წონით | | | | |
| | - 3 ტონამდე | ერთ. | | | 15.00 |
| | - 3 ტონაზე მეტი | ერთ. | | | 60.00 |
| | **13. მუხლუხა ტექნიკა** | | | | |
| 13.1 | ვერტიკალური მეთოდით, წონით | | 8429 | 351 | |
| | - 10 ტონამდე | ერთ. | | | 70.00 |
| | - 10 ტონიდან 40 ტონამდე | ერთ. | | | 90.00 |
| | - 40 ტონაზე მეტი | ერთ. | | | 180.00 |
| 13.2 | ჰორიზონტალური მეთოდით ნავსადგურის ძალებით | ერთ. | | | 70.00 |
| | **14. ლითონკონსტრუქციები** | | | | |
| 14.1 | მძიმე და არაგაბარიტული ტვირთი 20 ტონაზე და 8 მეტრზე მეტი | ერთ. | | | 180.00 |
| | **15. კონტეინერები** (ვერტიკალური და ჰორიზონტალური მეთოდით) | | | | |
| | | ერთ. | 8609 | 391 | |
| 15.1 | დატვირთული კონტეინერი:<br>- ნავსადგურის ამწევებით<br>20 ფუტიანი<br>40 ფუტიანი | | | | <br><br>50.00<br>60.00 |
| | - გემის ამწევებით<br>20 ფუტიანი<br>40 ფუტიანი | | | | <br>25.00<br>35.00 |
| | ვაგონები ტერმინალი - საავტომობილო საშუალება ან პირიქით<br>20 ფუტიანი<br>40 ფუტიანი | | | | <br>20.00<br>25.00 |
| 15.2 | ცარიელი კონტეინერი:<br>- ნავსადგურის ამწევებით<br>20 ფუტიანი<br>40 ფუტიანი | | | | <br><br>20.00<br>30.00 |
| | - გემის ამწევებით<br>20 ფუტიანი<br>40 ფუტიანი | | | | <br>10.00<br>15.00 |
| | ვაგონები ტერმინალი - საავტომობილო საშუალება ან პირიქით<br>20 ფუტიანი<br>40 ფუტიანი | | | | <br>15.00<br>20.00 |
| | **16. თხევადი ტვირთები** ტანკერებზე | | | | |
| 16.1 | ვაგონცისტერნა - გემი (ქიმიური ტვირთი) | ტონა | | | 4.00 |
| 16.2 | გემი - ვაგონცისტერნა გემის ძალებით და საშუალებებით | ტონა | | | 3.00 |
| 16.3 | გემი - ნავთობტერმინალი (გადატვირთვა) | ტონა | | | 0.40 |
| 16.4 | ნავთობტერმინალი - გემი (გადატვირთვა) | ტონა | | | 0.40 |
| 16.5 | თხევადი აირი (გადატვირთვა) | | | | 0.80 |
| 16.6 | ზეთი ჩამოსხმით - გემი-ვაგონცისტერნა ან პირიქით | ტონა | | | 2.50 |
| | **17. მოცულობითი მსუბუქი ტვირთები** | | | | |
| 17.1 | 10 კგ-მდე | ტონა | | | 70.00 |
| 17.2 | 10 კგ-დან 30 კგ-მდე | ტონა | | | 20.00 |

**შენიშვნა:**
1. სატარიფო განაკვეთები გამოიყენება ახალ ხელშეკრულებებში. ამ სატარიფო განაკვეთების შემოღებამდე ხელმოწერილ ხელშეკრულებებში ძველი განაკვეთების მოქმედება დასაშვებია 15 დღის განმავლობაში.
2. საშიში და ქიმიური ტვირთების გადამუშავებისას ტარიფების საბაზისო განაკვეთები იზრდება 20%-მდე მათი კლასიფიკაციისა და გადამუშავების ტექნოლოგიის გათვალისწინებით.
3. მალფუჭადი ტვირთების გადამუშავებისას ტარიფების საბაზისო განაკვეთebi izrdeba 10%-iT.
4. საქონლის კოდი მითითებულია "საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ" საერთაშორისო კონვენციის თანახმად. (01.01.1988წ.) ჰარმონიზებული სისტემის ნომენკლატურა წარმოადგენს მრავალმიზნობრივ სასაქონლო ნომენკლატურას, რომელიც შეესაბამება სტატისტიკის, საბაჟო ორგანოებისა და კომერციული საქმიანობის მოთხოვნებს.
5. მოცემულ სატარიფო განაკვეთებში არ არის გათვალისწინებული დამატებითი ღირებულების გადასახადი.
6. ტვირთების მოზიდვისა და ტვირთბრუნვის გაზრდის მიზნით ნავსადგურის ადმინისტრაცია უფლებამოსილია დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების სატარიფო განაკვეთებზე მოახდინოს ფასდაკლება წლის განმავლობაში გენერალური და ნაყარი ტვირთების საერთო მოცულობაზე:
- 100 000-დან 150 000 ტონამდე - 10 %-ით
- 150 000 ტონის ზემოთ - 20 %-ით
7. ტარიფები შედგენილია აშშ დოლარებში, ხოლო ანგარიშსწორება საქართველოს იურიდიული პირებისათვის წარმოებს ეროვნულ ვალუტაში გადახდის მომენტისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის მიხედვით.

## შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურში" ადგილობრივი დამატებითი მომსახურების სატარიფო განაკვეთები

დანართი 2

| N | მომსახურების დასახელება | განზომილების ერთეული | მომსახურების ღირებულება (აშშ დოლარი) |
|---|---|---|---|
| | **1. მომსახურება ტვირთის დასაწყობება-შენახვაზე** | | |
| 1. | გენერალური ტვირთების შენახვა:<br>- ღია საწყობებში<br>- დახურულ საწყობებში<br>შენახვის პირობები<br>პირველი 7 დღე | ტონა | <br>0.15 დღეში<br>0.25 დღეში<br><br>უფასოდ |
| 2. | ნაყარი ტვირთების შენახვა:<br>- ღია საწყობებში<br>შენახვის პირობები<br>ა. პირველი 2 დღე<br>ბ. 1 თვემდე<br>გ. 1 თვეზე მეტი<br>დ. 2 თვეზე მეტი | ტონა | 0.10 დღეში<br><br>უფასოდ<br>საბაზისო<br>საბაზისო იმატებს 25%-ით<br>საბაზისო იმატებს 50%-ით |
| 3. | კონტეინერების შენახვა<br>- ღია საწყობებში<br>20 ფუტიანი<br>40 ფუტიანი<br>შენახვის პირობები<br>ა. პირველი 5 დღე<br>ბ. 15 დღემდე<br>გ. 15 დღეზე მეტი<br>დ. 30 დღეზე მეტი<br>ე. 60 დღეზე მეტი | ერთეული | <br><br>5,00 დღეში<br>6,00 დღეში<br><br>უფასოდ<br>საბაზისო<br>საბაზისო იმატებს 25%-ით<br>საბაზისო იმატებს 50%-ით<br>საბაზისო იმატებს 80%-ით |

| | | | |
|---|---|---|---|
| | **2. გემთმფლობელზე გაწეული დამატებითი მომსახურება** | | |
| 1 | ნავსადგურის მცურავი საშუალებების მიერ სასმელი წყლის მიწოდება | | |
| 1.1 | ნავმისადგომთან (წყალსაქაჩი სვეტიდან) | $მ^3$ | 3.00 |
| 1.2 | ნავმისადგომთან ბარჟით | $მ^3$ | 3.00 |
| | მუქსირით მომსახურება | | 280.00 |
| 1.3 | გარე რეიდზე ბარჟით | $მ^3$ | 3.00 |
| | მუქსირით მომსახურება | | 560.00 |
| 2 | ნავსადგურის აკვატორიაში ავარიის შედეგად დაღვრილი ნავთობის შეგროვება | 1 კგ | 20.00 |
| 3 | ნავსადგურის ძალებით და საშუალებებით ტროსის და ტვინდეკის ლუქების მოხსნა დადება | 1 ლუქი | 40.00 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | **3. ტვირთმფლობელზე გაწეული დამატებითი მომსახურება** | | |
| 1 | ნავსადგურში საბაჟო ოპერაციებისათვის შემოსული ავტომანქანების გადასახადი ტერიტორიაზე დგომისათვის - შემოსვლიდან 24 საათის შემდეგ | 1 საათი | 1.00 |
| 2 | საექსპედიტორო და სააგენტო ორგანიზაციების სამსახურეობრივი ავტომანქანების ტერიტორიაზე საშვის გადასახადი (ორგანიზაციის უფლება ეძლევა წლის განმავლობაში 1 მანქანის უფასოდ შესვლაზე) | 1 თვე | 50.00 |
| 3 | ყველა სახის ტვირთზე საბაჟო ოპერაციების წარმოება კლიენტის ძალებით და საშუალებებით | 1 ტონა | 2.50 |
| 4 | ყველა სახის ტვირთზე საბაჟო ოპერაციების წარმოება კლიენტის ძალებითა და ნავსადგურის საშუალებებით | 1 ტონა | 4.50 |
| 5 | არასანავსადგურო საბაზრო გემებზე მგზავრებზე გაცემული ბილეთების მოსაკრებელი | ერთი მგზავრი | 2.00 |
| 6 | დოკერ-მექანიზატორების მიერ დამკვეთის დავალებით შესრულებული მომსახურების ღირებულება, რომლის ანაზღაურება წარმოებს ფაქტიურად დახარჯული დროის მიხედვით | 1 საათი | 6.00 |
| | 7. საბორნე კომპლექსზე გაწეული მომსახურების ტარიფები | | |
| 7.1 | მისაბმელის შეყვანა ან გამოყვანა ნავსადგურის ძალებით | 1 ერთეული | 30.00 |
| 7.2 | გემბანზე განლაგებული ტვირთის გადმოტვირთვა ან პირიქით | 1 ტონა | 8.00 |
| 8. | გემის საბუნკერო სათავსოების კედლებიდან ნაყარი ტვირთის ჩამოფხეკა | $მ^2$ | 0.45 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | **4. ტვირთების დახარისხება (კონოსამენტში ნაჩვენები წონის მიხედვით)** | | |
| 1 | ტვირთი ტომრებში | 1 ტონა | 0.50 |
| 2 | ტვირთები ფუთებში, შეკვრებში, პალეტებზე და პაკეტებში | | |
| 2.1 | კლასი K-OO - Tn | 1 ტონა | 1.70 |
| 2.2 | ყველა სხვა ტვირთი | 1 ტონა | 0.70 |
| 3 | ნებისმიერი სახის ტვირთი კასრებში და ბრაგწილებით | 1 ტონა | 0.70 |
| 4 | ტვირთი ყუთებში და მოუფუთავი ტვირთი | | |
| 4.1 | კლასი Kn-ლ და ნ- | 1 ტონა | 1.60 |
| 4.2 | ყველა სხვა ტვირთი | 1 ტონა | 0.50 |
| 5 | ხე-ტყე ხარისხისა და სიგრძის მიხედვით | 1 ტონა | 0.70 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | **5. ბრიგადის მოცდენა** | | |
| 1 | ტვირთმფლობელის მიზეზით დასამუშავებელ გემზე ბრიგადის მოცდენა | 1 საათი | 100.00 |

**შენიშვნა:**
1. კლიენტი აანაზღაურებს ნავსადგურის მომსახურებას მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ხელმოწერილი ხელშეკრულება ტვირთის გადამუშავების შესახებ.
2. მოცემულ სატარიფო განაკვეთებში არ არის გათვალისწინებული დამატებითი ღირებულების გადასახადი.
3. ტვირთმფლობელის მიზეზით დასამუშავებელ გემებზე ბრიგადის მოცდენის გადასახა-დი გამოიყენება ტვირთის გამოუსყიდველობისა და განუბაჟებლობის შემთხვევაში.
4. იმ მომსახურების სახეობების ტარიფები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული მოცემულ სატარიფო განაკვეთებში, დგინდება ხელშეკრულებით ნავსადგურსა და კლიენტებს შორის.
5. ტარიფები შედგენილია აშშ დოლარებში, ხოლო ანგარიშწორება საქართველოს იურიდიული პირებისათვის წარმოებს ეროვნულ ვალუტაში გადახდის მომენტისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის მიხედვით.

## საჯარო სამართლის იურიდიული პირი "საზოგადოებრივი მაუწყებელი"
# აცხადებს კონკურსს
## მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საზოგადოებრივი კვების ობიექტის) იჯარის წესით გაცემის მიზნით

**იჯარით გასაცემი ქონების მისამართი:** თბილისი, კოსტავას N68
**ფართი:** 120 კვ/მ
**სახეობა:** არასაცხოვრებელი, საზ. კვების ობიექტი.
**მიზნობრიობა:** სასადილოს ორგანიზება
**საიჯარო ქირის საწყისი ოდენობა შედგენს:** 1 კვ/მ ფართზე 5 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.
**საკონკურსო ვადები:**
- საკონკურსო განაცხადის ***(საკვალიფიკაციო მონაცემების და საკონკურსო წინადადებების)*** მიღება იწარმოებს 2006 წლის 11 იანვრის 10 საათიდან 2006 წლის 16 იანვრის 15 საათამდე, კოსტავას N68 სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელის'' კანცელარიაში, განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქულ კონვერტში. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადები არ მიიღება;
- საკონკურსო განაცხადების გახსნის ვადაა 2006 წლის 16 იანვრის 15 საათი;
- კონკურსის შედეგების გამოცხადება მოხდება 2006 წლის 17 იანვარს;

**საიჯარო ვადა:** 1 (ერთი) წელი

**საკონკურსო პირობები:**
- საიჯარო ფართზე საზ.კვების ობიექტის ორგანიზება

**საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსში მონაწილე პირთა განაცხადების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება შემდეგი კრიტერიუმებისა და ამ კრიტერიუმების პრიორიტეტულობის კოეფიციენტის გათვალისწინებით.**
1. ყველაზე მაღალი საიჯარო ქირა - 0,4
2. მენიუს მრავალფეროვნება და პროდუქციის დაბალი ფასები - 0,4
3. საზოგადოებრივი კვების ობიექტის სამუშაო კვირისა და დღის ხანგრძლივობა - 0,2

საკონკურსო განაცხადი მოიცავს საკვალიფიკაციო მონაცემებსა და საკონკურსო წინადადებებს.

**საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**იურიდიული პირებისათვის:**
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან

**ინდივიდუალური მეწარმე ფიზიკური პირებისათვის:**
- ცნობა ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
- ინდივიდუალურ მეწარმის რეგისტრაციის მოწმობა

**საკონკურსო წინადადებები ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის უნდა მოიცავდეს:**
1. პროდუქციის ჩამონათვალი და ფასები (მენიუ)
2. საიჯარო ქირის ოდენობა
3. სამუშაო კვირისა და დღის ხანგრძლივობა

ხელშეკრულება მხარეებს შორის გაფორმდება კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენიდან 2 დღის ვადაში.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს თბილისის საქალაქო სასამართლოს, მდებარე დავით აღმაშენებლის ხეივანი N6, შენობისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის (ეზო) სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვაზე, რომლის ფართი შეადგენს:

**შენობის ფართი 15646,48 მ.კვ.**
**ეზოს ფართი 18137 მ.კვ.**
/ზემოაღნიშნული სამუშაოები შესრულებულ უნდა იქნეს არაუგვიანეს 2006 წლის 15 დეკემბრამდე, ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში./

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ მდგომარეობაში) უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 31 იანვრიდან 2 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან.) ოთახი N408.
2. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

2.1. იურიდიული პირებისათვის:
- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);
- ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);
- გამოცდილება (შესრულებულ სამუშაოთა მოკლე ჩამონათვალი);
- ტექნიკური ბაზა;
- ფინანსური რესურსები;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს, მათი არსებობის შემთხვევაში;

2.2. ფიზიკური პირებისათვის:
- ცნობა ქმედითუნარიანობის შესახებ (შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (შესაბამისი სასამართლოდან);
- გამოცდილება (შესრულებულ სამუშაოთა მოკლე ჩამონათვალი);
- ტექნიკური ბაზა;
- ფინანსური რესურსები;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს, მათი არსებობის შემთხვევაში;

3. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთმოყვანილ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩდება.
4. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებისათვის (ქართულ ენაზე) იწარმოებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ. 2006 წლის 30 იანვრის ჩათვლით.
5. სატენდერო მოსაკრებლის გადახდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, ერთიანი ანგარიში N200122900

6. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ მისამართზე: საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან) ოთახი N 408.
7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ლია მინდიაშვილი, ქეთევან სირაძე, ტატიანა კაპანაძე მისამართზე ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან), ტ. 93 56 96; 92 09 31

*სატენდერო კომისია*

# ქალაქ თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატი

**1.** ქალაქ თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატი აცხადებს ღია ტენდერს ქ. თბილისის მერიის აპარატისათვის საავტომობილო ბენზინის შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი: **84125 ლიტრი საავტომობილო ბენზინი, პრემიუმი - ოქტანური რიცხვით არანაკლებ 95.**

**2**. ბენზინის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის დავალების საფუძველზე, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე. მიწოდება იწარმოებს საზარათო სისტემით.

**3.** სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 31 იანვრის 17.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, ოთახი N014, საკრებულოსა და მთავრობის აპარატი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

**4.** სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო (მთაწმინდა-კრწანისი)
ეროვნული ბანკი
ანგ. N 200122900
ბანკის კოდი: 220101107
სახაზინო კოდი: 300034040

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 1 თებერვლის 1500 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, ოთახი N014, საკრებულოსა და მთავრობის აპარატი.

**6.** საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:
**6.1** იურიდიული პირებისათვის:
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
გ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**6.2** ფიზიკური პირებისათვის:
ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
გ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**7.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ეკა ბასილაშვილი და ნინო დოლიძე, ტელ: (995-32) 98-82-14, (995-32) 93-37-90, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, საკრებულოსა და მთავრობის აპარატი, ოთახი N014.

*10 იანვარი*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6, საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალი, ანგარიშის N000134601, კოდი 220501102) აცხადებს **ტენდერს "სენაკი-ფოთი-სარფი"-ს საავტომობილო გზის "ჩოლოქი-სარფის" მონაკვეთის განათების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე** და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების სასურველი ვადაა 2006 წლის 30 მაისის პერიოდი.

3. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, ორეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 7 თებერვლიდან 2006 წლის 8 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ ბათუმი რუსთაველის ქ. N6.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:
ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით):
ბ) ცნობა საჯარო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებომის შესახებ.

4.2. ფიზიკური პირისათვის:
ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან იმის თაობაზე, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა :
ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

4.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:
ა) შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონის, ფაქსის, საბანკო რეკვიზიტები):
ბ) ცნობა იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი):
გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან საფინანსო მდგომარეობის შესახებ:
დ) ლიცენზია სამშენებლო სამუშაოების წარმოებაზე. (შესაბამისი ჩამონათვალი სამუშაოების მიხედვით):
ე) ინფორმაცია ანალოგიური სახის სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ, (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ):
ვ) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.
ზ) ცნობა ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ.
თ) ცნობა სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი სამუშაოს შესახებ.

5. ა) ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, მე-2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.
ბ) მონაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

6. ქართულ ენაზე შედგენილ განცხადებას ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად უნდა ახლდეს განმცხადებელის მიერ ხელმოწერილი წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა.

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. სატენდერო დოკმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 2006 წლის 10 იანვრიდან 2006 წლის 7 თებერვლის 17 საათამდე, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (დეპარტამენტის სპეც. ანგარიშზე საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალი:

ანგარიში N 000142101, ბანკის კოდი 220501102, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ,შეეძლებათ მისამართზე; ქ.ბათუმი, რუსთაველის ქ. N6, პირველი სართული ოთახი N16.

9. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით.

10. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

11. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის წევრი: კობა ხინიკაძე ტ. 7-20-87; ქ.ბათუმი, რუსთაველის ქ. N6.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6, საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალი, ანგარიშის N000134601, კოდი 220501102) აცხადებს **ორ ეტაპიან ტენდერს ორ ლოტად დაყოფილ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და ხელოვნური ნაგებობების პერიოდული შეკეთების, რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების (ინტელექტუალური მომსახურება) შესასყიდათ** და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

ლოტი -N1: საავტომობილო გზებისა და ხელოვნური ნაგებობების (მცირე ხიდები, მილები, გაბიონები, ძელყორები, დამბები, საყრდენი კედლები) პერიოდული შეკეთების (რომელთა საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 2200000 ლარს) სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურება.

ლოტი -N2: საავტომობილო გზებისა და ხელოვნური ნაგებობების სარეაბილიტაციო (რომელთა საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 5200000 ლარს) სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურება.

2. **მიწოდების ვადაა 2006 წელს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი.**

დაინტერესებულ პირებს გასაწევი მომსახურების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესყიდვების განყოფილებაში.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები, სადაც მოცემული იქნება ზოგადი მოსაზრებები გასაწევი მომსახურების განხორციელების შესახებ და აღნიშნული იქნება ის ძირითადი სტანდარტები და ნორმები, რომელთა გამოყენებითაც მოხდება საპროექტო მომსახურების განხორციელება, ორეგზემპლარად, ქართულ ენაზე ღირებულების გარეშე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის 6 თებერვლიდან 2006 წლის 7 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ ბათუმი რუსთაველის ქ. N6.

წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებში მითითებული უნდა იქნას დაინტერესებულ პირს რამდენ ლოტზე სურს ტენდერში მონაწილეობის მიღება.

დაინტერესებული პირების საკვალიფიკაციო მონაცემებს განიხილავს შესაბამისი საექსპერტო კომისია, რომლის დასკვნის საფუძველზეც სატენდერო კომისია ტენდერის პირველ ეტაპზე განსაზღვრავს პრედენტენდებს, ხოლო შემდეგ განახორციელებს შერჩეული პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილ პირველადი სატენდერო წინადადებების განხილვას.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

პირველადი სატენდერო წინადადებების შეფასების დროს მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან და არ გამოიყენება მათი ქულებით შეფასება.

ტენდერის მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისთვის დადგენილ პირობებს.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:
ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით):
ბ) ცნობა საჯარო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებომის შესახებ.

4.2. ფიზიკური პირისათვის:
ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან იმის თაობაზე, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა :
ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

4.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:
ა) შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონის, ფაქსის, საბანკო რეკვიზიტები):
ბ) ცნობა იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი):
გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან საფინანსო მდგომარეობის შესახებ:
დ) ინფორმაცია ანალოგიური სახის სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ, (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ):
ე) ცნობა ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ

5. ა) ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, მე-2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.
ბ) მონაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (დეპარტამენტის სპეც. ანგარიშზე საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალი:ანგარიში N 000142101, ბანკის კოდი 220501102, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ,შეეძლებათ 2006 წლის 10 იანვრიდან 6 თებერვლის 17 საათამდე მისამართზე; ქ.ბათუმი, რუსთაველის ქ. N6, პირველი სართული ოთახი N16. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის შეძენა შეუძლიათ, როგორც ერთ ასევე ორივე ლოტზე.ორივე ლოტზე შესაძლებელია როგორც ერთი გამარჯვებულის, ასევე ცალკ-ცალკე ლოტზე თითო გამარჯვებულის გამოვლენა.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის წევრი:
კობა ხინიკაძე ტ. 7-20-87; ქ.ბათუმი, რუსთაველის ქ. N6.

*სატენდერო კომისია*

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION
*საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრი*
*INTERNATIONAL STUDENT ADVISING CENTER*

## ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამა აცხადებს

# კონკურსს

**საზოგადოებრივი აზრის კვლევა - მოსახლეობის მოლოდინები საზოგადოებრივი მაუწყებლობის პროგრამირებასთან დაკავშირებით**

ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამა აცხადებს კონკურსს სახელწოდებით " საზოგადოებრივი აზრის კვლევა - მოსახლეობის მოლოდინები საზოგადოებრივი მაუწყებლობის პროგრამირებასთან დაკავშირებით". კონკურსი ცხადდება საზოგადოებრივ კვლევებზე ორიენტირებული ორგანიზაციებისთვის. პროექტი შესრულებული უნდა იყოს ფონდის საგანაცხადო ფორმის მიხედვით (http://osgf.ge/?show=manual).

გამარჯვებული ორგანიზაცია ვალდებულია:

1. განახორციელოს რაოდენობრივი ტიპის საზოგადოებრივი აზრის კვლევა საქართველოს მასშტაბით. გამოკითხულ რესპოდენტთა რაოდენობა უნდა იძლეოდეს ცალკეული რეგიონების რეპრეზენტატიული შედარების საშუალებას. კვლევა უნდა განხორციელდეს შემდეგი თემატიკის გათვალისწინებით: სამაუწყებლო ბაზრის დღევანდელი მდგომარეობა, ელექტრონული ბაზრის მომხმარებელთა კვლევა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გზები, ადგილობრივი პრობლემატიკის პრიორიტეტულობა დღევანდელ მაუწყებლობაში.

2. კვლევის დასრულების შემდეგ მოამზადოს შესაბამისი ანგარიში და საპრეზენტაციო ფაილი;

3. სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამასთან ერთად ორგანიზება გაუკეთოს კვლევისა და ანალიზის შედეგების პრეზენტაციას. პრეზენტაციაზე მოწვეულ უნდა იქნეს ყველა დაინტერესებული მხარე: მაუწყებლობის წარმომდაგენლები და ჟურნალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები.

**ფონდიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 25 000 აშშ დოლარს.**

**კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადები მიიღება 2005 წლის 19 დეკემბრიდან 2006 წლის 20 იანვრის 17:00 საათამდე. მისამართი ჭოველიძის ქ. 10. ტელ: 25-04-63, 25-05-92 ფაქსი: 29-10-52, ელ ფოსტა - irakli@osgf.ge. საკონტაქტო პირი: ირაკლი ცერცვაძე, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამის კოორდინატორი.**

**კონკურსის შესახებ განცხადების ვრცელი ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ფონდის ვებ გვერდზე (http://osgf.ge/?show=competitions) ან მოიპოვოთ ფონდის მისაღებში.** კონსულტაციები კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის ჩატარდება ყოველ სამშაბათს 11:00 საათზე ფონდის ოფისში.

** საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" ოფისი არ იმუშავებს 2005 წლის 29 დეკემბრიდან 2006 წლის 6 იანვრის ჩათვლით.*

## აშშ საელჩო თბილისში

2006 წლის 21 იანვარს და 11 თებერვალს აშშ საელჩო თბილისში აწყობს ღია აუქციონს.

21 იანვარს აუქციონზე წარმოდგენილი იქნება **ნახმარი და დაზიანებული საყოფაცხოვრებო ავეჯი, მოწყობილობები და ფაილის კარადები.**

11 თებერვალს აუქციონზე წარმოდგენილი იქნება **ნახმარი და დაზიანებული საყოფაცხოვრებო და საოფისე ავეჯი და მოწყობილობები.**

აუქციონზე წარმოდგენილი ყველა ნივთი იყიდება "არსებულ მდგომარეობაში" გარანტიის გარეშე. საჭიროების შემთხვევაში მყიდველი პასუხისმგებელია აუქციონზე შეძენილი ნივთების განბაჟებაზე და სრულად იხდის საბაჟო გადასახადებს.

მსურველთათვის ნივთების დათვალიერება მოხდება დილის 9:00-დან 11:00 სთ-მდე. აუქციონი დაიწყება დილის 11:00სთ-ზე.

აუქციონი ჩატარდება შემდეგ მისამართზე:

**ლილო, რუსთაველი ქ. 4, აშშ საელჩოს საწყობის ტერიტორია.** ცნობებისათვის დარეკეთ: 277000 შიდა 7201.




## საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ინფორმაცია

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ამზადებს სატენდერო დოკუმენტაციას ტენდერის გამოსაცხადებლად "კრიმინალისტიკური დნმ-ის ლაბორატორია". ტენდერი გამოცხადებულ იქნება რამდენიმე მიმართულებით:

1. ძირითადი ლაბორატორიული აღჭურვილობა დნმ-ის ლაბორატორიისათვის;

2. სპეციალური ხელსაწყოები დნმ-ის ექსტრაქციისა და იდენტიფიკაციისათვის;

აღნიშნული მიზნისათვის გიწვევთ ტენდერის მოსამზადებელ ეტაპზე მონაწილეობის მისაღებად ლაბორატორიული ხელსაწყოების მომწოდებელ კომპანიებს და მათ წარმომადგენლებს. სავალდებულოა შესაბამისი მეთოდოლოგიების მოწოდება ხელსაწყოებთან ერთად ხარისხის მენეჯმენტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირველ ეტაპზე დაინტერესებულნი ვართ მომწოდებლებისაგან მივიღოთ შემოთავაზება, რომელიც მოიცავს კრიმინალისტიკური დნმ-ის ლაბორატორიული მოწყობილობების ჩამონათვალს, მათ სპეციფიკაციას, ტექნიკურ აღწერილობას და ღირებულებას. ეს ეტაპი ხელს შეგვიწყობს ტენდერის გამოცხადების დროისათვის გვქონდეს პოტენციურ მონაწილეთა სია.

ტენდერი ჩატარდება საერთაშორისო პროცედურების შესაბამისად. მონაწილეებმა აუცილებელია მათ შემოთავაზებაში გაითვალისწინონ ხელსაწყოების ღირებულება თბილისში მოწოდებით, (NBFE), ინსტალაცია, მუშა მდგომარეობაში მოყვანა, სპეციალისტთა ტრეინინგი და შემდგომი საგარანტიო მომსახურება.

ტენდერის მოსამზადებელი პროცედურა დასრულდება 2006 წლის 30 იანვარს. დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი ინფორმაციები ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 84, მე-4 სართული, ბატონ ლევან გვიდიანთან. საკონტაქტო ტელეფონები (995 32) 234255; 8(99) 20 42 42.

*დირექტორი*
*ირაკლი კლდიაშვილი*

## Subject: Notice from the National Bureau of Forensic Expertise of the Ministry of Justice of Georgia

The National Bureau of Forensic Expertise (NBFE) is preparing documents to announce International Tender for Forensic DNA Laboratory equipment. Tender will be announced for several lots: for General Laboratory Equipments for DNA Laboratory; special equipment for automated DNA extraction and quantification systems and etc.

For this reason we invite to participate Supplyers of general laboratory equipments and supplyers of automated DNA extraction and quantification systems for forensic science with methodologies and quality management standards recommended by the European DNA Profiling Group (EDNAP) from the WTO countries.

As the first step we are kindly interested in receiving from different supplyers their offers: list of equipments with technical specifications and prices for equipping Forensic DNA Laboratory in order to put together apropriate data for preparing correct lot descriptions and specifications for equipment list. Your offer will be helpful to us to make a list of possible bidders.

The tender will be held according to the international procedures. Alonge other requirments the subject of the tender also will be: delivery of equipment to NBFE facilities in Tbilisi, Georgia, installation, putting into operation, training and warranty services by the tenderer.

